№ წიგ. 684.
05
ი-32

# ივერია

1885

№ IX, სექტემბერი.

თბილისი.
ექვთიმე ხელაძის სტამბა.
1885

# შინაარსი.


I. მოძღვარი, მოთხრობა ა. მოწყუბარიძისა. (შემდეგი) . . . . . . . . . . . . . . 3

II. ცვრევაზე მოთხრობა ს. მგალობლიშვილისა. . 33

III. სახალხო ლექსები (ხევში შეკრებილი ა. მ—საგან) 64

IV. ნაამბობი არტემ არარატელისა საქართველოს მდგომარეობაზედ მე XVIII საუკ. დამლევს. (მასალა ისტორიისათვის) თარ. ზ. არჯევანიძისა. . 68

V. ჯეჯილი (ლექსი) ი. დ—ისა. . . . . . . 82

VI. პედაგოგიური მოსაზრებანი ქალების განათლების შესახებ (წერილი პროფესორის ტარასოვისა თარგ. მ—ნისა . . . . . . . . . . . . 84

VII სლავიანთა გაძლიერება გრ. ფრონელისა . . 103

VIII შინაური მიმოხილვა . , . . . . . . . 112

IX განსაკუთრებული დამატება: ქუთაისის თავად-აზნაურობის ბანკის განცხადებანი მამულების შესახებ.


---


ეს ნომერი დაიბეჭდა და გამოვიდა საბეჭდავიდამ 28 ოქტომბერს.


---

# ივერია

## საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალი

---

წელიწადი მეცხრე

**№ IX**

შკაფის №
თაროს № 648
783


თბილისი
ექვთიმე ხელაძის სტამბა, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე
1885

Дозволено цензурою, Тифлисъ 20 Оября 1885г.

# მოძღვარი

(მოთხრობა.)

(შემდეგი *)

## VII

გაიარა დღემ, მაგრამ მაყვალა წარსულის შემთხვევით ისევ ისე გაბრუებაში იყო. გონება ვერ მოეკრიბა. არ ესმოდა, რას ელოდა, რას იღვა და რა უნდოდა. ქმრის და-ლით ის წვალობდა და განსაკუთრებით სიმძიმე იგრძნო. სული ეხუთებოდა, გული მოუსვენრად ტოკავდა და თვით ფიქრე-ბი შეეჩერებოდა და მიმართულება აღარ ჰქონდა. გული უცემდა წყნარად და ძალზე მოგუდულად; ძარღვები მოსდუნებოდა და თითქოს მოძრაობის თვისება დაეკარგა: თვალებში სიცოცხლე აღარ ეტყობოდა და დახრილი უსაგნოდ მიწას მისჩერებოდა.

---

*) «ივერია» № 8. 1885 წ.

გაცრეცილი, სიცოცხლეს მოკლებული, გახევებული იდგა ერთს ადგილს და ქვისაგან გამოჭრილს უსულო საგანს დამგზავსებოდა. მხოლოდ ათასში ერთხელ შეტოკების ყრიამულს ჰგრძნობდა და ოდნავ გაცოცხლდებოდა ხოლმე.

ერთბაშად ყურებში რაღაცამ ხმაურობა დაუწყო, თითქოს მდინარის მოძრაობის ზუილი არისო და გონება თითქოს გაუნათდა. აშკარად იგრძნო, რომ გულიდგან რაღაცა მწარე და უსიამოვნო დაიძრა, რომელსაც თან და თან სითბოება და მოძრაობა ემატებოდა; მის მოძრაობასთან ერთად მოგონებანი უცხოველდებოდა და გულს გრძნობიერება უბრუნდებოდა. ქალმა ერთბაშად, ძალზედ ამოისუნთქა, შეკრთა და დაბლა დაშვებული თვალები მაღლა აიღო, გეგონა წუთი ასეთის გაშტერებისა და ერთბაშად შეჰკივლა:

— მაშ დავიღუპე?!. არა, ღვთის მადლმა, არა, მე მოვკვდები და ონისე კი იცოცხლებს!

ამ სიტყვებზედ გიჟსავით გამოვარდა გარეთ და გარბოდა იქითკენ, საითკენაც ონისეს წასვლა ეგულებოდა.

ქალი მიისწრაფოდა შეუყენებლივ, აღშფოთებული და სახეზედ ალმური გადასდიოდა. თავს შალი გადავარდნოდა და გაშლილი თმები ქარს გაეწეწა.

ხანდისხან ნაწყვეტ-ნაწყვეტად და გადაუბმელად წამოიძახებდა: «ონისე თავს შეაკლავს. ონისე მოკვდება... მე რაღად მინდა სიცოცხლე?!» და ისე რიგად ამოიკვნესებდა ხოლმე, რომ კაცი იტყოდა: გული თან ამოაყოლაო!

რამდენადაც მაყვალა ღელემდის ცდილიყო, რომ გულ-წრფელი სიყვარულის გრძნობა შეეყენებინა, რამდენიც მეტი და სასტიკი მოთმინება დაეხვედრებინა გულის მოძრაობისთვის, იმ-

ღვინად მეტის ძალით, გამოღვიძებულიყო მას დაუყოვნებლად აღძრული გრძნობა. ყოველი მეცადინეობა მაყვალებისა, ყოველი მოძღვრება, რომელსაც გრძნობის მოძრაობას წინ უყენებდა გადმოსცემდა გამამხნევებულებს წადილებს და თან წარიტაცა ქალის ნება.

მაყვალას რამდენიმე დღის წინად შეეძლო კიდევ სატრფოთ, საყვარელი კაცი გაებრუნებინა, შეეძლო დაერწმუნებინა, რომ არ უყვარდა, მოეხერხებინა მარდამირ ეყურებინა იმის ტანჯვისა და ტკივილისთვის და, თუმცა ეს ყველა ქალისათვის მეტად მძიმე სატანჯველი, მეტად ძნელი ასატანი იყო, მაგრამ ბრძოლიდგან მაინც გამარჯვებული გამოსულიყო. ეხლა, როდესაც ოინისეს მოშორდა, როდესაც სატრფოსთან განშორების სიმწვავე იგრძნო — გაქვავებული გული მოულბა, გონება დამორჩილდა გრძნობას და სულმა იმისკენ გაიბრძოლა, რომელმაც ქალის არსებობის უმთავრესი საგანი შეადგინა.

ეხლა მაყვალა მთლად გრძნობას დამორჩილდა, ეხლა მზად იყო ყველასთვის პირდაპირ, უშიშრად ეთქვა: «მე მიყვარს ოინისეს, მასთან შეერთებისა არა მრცხვენის, ამიტომ რომ მიყვარს, ნამუსზედაც კი მეტად მიყვარს!

მაყვალა მზად იყო მთელი თავისი სიცოცხლე მიეცა, ოღონდაც კი ეს კაცი დაენახა, ჩაეხვია, ერთხელ, მხოლოდ ერთხელ მოესწრო ეთქვა: «ჩემო ყველავ!» და მერე თუნდა სული დაელია.

იქამდის ძლიერად გამხნევებულიყო ეს ქალი, იქამდის შეეპყრო წადილს, რომ სრულს თავ-დავიწყებას მისცემოდა და სწორედ ამისთვის ვერ შეამჩნია ვიღაცა მწყემსი, რომელიც იმისკენ მოდიოდა.

უცნობი უყურებდა დედა-შვილს, რომელსაც თმა გასწეწოდა, სახე შეშლოდა და გული დამგზავსებოდა.

— აბაი მე! დაიძახა მწყემსმა.— რაი მოსვლიას?... ბეჩავო, გაგიჟებულა თუ! წარმოსთქვა შეჩანებით და დაუმატა: — მაი დავაჩერე, თორემ გადეშვეს სადმე გადავარდების და ცოდო ბრალში გამხვევს.

ამ სიტყვებთან ერთად უცნობი გაჰყვა მივიდა ქვასთან, ამოჟღვარა, რომ დედა-შვილს ვერ დაენახა და უფრო გულ-დან-დობილად ხელში ჩავარდნოდა.

თავის საფრიდგან უყურებდა გაკვირვებული მეცხვარე მომავალს ქალს, რომელიც მისკენ მოისწრაფებოდა.

ერთბაშად მწყემსი შეკრთა და წამოზეზეულდა. სახეზედ აშკარად გაკვირვება დაეტყო.

— აუ!... მაყვალაუ არაა?... ისაა. ღვთის მადლმა! ცოტა სიჩუმის შემდეგ წამოიძახა კაცმა და დაუმატა: რაი მოსვლია?

მწყემსს თვალი ეცვალა, გაფითრდა და იქამდის დაფიქრდა, რომ თავის განზრახვა სრულიად გადაავიწყდა. გამოვიდა ბუჩ-დაბირ და ქალისკენ გასწია.

— მაყვალაუ, მაყვალაუ! რაი მოგსვლია, ბეჩაო! მორბოდგანვე შესძახა კაცმა.

მაგრამ ქალი მეტად გართული იყო თავის საკუთარის ფიქრით, რომ არ ამ კაცის სიტყვები გაეგონა, არ თითონ ის შეემჩნია და ამისთვის პასუხ მიუცემლად გასცდა.

მწყემსი რამდენჯერმე გადასცდა, წავლო ქარისაგან გაფრიალებულს საგულეში ხელი და დასჭყივლა:

— ქალაუ! რაი მოგსვლია?

მაყვალა შეკრთა, შეჩერდა და შესდგა. მიიხედ-მოიხედა, ამღვრეულის თვალებით და ერთბაშად კაცს მოეხვია.

— ბეჟიაუ, ბეჟიაუ! მითხარ, ღვთის მადლსა, რაი იქნა?

გაცმა არ იცოდა, რასა ჰკითხავდა.

— ვინა?

— ისა —ისა... აქეთ წამოვიდა... შენა ნახამდი... მითხარ, აგრემც შეგეწევა ლომისა!... აჩქარებით და ნაწყვეტ-ნაწყვეტად ეუბნებოდა ქალი და მის სიტყვებში მთელი მუდარა გამოითქმოდა.

— აუ, რას სჩადი? გამაგებინე სწორედ, ვისა კითხულობ და გეტყვი! შეუტია გაცმა.

— ონისეს, ბიჭაუ, ონისეს!.. აქეთ წამოვიდა.

— თქვენს ნამგალასა?

— ჰო, ჰო, ბეჟიაისი!.. მითხარი, რა იქნა?

— ვნახე. ეთხრა გაცმა და კიდევ გაკვირვებით შეხედა, რადგანაც ქალისაგან უცხო კაცზედ ამ გვარი კითხვა მთიელს გაუცხოვა.

— რაი იქნა, რა?

— ცხორში მიდიოდა, ეკითა ლხინობდა, ღვთის მადლმა, რომ გეგონებოდა ქორწილიდგან მოდისო.

ქალი შეკრთა, გაფითრდა და ერთ-ბაშად გაჩუმდა, თითქოს ცივი წყალი შეასხესო.

— ლხინობდა? რაოდენიმე სიჩუმის შემდეგ წყნარად, მაგ რამ გულ-ტკივნეულად იკითხა ქალმა.

— ჰო, ლხინობდა... რაისთვი არ ილხინებდა?... ცოლს ირთავს.

— ცოლს ირთავს? კიდევ აჩქარდა ქალი.

— ირთავს.

მაყვალა ისევ გაჩუმდა და ფერმა თამაში დაუწყო. რამდენსამე ხანს ხმა ველარ ამოიღო და ისე გაყუჩებული იდგა, რომ სრულიად დამშვიდებული გეჩვენებოდათ. ბოლოს ერთბა-

შავ თვალები აღეგზნო, სახეზედ გაბრაზება დაეტყო და სიან-ჩხლით წამოიძახა:

— სტყუი, სტყუი! ღვთის მადლმა!

კაცი არ მოელოდა ასეთს პასუხს და დაითვანტა.

— ბეჩავ! რას ჯავრობ?... არ გსტყუი, აგრემც შემეწევა-პირი მქე.

— აბა, ვინ გითხრა, ვინა? ჯერ კიდევ ვერ შეეკავებინა ქალს თავი.

— თავადა... მზეთი დამიფიცაო, რო ცოლად გარსვლავს ჩამოიყვანსო...

ქალს სიტყვა გაუწყდა, პირი გაუშრა და ფერი სრუ-ლიად წაუვიდა.

— თავად გითხრა? წყნარად წარმოსთქვა იმან და მხოლოდ მაშინ მოაგონდა თავშალი გაესწორებინა.

— თავად მითხრა... რაი იყო?

— არც-რა! მაყვალამ სრულიად შეიმაგრა თავი და თავშალი კიდევ გაისწორა; შემდეგ ისე რიგად გაბრუნდა, რომ მარგა-ლიტად გადმოკიდებული ორი ცრემლი მოსაუბრისგან დამალა.

— უფალმა ხელი მოუმართოს... რაისთვი ან აქამდე არ შეირთა?.. სარჩო კარგი აქვს და ქონება. დაუმატა ქალმა წყნა-რად და დამშვიდებით, მაგრამ ხმაში მაინც მწარე ნაღველი დაე-ტყო და შინისკენ გამობრუნდა.

ბეჟია დაედევნა უკან და ჯერ კიდევ ვერ აუხსნა ნაწყენის მიზეზები.

— მაყვალავ! ერთბაშად გაწყვიტა სიჩუმე მწყემსმა.

— რაი გინდა? უპასუხა ქალმა და ხმაში უკმაყოფილება დაეტყო.

იმ წუთში სიცოცხლეს მისცემდა, ოღონდაც მარტო

დარწყნილიყო, რომ შეგუბებულის ნაღველისთვის გზა მიეცა და ტირილით გული მოეჯერებინა. იმას კი ბეჟია მოსდევდა და, როგორც ეტყობოდა, ლაპარაკსაც აპირებდა. ქალს უნდოდა ეს კაცი თავიდგან როგორმე მოეშორებინა, მაგრამ ვერ მოეხერხებინა, რადგანაც ბეჟია იმათი მწყემსი იყო და ცხვარს უსაქმოდ არ მოშორდებოდა.

— ღთის მადლსა, მითხარი: წელან რაი მოგსვლოდა?

— რაი მომსვლოდა? შეუტია მაყვალამ და მწყემსს ხმა ჩააწყვეტინა.

— არა, მართე გვითხე. ცოტა სიჩუმის შემდეგ უპასუხა იმან.

— რაში გვკითხავის, რაი მომსვლია? უთხრა ქალმა და სიტყვა გადააბრუნა. — ცხვრიდგან რაისთვი მოსულხარ?

— ჯერი აღარ გვაქვს, მწყემსები მშივრები ვისხდებით.

— რაისთვი არ ჩამოსწვედით, ვისი ბრალია?

— აბა რაი ვიცი? სარქალმა სთქვა, რომ თავად ამოგვიტანენო და წველასაც ვეღარავინ მოვცლით.

— აბა სადით ამოგვიტანდით? სახლში ჩემს მეტი არავინაა და ცხენი კი მთაშია გაშვებული... დაფქულიც აღარა გვაქვს, რაი უნდა გვიყოთ?.. მზრუნველობით დაუმატა ქალმა.

— არ ვიცი და პური აღარა გვაქვს.

— სულ აღარა გაქვსთ?

— მგაი! გადუღო ხელი ბეჟიამ და დაუმატა: — ნამცეცაიც აღარა გვაქვს.

— მაშ ეხლავე წადი მთაჩივა და ცხენი ჩამოიყვანე; მეც ამაღამ წისქვილს მინდს ავუგებ და ხვალ კი პურს გამოვაცხობ.

— აგრე, მოკლედ უპასუხა ბიჭმა და მაშინვე გაბრუნდა.

— მოიცა, შინ ჩამოდი, პური შეჭამე, დაისვენე და ისე წადი.

— არ მშიან.

— რაისთვი არა, რაისთვი? შეებრალა მაყვალას, რომელსაც წელანდელი მეგობრობა მოაგონდა და დაუყვავებით შენანება უნდოდა.

— ეხლა გწამე.

— მთიელმა მამლის ყივილამდის ვერ ჩამოხვალ და მშიერი მოკვდები. თან მაინც წადი!... წისქვილში მინდის გატანასაც მიშველი.

მწყემსი დასთანხმდა და ორნივ, ცოტა საჭურის შემდეგ, შინ მივიდნენ. თუმცა მაყვალასთვის მეტისმეტად ძნელი იყო იმ წუთებში არამც თუ მუშაობა, არამედ ხელის განძრევაც კი, მაგრამ მთიელი ქალები აღზრდამ შეასწავლა უპირატესი ყურადღება სავალდებულო საქმისთვის მიექცია და ამისთვის დაწყევლილის გულით მოუნდა საკვალის კეთებას.

ყოველი მოძრაობა, ხელის ყოველი აღება, ტანაგის ყოველი აქნევა აწრაშებდა, აანჩხლებდა და გულში მწვავად გაისმოდა, მაგრამ მისი ხელი არ შეშდგარა და ტომარა ჩქარად ივსებოდა გადატანაგებულის სიმინდით.

საღამოსთვის მინდი მზად იყო; ბეყიას შემწეობით, ქალმა მძიმე ტვირთი ზურგზედ წამოიკიდა და გასწია პატარა წისქვილისკენ, რომელიც იქავ სოფლის მახლობლად იყო აშენებული.

მწყემსიც გამოემშვიდობა და მიმართა იმ მთას, სადაც ცხენებს საზაფხულო საძოვარი ჰქონდათ. ღამე თან და თან ახლოვდებოდა და მიწას ბნელს სუდარაში ხვევდა. ქვემოდ ხეობიდგან მზის შუქის ჩაქრობით გახარებული ნისლი წყნარად მოიპარებოდა, თითქოს საგულოს უმოწმოდ ხილვას ლამობდა; ყელ-მოღერებული გოლიათნი, იდუმალებით სავსე სიჩუმეში ნეტარებას მოელოდნენ.

ამ ხნის განმავლობაში ოსიკოს მდგომარეობაც უკეთესი არ იყო. განშორდა მაყვალას დარწმუნებული, რომ გულიდამ ამოიგლეჯდა ამ ქალის სახეს და, თუ ამას ვერ მოახერხებდა, სიკვდილით მაინც მოიშორებდა ვარამს.

ასეთის რწმუნებით გამოვიდა ოსიკო და რაკი, ეს გარდაწყვეტილება მიიღო, თითქმის რამოდენადმე დამშვიდდა.

ოსიკოს ეგონა, რომ ყველაფერი გათავდა და უკვირდა, ასე ადვილად დამძლევა თავის გულისა, მაყვალას მომხიბლავის თვალების გადავიწყება. მცირე ხანში აღმოჩნდა, რომ ეს მდგომარეობა იყო ძალდატანებითი გრძნობის შეჩერება, რომელსაც მცირედი შემთხვევა უნდოდა, რომ სისხლი ისევ ასდუღებოდა და შეყვარების წადილს შეუყოვნებლად გაებრძოლა.

ერთხელ ის იჯდა მწყემსებში და ვახშამს სჭამდა. ყველანი ჩვეულებისამებრ ოხუნჯობდნენ, იცინოდნენ და მხიარულობდნენ. ოსიკო, თუმცა ლაპარაკში მონაწილეობას არ იღებდა, მაინც იმათ არა მოშორდებოდა და გაუნძრეველი ყურს უგდებდა.

ერთბაშად მოისმა ფანდურის ხმა და ყველანი გაჩუმდნენ. მეფანდურემ ჩაჰკრა, ჩაჰკრა ძალებს, რამდენჯერმე ჩააკვნესა ფანდური და მგლოვიარის გულის დამღონებელად ლექსი დასძახა.

ის ამბობდა გრძნობით, ხერხიანად და ძლიერს ადგილებზედ ხმას ხან მედგრად ატრიალებდა, ხან შეწყვეტამდის ასუსტებდა, როგორადაც გულში ჩაბრუნებულს რამდენსამე ხანს აკანკალებდა.

შინაარსი ლექსისა იყო შემდეგი: „ერთი მონადირე მთაში ჯიხვებზედ სანადიროდ წასულიყო, ერთს ფიწალოზედ გადმოვარდნილიყო და კლდეზედ ბანდულის საბანდით*) ჩა-

*) ბანდული მთაში სასიარულო ქალამანი, რომელსაც ძირები წვრილის ღვედითა აქვს დაწნული. თვით ამ ღვედებს საბანდს ეძახიან.

მოჰკვდებოდა. მონადირე თავის ძაღლებს სისხლს, რომ სათოფეულში წავიდეს და ასწავლიდა, მარტოდ მარტო იმას საყვარელს შეატყობინოს მონადირის გაჭირვება. ძაღლი საყვარელს არ ენდობა, თუმცა პატრონის სიტყვას მაინც ატყობინებს და იმ ქალის გარეშე მონადირის დედასთანაც მიირბენს.

«საყვარელი ქალი თავის სატრფოზედ ამბობს: «თვალიმც დამიდგება, თუ მისში სიარული არ იყოდა, რაისთვის მიდიოდა?» დედა კი ხმა-ამოუღებლივ ლოცვანს წამოიკიდებს და გაფითრებული, მწუხარის გულით შვილისკენ გაქანდება.»

«შეატყობს სოფელიც და მღვდელი მიდის; მათ შორის გაჭირვებაში მყოფის «საყვარელიც მოსჩანს». მას გვერდით მისდევს კოხტა ბიჭი, რომელიც იგრიხება და იპრანჭება. ქალი ხშირად გაიხედავს ხოლმე და თვალს ჩაუკრეტს. ბოლოს ყველა მიაღწევს იმ ადგილს, სადაც კაცის გულის შემზარებელი სანახავი იყო. ფერადად მდელოზედ კაცი თავქვე გადმოკიდებული იყო. გამომშრალს ტუჩზე სისხლი მოსდებოდა და ისღა იმაგრებდა; წუთით წუთს ყველა მოელოდა, რომ სისხლი გაწყდებოდა და კაცი სულით ხორცამდის დაიკარგებოდა. დედას მდუღარება გადმოსდის, მკერდს დამსგავსებით, სული ამოსვლადს ლამობს. რბილად უშლის საგებელს და იმედობს, რომ თავის ერთად-ერთის ნუგეშს ამით მაინც გადაარჩენს. მოვარდება ყმაწვილი ქალი, რომელიც გაჭირვებაში მყოფს უყვარს. გაუშლის მკერდის და შესძახებს:

— «დაიცა, არ გრცხვენის შამისა?! გაინძერ, სისხლი გაწყდება და მერდინით დაგიჭერ. მონადირეს საყვარელი რწმუნებას აძლევს, ენდობა ქალის სიტყვას, შეინძრევა და, გადმოვარდნილი, ტვინ განთხეული, მიწას გაეცხობა. გამოსალმებასთან ერთად დედას სული ამოსძვრება და ყმაწვილს ქალს კი ჭკუ-

ზედ, კოსტა ბიჭთან ხელი ხელს გადახვეულს დაინახვენ.»

ჩაჰკრა უკანასკნელად მეფანდურემ სიმებს, ამოიოხრა და დაიძახა:

— თქვენი გამარჯვებისა იყოს!

ყველას სული გაუგმინდა, განაბულიყო და მხოლოდ ფანდურის შეწყვეტასთან ერთად თავისუფლად ამოისუნთქა ძლივს მოასხურნეს.

— დღეისთანა ტკბილია, ღვთის მადლმა! დაიძახა ვიღაცამ, სხვებმაც ჰური დაუკრეს და ლაპარაკი გახურდა.

მხოლოდ ონისე იჯდა ისევ ისე გაუნძრევლად და სახე მწარედ შეჭმუხნოდა. ეტყობოდა, მას გულში ამ ლექსებს საკმაო ნაღველი მოეგვრებინა და სავაგლახო დუმილით მოეცვა.

კარგა ხანი იჯდა ისე გაჩუმებული, ხმა ამოუღებლად. ყველანი წავიდ-წამოვიდნენ, მაგრამ ონისე არ გაინძრა.

— მაშ ულალატა? ბოლოს მწარის ოხვრით წარმოსთქვა და დაუმატა: — იქნება მეცა მიღალატობს და სხვა შეუყვარდა?... რისთვის, რადა? განა ჩემსავით სიყვარული შეუძლიან ვისმე?!. არა, არა ღვთის მადლმა!» გულის გასაგმირად წარმოსთქვა და აღგზნებულმა ცეცხლმა ორი, მაგრამ მეტად ცხარე ცრემლი თვალთაგან გადმოსწურა.

ონისემ გაასწორა ხელი, გაავლო თმებსა, წყნარად წამოდგა და იმ წუთიდგან ბაზარში აღარ მოსულა.

ათასში ერთხელ, ველად გავარდნილს ნადირსავით თვალს თუ მოჰკრავდა ვინმე, თორემ სალაპარაკოდ ხომ ველარ ვინ დაუახლოვდებოდა.

## VIII

ონისე სრულიად გაგარეულებული, მთებში დადიოდა და მე ხორციელს აღარ ეკარებოდა; ყოველი მისი ფიქრი, ყოველი სურათი დაბადებული აღელვებულის ოცნებისგან, ყოველი ამო-სუნთქვა მაყვალას შეეხებოდა და იქამდის ტკბილი იყო, რომ გარეშე ჭირის მიკარებას ცოდვად მიაჩნდა.

მთელი სიცოცხლე მოიხვევისა ამ ქალზედ ფიქრად გადა-ქცეულიყო და, როგორც ძუნწს ეშინიან, რომ მის სიმდიდ-რეს სხვა ვინმე არ მიეკაროს, ისე ონისეც განზე გასულიყო და მარტოდ მარტო ხსნიდა გრძნობის კიდობანს, მარტოდ მარტო, უმოწმოდ ისეირებოდა შიგა.

ყოველთვის, როდესაც კი მოუვლიდა ჟამი მაყვალას და-საკუთრებისა, ხან გამედგრებულის მრისხანებით, ხან ნიავსა-ვით ნაზის დაყვავებით შეეხებოდა საწადელს; გადაჯდე-ბოდა რომელსამე ქედობაზედ და შორს მანძილზედ გა-მოჩენილს მიდამოს, ხან განრისხებულის, ხან წყნარის და ედემის სიამოვნების მოდებულის ხაზით დიდ ხანს გასცქეროდა; გასცქეროდა ისე, რომ კაცი იტყოდა: «შორის გამოხატულის სურათების შესწავლაში არისო, ცდილობს მეტის დაკვირვებით უკლებლად შეაბეჭდოს ყოველი მათი ხვეული, ყოველი მათი საჩითო»;—მაგრამ ონისე იმ დროს სინამდვილეს კი არა ხედავდა, მისი გონება შორს, შორს გაფრენილიყო და თვალ-წინ მხო-ლოდ მაყვალას სახე,—ხან გულ კეთილს ანგელოზად, ხან გა-მედგრებულს, უწყალოს მაცდურად ეჩვენებოდა.

ზოგჯერ შეხვდებოდა ხოლმე ისეთი წუთები, როდესაც ოცნებას სასიყვედლ მოულოდნელად უნცაროთ გაგლეჯს წარმო-

უდგენდა; წარმოუდგენდა მამლუცს ქმნილებას, რომელიც გაღიმებულ გულს მხოლოდ ციურის სიტკბოებისათვის-ღა მომართავდა. იმ წუთებში ონისე იყო ბედნიერი, სტკბებოდა ამ ჰანახავით და აღარ ეცალა სხვა რომელსამე მოაზრებას მისცემოდა; მის არსებაში სხვა გრძნობისთვის ადგილი აღარა რჩებოდა; მაგრამ, რამდენადაც წარმოუთქმელს ბედნიერებას ამ მდგომარეობაში პოულობდა, იმდენად მეტის ძლიერებით გულს გადახვრავდა ოცნებაში გონების ჩარევა.

მისთვისვე გამოურკვეველად მეტის მეტად ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა მწყემსის სიმღერას და ამ დღიდგან ხშირად თავში გაურბენდა ფიქრი: «იქნება ქმარსაცა ღალატობს და მეცა?!»

რაკი ამ საგანს შეეხებოდა, ეს ფიქრი იქამდის მძიმეს ლოდით დააწვებოდა მთელს მის არსებას, რომ ველარ უძლებდა და მოღუნული, მთლად გასრესილი ბზსავად, ღონემოკლებულად გამოიხედებოდა; თითქოს გველი შემოხვევიაო, იდუმალი ძალა ისრე ღრღნიდა, გულს უსოკდა და სისხლსა სწოვდა.

თუმცა ამ გვარს, ძნელად ასატანელს და გასაძლებს ბრძოლაში იყო, მაგრამ უბედურებას ჯერ კიდევ ვერ დაემორჩილებინა და წუთის დასუსტების შემდეგ ამაყად თავ-აღებული წარმოდგებოდა, გაიმართებოდა წელში და მედგრად წარმოსთქვამდა: «მაყვალა მიყვარს და ჩემი უნდა იქმნას!» და ამ სიტყვებში სჩანდა წარმოუთქმელი ძალა, ძალა შეუყენებელი და შეუდრკენელი.

აშკარა იყო, რომ მის გრძნობას გაბრძოლების დროს წინ ვერაფერი გადუდგებოდა, ვერა ვითარი მოაზრება ვერ შე-

აშენებდა და მას მოსპობას, მხოლოდ ყურადღების მომსპობელი წიკვლილი და შესძლებდა.

ერთს დღეს ონისეს გული მეტის მეტად ჩაჭმუნოდა, ჩაჭკნელებოდა და ცივს, ვიწრო სამარედ გადაჰქცეოდა; ისეც ოდნავის ფეთქით გრძნობის გამომთქმელს, თითქოს გარს რკინის თალი შემოსწარებოდა და თან და თან ჭანჭრაკის მობრუნებით გრძნობის ნებასაც აღარ აძლევდა. უგუნებოდ შექმნილს გონება ერეოდა, თვალთ უბნელდებოდა და სიცხისაგან გამშრალი პირი უნაღვლებოდა. გაუწყვეტელმა წვალებამ მოქანცა, დაასუსტა და მოთმინება გაუწყვიტა. მასუსტებულს სხეულს მოსვენება დასჭირდა, თვალს ლული მოერია და თავისავე უნებურად მოეხუჭა. ის მიეცა რაღაცა უგონობას, რომელსაც ცნობიერებამ ძალა დაკარგა და რაღაცა გარს გამოურკვეველობაში ჩავარდა. მას, მართალია, თვალები მოეხუჭა, მოსვენება ეწირებოდა და ტკბილი განცხრომა რამოდენსამე შვებას მისცემდა; ძილი თუმცა თავს დასტრიალებდა, გარს ეხვეოდა, მაგრამ სრულიად ვერ დაემორჩილებინა. ის იყო გამოურკვევა ბურანში და ვერც გაეღვიძა, ვერც ძილისათვის მიეცა თავი. ამ მდგომარეობაშიაც უგუნებლობა და უცნაური თავის მოსაბეზრებელი მდგომარეობა არა შორდებოდა. კარგა ხანმა გაიარა ასეთს გამოურკვევლობაში, რომელსაც ბუნებამ თავისი მოითხოვა. მთიულმა იგრძნო ოდნავ გულის რევასთან ერთად მცირედი თავბრუს ხვევა და ჯერ წამოსადგომად წამოიწია, მაგრამ მაშინვე ისევ დაეცა, გადმოიშხლართა და ძილმა ძლივს დასძლია.

ონისეს დაუძინა იმ ტკბილის ძილით, რომელიც შეუძლიან გამოსცადოს ძლიერს, სხეულით კარგად მყოფს, მაგრამ ასეთს კაცსა, რომელიც მოქანცულა და მის ბუნებას დაკარგულის ძალის აღსადგენად მოსვენება მოუთხოვნია.

დილიდგან დამინებულს მოხუცს, მზის გადახრამდის ისე ეძინა, რომ ერთის გვერდიდგან მეორეზედ არ გადაბრუნებულა, ხელი არ გაუქნევია. მხოლოდ პირის სახეზედ ხანდისხან მჭმუნვარება დაეტყობოდა ხოლმე, შუბლი ნაოჭად შეეკროდა და მწარედ ამოკვნესასთან ერთად, ტუჩები მოძრაობაში მოჰყვანდა. ეტყობოდა, რომ სიზმრის დროს აღძრული სურათები გონებაში მტკიცედ ჩასჭედოდა და ძილშიაც აღარა შორდებოდა.

რამდენიც ხანი გადიოდა, პირის სახე წყნარ-წყნარად უმშვიდდებოდა, შუბლის ნაოჭი ეშლებოდა და ქშენა უწყნარდებოდა, თანასწორი უხდებოდა. წუთიც და სახეზედ სიამოვნების ბეჭედმა შეუთამაშა; ტუჩებმა ოდნავ გაუღიმა და გულ-აღმა ამობრუნებულმა მარჯვენა მკლავი თავ-ქვეშ ამოიდო. მთელმა კიდევ გაიღიმა, სახე მთლად გაუბრწყინდა და გულით გადიხარხარა. ეტყობოდა, რომ მის ჩაბნელებულს გულს ნათელი სხივი ჩაშუქებოდა და წყვდიადით სავსე, სევდიანი უფსკრული ნათლად გაეშუქებინა. მეტის მეტი სიტკბოება დაეტყო ონისეს სახეზედ, მაგრამ ეტყობოდა, რომ ნაგრძნობი მეტად ძლიერი უნდა ყოფილიყო, რადგანაც მან ძილი შეუკრთო და თვალი გაახილებინა. ონისეს სახე ჯერ კიდევ უღიმოდა და აშკარადა სჩანდა, რომ სიზმრისგან აღძრული სიტკბოება ჯერ არ განქრობოდა; თვალების ახილებით აღძრული ნეტარება არ უნდოდა გაეწყვიტა; ასე დარჩა რაოდენსამე ხანს, მაგრამ მალე თვალები გაახილა, სჩქაროდ ფეხზედ წამოდგა და შუბლზედ ხელის გადასმით, უკმაყოფილოდ წამოიძახა:

— ტიალო! აღარ დამეძინა.

შემდეგ ამოიოხრა წყნარად და იქავ ახლოს ჩამომდინარს,

ანკარა წყაროსთან პირის დასაბანათ და გახურებულის შუბლის გასაგრილებლად მივიდა.

როდესაც ცივი წყალი საკმაოდ ისხა თავზედ და სახეზედ, საკმაოდ გაგრილდა. ჩოხის კალთით შეიმშრალა პირი რამდენჯერმე გადაისვა სველს თავზედ ხელი, მივიდა მთიდგან ჩამოგორებულს ქვასთან და ჩამოჯდა.

რამდენსამე ხანს მოწყენილი რაღაცა ფიქრებს ეძლეოდა და თავისათვის ჩუმად ლაპარაკობდა; ბოლოს წყნარად, სევდიანად შემღერა:

«მთაო! გადმიშვი, მაღალო
«რას ნისლი მოგიხვევია?
«შენს იქით ჩემი საგულო
«ცხოს ვისმე ჩაუხვევია!»

წარმოსთქვა ეს და უკანასკნელს სიტყვებთან ერთად თვალები ცეცხლად აენთო.

— ცხოს ვისმე?! ერთბაშად წამოიძახა იმან და წამოვარდა.

სახეს ალმური აუვარდა, შუბლი შეეჭმუხნა და წუთს წინედ სასიამოვნო, დამშვიდებული სახე გამეხებულს ელვას დაემსგავსა.

— არა, ღვთის მადლმა, მატყუარა! თუ მე არა, ცხოსაც ვერ ერგები!... მე ცხოზედ მეტად მიყვარხარ და საუკუნოდ ჩემი ხარ.

«როსტომ თქვა: ერთი არა სჯობს
«ამ ჩემსა მოგონებასა.
«ერთხელ სჯობის სიკვდილი,
«სულ მუდამ დაღონებასა!»

— სჯობიან, სჯობიან, ღვთის მადლმა! წამოიძახა იმან და თავ-ქვე დაეშვა.

ის მიდიოდა გაჯავრებული, მგლურად[1]) და პირზედ ხვარითქმი გადასდიოდა. სახეზედ დასტყობოდა, რომ რაღაცა განზრახვა გადაწყვეტილებად გადაქცეოდა და მისი გაჯავრება, წინ გადადგომას ვეღარავის შეეძლო.

ის იყო ცხვირ-წამოწვდილს კლდეს მიაღწია, სწორედ იმ ადგილს, სადაც სარტყლად შემოხვეოდა და კაცის თვალის-თვის იფარებოდა, როდესაც მეორე მხრიდგან მომავალი კაცი წინ შემოეყარა.

— ონისეს გამარჯვება! შეაძახა კაცმა და გაკვირვებით შე-ხედა, რადგანაც ონისეს პირისახეს არეულობა შეატყო.

— ბეჟიავ, შენა? შესდგა ონისეც და მიესალმა მგზავრს, თუმცა გულში კი ათას გვარად სწყევლიდა ასე უდროოთ შე-ფერხებისათვის.

— სადა გამგზავრებულხარ? ჰკითხა ცნობის მოყვარულმა ბეჟიამ.

— არსად, მომწყინდა რასმე და ნადირობ წამოვედ.

— ოჰო! გაიკვირა ბეჟიამ და მაშინვე დაუმატა: — ჯიხვის თავი, ჯიხვის თავი! [2]) ღმერთმა ხელი მოგიმართოს.

თუმცა ბეჟია ასე ლოცავდა, მაგრამ ნაცრიებულს გამომ-ცდელს თვალებზედ ეტყობოდა, რომ ონისეს სიტყვები არა სჯეროდა.

— ქვეითქენ რაღად მიდიხარ? ვერ გასძლო შემცხვარემ და ჰკითხა.

— გაღმა მთაში ვაპირობ ნადირობას.

---

[1]) მთაში ჩქარს სიარულს ეძახიან მგლურსა.

[1]) სანადიროთ მიმავალს მონადირეს ყველა შემხვედრი ამ სი-ტყვებს ეუბნება: ხოლო მომავალს: — «კვალად უფრო, კვლავ უფრო».

— რაისთვი, რაისთვი? აქა სჯობია...

— აქ მწყემსები დადიან და ნადირი დამკრთალია.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს... ნეტა არ შეგხვედროდი მაინცა,— გზა შეგიშალე.

— რაისთვი?... იღბლიანი ბიჭი ხარ და შენთან შეხვედრა გონჯი არაა.

— იღბალი მოგცეს უფალმა. უპასუხა ბეყიამ და განაგრძე-და: — უნძრახი რკინის ბეჭედი არა გაქვს?

— რაიო!

— უნძრახი რკინის ბეჭედი, მეთქი.

— რად მინდა?

— აუ, რად მინდა, რაიღაა?... გარგია, ჩემო ფშველავ, გარგი-

— რაისთვი?

— აი გაიგონებ... დიდ პარასკევს მჭედელი ადგების, ხმას არავის გასცემს; არც არას შესჭამს, არც არას დალევს, ეგრე უხმოზედ, უნძრახად დააყრის ქურას ნასმარსა, გაადუღებს. გამოსჭედს ბეჭედსა და ვინც იმას ატარებს, ვეღარც მავ-ნე, ვეღარც ავი თოფი უზამს რასმე.

ონისე მოუსვენრად იდგა და მოუთმენლად მოელოდა ამ ამბის გათავებას, რომელიც აქამდის ათასჯერ გაეგონა.

— მშვიდობით ბეყიავ! სასწრაფოდ უთხრა ონისემ, რა წამს მწყემსი გაჩუმდა.

— აუ, ბეჩავ! რას მიეჩქარები?... ბატარა ხანს დავსხდეთ... მეც დაღალული ვარ და შენც დაისვენებ.

— არ მცალიან, მიგვიანდების.

— ბატარა ხანს, ჩემო ფშველავ, ბატარა ხანს... ვილაპარა-კებთ რასმე... დროსაც გავატარებთ და დავისვენებთ კი-დეცა.

— სად ყოფილხარ, რომ აგრე დაღალულხარ? ჰკითხა ონისემ თავ-მომბეზრებელს მოსაუბრეს.

— აი აქ წამოვესწრეთ. გიამბობ. უჩვენა ქვაზედ, რომელიც იქვე გზის პირზედ იდო.—აი ასე... ეხლა ფეხებს გავტყვი...

ბეჟია დაჯდა; ონისემაც მოშორება ვეღარ მოახერხა და გვერდს მოუჯდა.

— ჯერ, თხები, დასწყევლის წმინდამ გიორგიმ, თხა ხომ ეშმაკია... კლდეში გასულიყვნენ, იქ დარჩენილიყვნენ და განთიადისას წამოსარეკად გამეგზავნეს... წამოვედი იქიდგან და გზიდან შინისკენ გამავლეს, ჯერი ემდენაი აღარა გაქონდა! ფრჩხილი კბილზედ ამოიკრა და ცოტა ხანს გაჩუმდა,—ჩავედი შინა და ცხენ ტიადაც მთაში გაუშვათ საძოვარზედ. ეხლა მთაში მივდივარ, უნდა ჩამოვიყვანო.

როდესაც ონისემ გაიგო, რომ ბეჟია შინიდამ მოდიოდა, ყურები აცქვიტა, რადგანაც იცოდა, რომ ეს კაცი მწყემსად ველას ადგა და შინას იმის სახლს ეძახოდა.

აქამდის მზად იყო ფულით მოეშორებინა თავიდგან, მაგრამ რა წამს გაიგო, რომ მას მაყვალა ენახვებოდა, იმისი ამბის შეტყობინება მოუნდა, მზად იყო მწყემსთან თუნდა შუა ღამემდის დარჩენილიყო. მაყვალა ონისესთვის დაუფასებელი იყო, მწყემსს მის სახლობას ესუნთქა, ონისესთვის ამ წუთებში ბეჟიაც ფას დაუდებელი შექნილიყო.

— რა ღმერთი გაუწყრა, მოუთმენლად იძახდა გულში ონისე.—ერთი, ერთად ერთი სიტყვა არა სთქვა მაყვალაზედ.

მაგრამ თითქოს განგებ, ბეჟია ამ საგანზედ გაჩუმებულიყო და მაყვალას შესახებ ლაპარაკის დაწყობისთვის გრიკა შეჰკროდა.

უბედათ გადაქცეული მწყემსი, გაუჩერებლივ რატრატებდა

მომღერლის წინაქვეყნისავით და ყრუად ყრითი მარცვალი არ გადამოუცდა იმ თესლისა, რომელსაც ისე მშვიდად მიუყვებოდა ონისე.

— მაშ შენ იცი? ძლივს მოახერხა მოხევემ.

— შენა.

— საწყალო, რამდენი უწვალებიხარ?

— აბა, რაღა ვუყოთ? ბეჩავად უპასუხა ბუყაიმ.— ჯერ გლეხის გაჩენა სიქვე და მერე მოჯამაგირისა!... სადაა ჩვენთვის მოსვენება... შენ ძალზედ დაღალული მოვედ, მინდოდა დამესვენა, მაგრამ მაყვალას ხათრი ვერა გადუტეხე.

— მაყვალას? ჰკითხა ონისემ, რომელიც გაწითლდა ამ ქალის სახელის გაგონებაზედ და მღელვარების შესაყენებლად წყნარად ხმა ამოიწმინდა.

— ჰო, მაყვალასა... რაც გინდა სოფლი და იმისთანა ჩვენს თემში არ გინაა, ღვთის მადლმა! იმას კაცი ხათრს ვერ გადუტეხს.

— შენ იმაზედ როგორღაც ლაპარაკობ! ლამაზია, მაგრამ ცუდად დაფარულის მღელვარებით კითომც მაესუმრა ონისე და ხმაში კანკალი დაეტყო.

— რაისთვის არ ვლაპარაკობ? ღვთის ნიერი ადამიანია... კაცს იმას არ ეტყვის, რომ თოლ ზედით წარბი შეხრილი გაქვსო... მერე გული?... ხასიათი?!... სწორედ უფლის ნათლულია...

— მაშ კარგი გულისაა? თან და თან მღელვარება ემატებოდა მოხევეს.

— ჰმ, ჩაიცინა ბუყაიმ. — კარგი და აგეთი?.. კაცი იმის ქებას საით იტყვის?.. მაგრამ ბეჩავი! სახლში ხელ-მარტოა და ჯაფა ბევრი ეყრების.

— ბევრსა მუშაობს? მზრუნველობით იკითხა მიქელმა.

— ოჰ, ჰო, ჰო! გაიოცა ბეჟიამ და ტაში გაჰკრა.—მაგის შრომის ამტანის კაცის მნახველი არა ვარ!

— ბეჩავი! ვეღარ გასძლო ონისემ და თავ-დავიწყებული გაყურყოლდა.

— მა რაი იქნება, შენაი ჭირიმე! სახლი, დიდი საცხოვრებელი და საქონელი ბალახთ უმრავლესი, თითონ კი მარტო!... გამღოდა არ უნდა?... გადაუხარა თავი და ისევ თითონვე დაუმატა:—უნდა, უნდა, ღვთის მადლმა!..., მაგრამ რაი გაცასცახებს?? ერთბაშად განწყვიტა ბეჟიამ და მოლაპარაკეს მიუბრუნდა.

ონისე შეკრთა და თავის შემაგრება სცადა. გაიგო, რომ ბეჟიამ აღელვება შეამჩნია და მაყვალას სახელი კი მისთვის მეტისმეტი სიწმინდე იყო, რომ ვისთვისმე სალაპარაკოდ პირში მიეცა.

— არც-რაი... ისე რასმე გამაყურყოლდა.

— თუ არ გაცივებს?

— მთაში ცივებას რაი ზული აქვს, მაგრამ მცივა კი. მოიბუზა ონისე და ნაბადი წამოიჭუჭკა.

— იქნება ბარად იყავ სადმე და იქიდამ მოგყევა. გადაუგდა ისევ ბეჟია.

— იქნება. მოკლედ უპასუხა ონისემ და მოიწადინა, მაყვალას შესახებ, თუ ბეჟიას ეჭვი რამ აელო, სრულიად გაექარვებინა.

— მაშ ლამაზიც არის? წყნარად იკითხა და ფრთხილად შახედა.

— ვინა?... მაყვალაი? ციდგან მოწყვეტილი ვარსკვლავია, ღვთის მადლმა.

ამ სიტყვებზედ ონისეს გულმა ისე გაუთამაშა, რომ ყოველის მეცადინეობის წინააღმდეგ, ხმა მაღალი ოხვრა მოსტაცა.

ბეჟიამ კიდევ შეხედა და ცნობის-მოყვარეობით ჰკითხა:
— რაი მოგდის?

— ბარად დამცადა! ფრთხილად ჩაიღიმა იმან და ცოტა სიჩუმის შემდეგ, დაუმატა:—მე კი არ მომწონს ეგ თქვენი მაყვალაი და არ ვიცი...

— რაო! იკითხა ბეჟიამ გაკვირვებით და გადაიხარხარა:— ჭკონით თუ არა ხარ?

— რას რატრატებ? კიდევ მეტის გაკვირვებით დაუწყო ცქერა—ქალი ქვეყანას აგიყვებს და ამას კი არ მოსწონს!... გაიკვირვა ბეჟიამ.

— ჰო და არ მომწონს, რაია?

— აუ! ვეღარა მოახერხა-რა ბეჟიამ და გაჩუმდა.

— ქმარი არ მოსულა? კარგა სიჩუმის შემდეგ დაიწყო ფრთხილად ონისემ.

— არა... სადაც სამზამთროდ ადგილი ეგულებოდა, მიჰყვა გაუზუგამს და მოუშუშია... ახლა ქვევით წასულა ბინის დასაქირავად.

— ცოლი სულ მარტოდაა?

— სულ.

— ეგეთს ცოლს, თავს მარტოდ რად ანებებს?

— რაი უნდა?... ვაჟ კაცის ოდნობა შეუძლიან.

— იქნება, მაგრამ მარტო ქალი ბეჩავია.

— სულ მაგას რომ მოუჯდეს და საქმეს აღარ მისდიოს, ისეც არ გამოდგება. მაყვალას ფიქრი არ უნდა,—იმას ვერავინ გააჯავრებს. მტკიცედ უპასუხა ბეჟიამ და დაუმატა:—აი

ეხლაც, სულ მარტოდ-მარტო წისქვილში მანდს უდგას.

ამ სიტყვებზედ ონისე გველის ნაგბენსავით წამოვარდა და გაფითრებულს თვალები ცეცხლად აენთო.

— რაი სთქვი? გაგრძელებით წარმოსთქვა იმან და მოსაუბრეს მკლავში ხელი მაგრად მოუჭირა.

ბეყიაც წამოდგა და შეშინებულმა დაფანტვით წამოიძახა:

— რაი ვსთქვი?

— მართალია, რომ მაყვალა, მარტოდ მარტო წისქვილშია არის?... სთქვი, სთქვი, ჩქარა. ონისე ძლივს-ღა სუნთქავდა, ძლივს-ღა ახერხებდა სიტყვებს და ხმა იქამდის აღელვებოდა, რომ ყელში ძლივს-ღა ხრიალებდა. ის ანჯღრევდა ბეყიას ანგარიშ-მიუცემლად და ღონიერის, მარღვიანის ხელებით მკლავებს ამტვრევდა, შედარებით ბევრად უფრო სუსტს მწყემსსა.

— ბეყია გველსავით იკლაკნებოდა შიშისა და ტკივილისაგან; სახე უცნაურად ეღმიჭებოდა და არ იცოდა, ონისეს გამედგრება რითი აეხსნა.

— მართალს ვამბობ, მართალს, ღვთის მადლმა, შესაბრალის ხმით იძახდა მეცხვარე, რომელიც გულში სწყევლიდა თავის მოუსვენარს ენას, რომ ამ გაჭირვებაში ჩააგდო.

— მარტოა, სრულიად მარტოდ მარტო?

— მარტოდ მარტო.

— კარგი... გაუშვა ხელი ონისემ და მედგრად ამოიოხრა: — წადი ეხლა, წადი და ვინძლო პირზედ კლიტე დაიდო... ეცადე არავისთან წამოგცდეს, რაც აქა ნახე, თორემ ღმერთი იყოს შენი თავდები, შენის ორის თვალის მეტი ვერა გიხსნისრა.

— აჰ, ბეჩაო! რაი დაფიცება მინდა?... უთხრა განთავი-

სუფლებით გახარებულმა ბეყიამ.—მიწამც ჩამიტყდებიას, თუ მე ხორციელმა ჩვენი შეხვედრა გაიგოს.

— აბა, მე კი გაგაფრთხილე და შენ იცი. არეულად ლაპარაკობდა ონისე.

მწყემსმა წამოგროვა გუდა-ნაბადი, წამოიკიდა და შორი-ახლოდგან შესძახა:

— მშვიდობით ონისევ!... ნუ გეშინიან, ჩემგან ვერავინ რას გაიგებს.

ამ სიტყვებით გაბრუნდა, გაიღიმა და თავისუფლად ამოისუნთქა; ერთბაშად მოესმა:

— დაიცა ბატარაი,

— რაი გინდა? გაუბედავად წარმოსთქვა ბეყიამ და შესდგა.

ონისე ჩქარის სიარულით მიუახლოვდა იმას და ნახევარ ხმად დაუწყო:

— ნამდვილად წისქვილშია?

— წისქვილში.

— ეხლაც იქ არის?

— იქა.

— მარტოკა არის?

— მარტო.

— არც არავის მიელის? დააცქერდა ონისე ისე, თითქოს უნდოდა ბეყიას გულის სამარკვლამდის ჩაეღწია.

— არა, ონისევ, გეფიცები ზეცით ღმერთსა და ქვეშ დედა-მიწას!... ბეჩაო, მაყვალაი, განა ეგეთია?

— კარგი, კარგი, მაგრამ რა იცი, რომ იქაა?

— მე თავად მივიყვანე... საფქვავი იმას ეკიდა და შემბრალდა... მერე მე გამოვართვი და ნახევარ გზიდან მე მიუტანე.

— მშვიდობით ბეყიავ!.. მშვიდობით! საჩქაროზედ დაუმა-

ტა ონისემ და უფრო საალერსოდ ხვეწნით გააგრძელა: —ძმობას გაფიცებ... გაფიცებ, რაც კი საფიცარი გაქვს, დაივიწყე დღევანდელი საღამო... ვითომ არც კი გინახივარ, სიტყვა არ გაგიგონია ჩემგან...

— ახა, ონისე, ღვთის მადლმა, გამოგიტყდები... წეღან რო გაჯავრებულს მისტუმრებდი, ყველას ვეტყოდი, ყველას გავაგებინებდი, მაგრამ ეხლა... ეს ტყვიამც განახავს ჩემს გულში, თუ გაჰცე.

ამ სიტყვებთან ერთად ბეჟიამ მასრიდამ ტყვია ამოიძრო და გადასცა.

— ონისე მოკვდეს და შენ იცოცხლე! სიხარულით წამოიძახა მოიელმა და თავისი ტყვია სამაგიეროდ მისცა.

ამ უბრალოს, მაგრამ მტკიცე ჩვეულების შესრულების შემდეგ ორი ძმა გაიყარა, ორი ძმა, რომელიც ველარც ჭირში და ველარც ლხინში ერთმანეთის ველარ უღალატებდნენ; ერთმანეთისთვის გაჭირვებაში თავს დასდებდნენ, სანამდის ერთმანეთის ღალატს შეუდგებოდნენ.

წუთის შემდეგ, ცხვირ-გამოწვდილმა კლდემ განაშორა ესინი და ორივენი თავის საგონებელს მიეცნენ.

## IX

შუა ღამე იქნებოდა, როდესაც ონისემ სნოს ხეობის დაღმართს მიაღწია იმ დროს, როდესაც ზევით მთვარე გაკაშკაშებულიყო, ქვევით ნისლი შემოჭყედილიყო და მთვარის შუქით განსპეტაკებული თეთრს ბამბასავით გადაშლილი იყო. ონისე ჩამოსცდა აღმართს და ნისლში გაეხვია. მთვარე აღარა

სჩანდა, მაგრამ ბურუსს სხივი მაინც აშუქებდა და სასიამოვნოს ფერს აძლევდა. ჯვარი, რამდენადმე დანოტიოებული, ქარს მოძრაობაში მოჰყვანდა და მთიელის გახურებულს შუბლს დაყვავებით უალერსებდა.

ბუნების სურათებს თეთრი ფარდა გადაეფარებოდა და კაცის თვალისთვის დაუმალა სხივით დაშვენებული გოლიათი. ათასში ერთხელ სადაც კი ნიავი მაღლზედ დაჰქროლავდა, თეთრი საბურველი გაწყდებოდა და მის შუა თითქოს იმ წუთას მიწიდგან ამოიზრდებოდა უზარმაზარი, შავი, თვალ-შეუწვდენელი მთა, რომელიც გარს შემოხვეულს სითეთრეში მეტად და მეტად საოცნებო ხდებოდა.

სადმე, მაღლად აშვერილს კლდის წვერზედ კვირგვინად მოდგმულნი მნათობნი გაიკამკამებდენ, გაიბრწყინდენ და დარცხვენილს პატარძლისავით, პირ-ბადეს ჩამოიფარებდენ. ნისლი ხან აიწევდა, თითქოს მიწის მეგობრისა დარცხვენიაო, ხან გაუმაძღარად დაეშვებოდა, თითქოს მინდვრის ბაგეებთ მიუზიდაო.

ამ ბუნების სურათების მოუსვენარს ცვლილებათა შორის ჩქარის ნაბიჯით მოაბიჯებდა ონისე და მოუთმენლად გასცქეროდა იმ სერობს, რომელიც ხან შორს მანძილზედ გამოუჩნდებოდა და გულს მეტად აუცახცახებდა, ხან ისევ ნისლში წაიხვეოდა და თითქოს მანქანებას თვალ-წინიდგან მოსტაცებდა.

აგერ ქარმა დაჰქროლა, ბურუსი შეარყია, შეაღეღა და მალე ისევ დარღვეული ნაგლეჯ-ნაგლეჯად მაღლა ასწია. ონისეს თვალ-წინ გამოუჩნდა სნოს მდინარე, რომელიც ვაკე ადგილას წყნარად, დამშვიდებული მიიკლაკნებოდა. მის ნაპირებზედ შავად მოჩანდა აქა-იქ გაბნეული გარეგნის პატარა წისქვილები, რომელთაც ღამის გამო უბრალო ქვებიდგან ძლივს გამოარჩევდით.

ონისემ შეჰკრა მათ თვალი და გულმა ძლიერად ფანცქალი

და-უწყო, ის მიდიოდა გაწქარებული, რაც კი ძალა და ღონე ჰქონდა, თავს აღარ «სწყალობდა», მაგრამ მას მანძილი მეტად გრძლად ეჩვენებოდა, მოძრაობა მეტად წყნარად და ზარ-მაცად. სავანი მისი მისწრაფებისა იყო ერთი ამ წის-ქვილთაგანი; მაგრამ, იქ რას მოელოდა, რა დახვდებოდა და რა რიგი გრძნობა აღუძრდა, თითონაც არ იცოდა. მეტად ტკბილი იყო წუთი სატრფოსთან შეყრის მოლოდინისა, მაგ-რამ, ბედისგან დაჩაგრულს, ვინ იცის, ეხლაც რა ექადოდა.

იქნება იმ დროს, როდესაც ასეთი წმინდა და ნათელი შუქი ონისეს გულს ჩაჰფენოდა, მაყვალას ეს ყამი სხვის და-სატკბობლად ამოერჩია, სხვა გაებედნიერებინა და ონისეს გულ-ში საწამლავის ჩასხმით, სხვის გვერდი გადაეშალა?!

ონისეს უნდოდა, უნდოდა როგორც ქალს გათხოვება, როგორც თევზს წყალი, ფრინველს ჰაერი, რომ ჩქარა მიეღ-წია თავის მგზავრობის საგნისთვის, ჩქარა მიახლოებულიყო იმ პატარა ქოხსა, სადაც მისი ედემის ვარდი ღუოდა, სადაც თვლემაში მისი გვრიტი ერთობოდა, მაგრამ იმავე დროს, წარ-მოუთქმელი შიში გულს ათას ნაწილად უძიძგნიდა, მუხლთ ეჭრებოდა, ემეცებოდა და სასოწარკვეთილებაში ვარდებოდა. რამდენიც მეტს უახლოვდებოდა წისქვილს, იმდენად აღძრული გრძობა უძლიერდებოდა და ატეხილს ქარიშხალსავით გულს აქეთ-იქით აწყვეტებდა. ღელავდა მისი სისხლი, ღელავდი აზ-რი, გონება! ღელავდა სული და გული და ამ მღელვარებას-თან მოსდევდა გამეძგრებული ქარიშხალი, რომელიც უწყალოდ სწვავდა და აღძრულს ცეცხლს უძლიერებდა.

აგერ, წისქვილის სარკმლიდამ შუქიც გამოკრთა. მთელს მოხვდა პირისახეში და შეაკრთო. ონისე შესდგა და ნაწყვეტ-ნაწყვეტად ქშენა დაიწყო. აღარც გული უსვენებდა, აღარც

სულთქმა აცლიდა. რაღას შემდგარა, შეშინებულს დაჭრილსავით? ტყვიის ხომ არ ეშინიან, რომელსაც შეეძლო მისი სიცოცხლის წყვეტა? ან იქნება ზასრის ხანჯლისა, სიცოცხლის ისე ადვილად გამქრობელისა? თითქოს ონისემ შიში არ იცოდა?!.

არა, ონისეს სიკვდილისა არ ეშინოდა, ონისე პირზედ ღიმილით დახვდებოდა განსაცდელს, ხარხარით დახვდებოდა იმ თავ-ხედს, რომელიც შებმას გაუბედავდა, მის წინააღმდეგ გამკლავებას მოისურვებდა!... აქ სხვა მიზეზი იყო, აქ შეხვდებოდა ქალი, შეჭურვილი ისრის მაგიერად, ყუყუნა თვალთა ელვარებითა, ქამანდის მაგიერად, მომხიბლავი ბაგეთა ღიმილით და ფარის მაგიერ შეურყეველი თავ-შეკავებით, რომელმაც ისე დასცა, დათრგუნა და ძალა მოუსპო, რომელმაც მოსწამლა, მოხიბლა და მონად გაიხადა.

კარგა ხანი იდგა ონისე და ისე ცახცახებდა, რომ კბილი კბილს აცემინებდა. რამდენჯერმე სცადა ფეხის გადადგმა, მაგრამ გაუნძრევლად იმავ ადგილზედ დარჩა. ბოლოს გადისვა შუბლზედ ხელი, შემდეგ მისწვდა მკერდსა და ძალზედ მოუჭირა, თითქოს მათ აღშფოთებულის სისხლის შეჩერება უნდოდა, ამოიოხრა და გაბედა.

შესდგა თითის წვერებზედ, განაბა სული და წყნარად, სიფრთხილით შუქისკენ გასწია.

ონისე მიიპარებოდა, მიიპარებოდა ისეთის გაფრთხილებით, როგორც პატარა ბავშვი, რომელიც ჩიტს ეპარება დასაჭერად და ეშინიან მოულოდნელის განძრევით არ შეაკრთოსო.

კარგა ხნის შემდეგ, ბიჭმა მიაღწია წისქვილის კედელს და ხელი მიაშველა, რომ არ წაქცეულიყო, რადგანაც თავბრუ დაეხვა და თვალთ დაუბნელდა.

ოსიპე მალე მოვიდა გონსა და, თუმცა შუბლი თითქმის სარკმელთან ჰქონდა მიტანილი, მაგრამ შეხედვა ვერ გაუბედა; დაშვებული თვალები ვერ აუმართა, თუმცა მაყვალას სახეს ოცნება მაინც ცხოვლად უხატავდა.

კარგა ტანჯვისა და წვალების შემდეგ, ოსიპეს მოუთმენელად მოუღრიჯა კისერი, სახე მიუახლოვა სარკმელს და გაწამდა.

მის თვალებს წარმოუდგა მაყვალა სრულის თავის მშვენიერებით. პატარა წისქვილში, განათებულს ცეცხლის წინ ქალს გაეშალა ნაბადი და ზედ დამჯდარიყო. საგულე-გახსნილს პერანგის ღილიც გახსნოდა, საყელო ჩამოვარდნოდა და ბროლ-ფიქალ-განიერი მკერდი გამოსჩენოდა. უკან დადებულს საფქვავით სავსე ტომარაზედ მიყრდნობილი თავი მიენდო და წმინდა სანთლისაგან ჩამოსხმულის მსგავსი ყელი გამოსჩენოდა. ლურჯი ძარღვები თეთრისა და ნაზის კანის ქვეშ გველსავით შეხვეოდა და თითქმის იქამდის მჭვირვალი შექმნილიყო, რომ თვით სისხლის მოძრაობაც კი სჩანდა, მილულულს თვალებს დარაჯად მოხვეოდა გრძელი და გიშერსავით შავი წარბები; ოდნავ გახსნილს პატარა თხელს ტუჩებს იქიდგან ბროლის სითეთრის წყობილი კბილები გამოსჩენოდა. სწორე და მოწყობილი ცხვირის ნესტოები, რომელთაც ცეცხლი წითლად აშუქებდა, სუნთქვის დროს ოდნავ თრთოდნენ; ღვთიური ბეჭედი მის მიმზიდავს და ნაზს სახეს დასდებოდა და ამტკიცებდა რაოდენსამე სისუსტეს, მოდუნებას, მოქანცულობას.

ქალს სახე გაღიმებული ჰქონდა და ზედ რაღაცა სამაცდური, მომხიბლავი ძალა დასთამაშებდა. გიშრის შავი ხუჭუჭნი ხშირს დალალებათ მხარს და ჭკვიანს შუბლს გვირგვინად მოსდგომოდა; ოდნავ ბუსუსიანს, კარგა მყოფს ლოყა-

ზედ ერთს ადგილს მოწყობილი ხალი სიყმაწვილის და სიცო-ცხლით სავსე ელფერებით შემკობილიყო, ერთი ხელი ჩაედო-უბეში და გულთან მაგრად მიეტანა, თითქოს მის რწევას ლა-მობდა. მეორე—მუხლზედ ჩასცურებოდა და უმტკვრო ქაღალ-დსავით თეთრის პერანგიდგან ძლივს გაირჩეოდა. ცეცხლის შუქზედ ქალი მეტად დაშვენებულიყო და ციურ-საჯოჯოხეთო მიმამზიდველობა დასთამაშებდა.

ონისეს აზრაზებდა მისი ცქერა, გონებას აკარგვინებდა, წარმოუთქმელს სატანჯველს აგრძნობინებდა, მაგრამ თვალი ვერ მოეშორებინა. რამდენადაც წეღან პირველი შეხედვა გაა-შტერებოდა, იმდენად ეხლა სანეტარო სურათის თვალის მო-შორება უძნელდებოდა; ყმაწვილი ბიჭი ჩასჩერებოდა, სთვრე-ბოდა მისის ცქერით და რაღაც აუხსნელს აღტაცებაში შესულს მისი ჭვრეტა თან და თან მეტის ძალით სწყურდებოდა. ქალს არ ეძინა, მაგრამ რაღაცა მილუშკაში ჩაკარგნილი, ეტყობოდა ოცნების თავ-დავიწყებაში შესულიყო. მისი ფიქრი თითქოს სანეტაროს, დამატკბობელს სურათებს შესთამაშებდა და გუნე-ბის მოძრაობა სახეზედ უაშკარავდებოდა.

ქალი ერთბაშად შეკრთა, გაახილა თვალები და აშკარად დაეტყო, რომ ეს შეკრთომა შეშინებისა არ იყო, რადგანაც მაყვალსავით სიამოვნებით გაიღიმა, გაიზმორა და წინ გადმოცვივ-ნული ნაწნავები უკან გადიყარა. შემდეგ წყნარად გადაისვა შუბლზედ ხელი და მძიმედ ამოიოხრა.

მის განძრევასთან ერთად, ონისესაც თითქოს გულში რაღაცამაც გაჰკრა, ისიც შეკრთა, აღელდა და წარმოუთქმელის ძალით იგრძნო მასთან მიახლოების, შეალერსების წა-დილი.

(შემდეგი იქნება)

# ცვრევაზე.

(მოთხრობა)

## I

შემოდგომაა!... მზეს მოაკლდა ძალა: იგი ეხლა მხოლოდ სასიამოვნოდ-ღა ათბობს ქვეყნიერებას. ბუნებასაც დაატყო მზის მიერ გზის შეცვლა; უმალ ფრინველთ იგრძნეს იგი ცვალება ბუნებისა; აქვთ გუნდ-გუნდათ მისვლა-მოსვლა; ტრიალი, მზადება; მიეშურებიან სამშობლო ქვეყნისაკენ მის შესამკობლად და გასახარებლად. ტყე-ველს შეეპარა სასიკვდინო სენი: ხეებს ფოთოლი გაუყვითლდათ; ველმა მწვანე საბურველი გაიხადა; აქა-იქ ცარცვაც დაუწყო ხეებს ამ დაუნდობელმა სენმა. ქარიშხალი ავსებს ჰაერს მოწყვეტილი ფოთლებით, რომლებსაც ათამაშებს, აპროწიალებს ცის სივრცეში. მერე კვალად ბრუნდებიან მიწაზე, და მიწაც ტვირთულობს, როგორც თვისს სისხლ-ხორცს; ჰკლავს, ალპობს, მითი ორსულდება და საგაისოდ ჰბადავს ახალს ცხოვრებას. «შენ რასაც სთესავ, არ გაცოცხლდების, თუ არ მოკვდების», მართლად უთქვამს პავლე მოციქულს. ნელ-ნელა იცარცვება ბუნება, ცვლილობს ფერს, იხდის ძვირფასს და საამო სამოსელს და იმზადებს გაფსოკილს ტყავს. მინდორი და ველი, ვენახი და ჭალა რჩებათ კაჭკაჭებს, ჭილ-ყვავებს, ფოხოლა-ყვავებს და სხვა მტაცებელ

ფრინველებს. ქვემძრომნი სოროებში მოექცნენ, იშვიათად-ღა თუ გამოვა ხვლიკი მზეზედ; წიწილა აღარ სადა სჩანს. კაჭკაჭები და ჭოხოლა-ყვავები დაფაცურობენ, დაძვრებიან კაკლის ხეებზე, აგროვებენ დარჩენილ კაკლებს, ხვრეტენ ნისკარტით და სუსნიან ნიგოზს. ეს-ღა შერჩათ საზრდოთ.

ყოველი სოფელი ქართლისა ამ დროს წარმოადგენს უზარმაზარ თივის და ფუჩეჩის გროვას. ყველას კარს უდგია თივა, ფუჩეჩი, დერეფნის კარს ჩაუჩხორია ჩალა-გადაფარებული ძარი, რომელიც სიმინდით გასილაგებულია. გლეხს ერთი სამუშაო-ღა დარჩენია, ყველა სამუშაოზე სასიამოვნო და სახალისო. ეს სამუშაო — რთველი.

ფრონის ხეობაზე სოფელი ბატეთი ყველას უკან ჩამორჩება ხოლმე რთველში. საქმე ის არის რომ ხსენებული სოფელი, როგორც სხვა მრავალნი ჩვენს საქართველოში, საეკლესიოა, ანუ, როგორც სოფლელები ეძახიან, საბერო. ვენახებს გლეხები კულუხის გაუწერლად ვერა ჰკრეფენ. როცა ბატონი გააწერს კარაულით თვითოეულს ვენახს კულუხს, მხოლოდ მაშინ შეუშვებენ ხოლმე რთველს. მთელი სოფელი მაშინ ვენახებშია მოფენილი.

ამ სოფლის გლეხი გაბრიელ ხარებაშვილი ერთ ჟამად ძრიელ გაკეთებული ოჯახიშვილი იყო; განსაკუთრებით მოხარჯეს წარმოადგენდა მთელს სოფელში გაბრიელი: მარტო გაბრიელსა იყო ორ ლიტრიანი მოხარჯე-კაცი. მის ოჯახში სამოცდა ათი სული ითვლებოდა; ხარი, კამბეჩი, თხა-ცხვარი, ღორი, ფუტკარი საკმაოდ ბლომად ჰყვანდა. ოჯახი სდუღდა და გადმოდიოდა. ღმერთს თვისი უბე-კალთა გაბრიელსას ოჯახზე დაებერტყუნა. მაგრამ ძმებმა აღარ უკაჯეს; რძლებმა ოჯახი ვერას შეაყენეს; აირივნენ ერთმანერთში, და გაბრიელა იძულე-

ბული იყო, თუმცა კი ძრიელ უშმიმდა, გაჭირვეულ ძმებს და, სანამ სიმძლევილი გაძლიერდებოდა, სიამ-ტკბილობით გამოს-ცლიდა. დაინგრა დიდი ოჯახი გაბრიელისა! ქვა და უმცროსი უცოდლო ძმა ცალკე გავიდნენ. მას ოისი ერთი ერმანერთზედ მომდევნო ვაჟები ჰყავდა. უფროსი მათგანი კიდეც დამისმეხ-რულობდა. ოთხს ვაჟს გარდა მის ოჯახში ორი ქალი იყო: მისი ჯალაბი ელისაბედი და ქალი ნინო. თუმცა ძმებს გაეყარა, მაგრამ მხნე და სარისტიანი გაბრიელი მაინც უკან არ წამოდრ-ჩა; სოფელში მაინც ის ითვლებოდა თავ კაცად. თავის ნაჩუ-ვარ ღვინის ვენახს ერთი დღის ნაფუძარიც შეუმატა, გაავსო ვაზით, გაასუფთავა და ქვლა იმის ბადალი ზვარი მთელს სო-ფელში აღარ მოინახებოდა.

ამ გაბრიელის ვენახში რთველის ნაწყვეტი კიდეც მოუკ-რეფნიათ; ვენახში კიჟინი და ხმაურობაა. საწნახელი გაუსო-ლავებიათ და ღარში გამოსწვეთს ტკბილი. საწნახელს გადმოქ-ფარებია ასწლოვანი კაკლის ხე; მის ძირში ცეცხლი ანთია და სადილი მზადდება; იქაურობა დაკრიალებულია; მეზობლების პატარა ბიჭები, რომლებიც მოუწვევია გაბრიელის უმცროს ვაჟს, თამაშობენ კაკლებით. მერე ვენახში სხვა ბავშვების კიჟინა ისმის: კვახის თავთავი გაუშრიათ, მისივე ბეჭა ღარი და ტკბილს სწურავენ. კაკლის აღმოსავლეთით სა-ურმედ ღობე იყო გახსნილი ურემი შებოლოკებული იდგა და ზედ ჩამოკიდებული იყო რუმბი

გაბრიელას ვენახში ხალხი ბლომად იყო: ბოლოში მოის-მოდა ღოღლალი, გაუგებარი, ერთ ხმაურობა მის სამ შვილს გოდორი გოდორზე მოჰქონდათ და მარტოდ სცლიდნენ საწ-ნახელში. ამათი და ნინო კი საწნახლის ყურის მგდებლად იყო მიჩემებული, საწნახელთან თაღარის გვერდით მოეგებნა;

პირი მზისკენ ჰქონდა შექცეული და კომშს ფცქვნიდა ხორცის დასაყრელად; კომში რომ დააყარა, ჩამოჯდა საწნახლის პირად, ხელებზე ნახევრობამდე გაიკეთა შავი თათმანი და წინდას დაუწყო ქსოვნა. ნინო იქნებოდა ხუთმეტ-თექვსმეტის წლისა, გავსილი სისხლ-ხორცით, გაფუფუნებული, სახე გავსებული და გაბადრული, როგორც ხუთმეტის დღის მთვარე. მის ფართო და შემორგვალებულს შუბლზე იხატებოდა სიამაყე და გამბედაობა. ტანთ სუფთად ეცვა; თავზე ნახევრობამდე მოშლით ეხვია წითელი, თეთრ-ყვითელ ყვავილებიანი თავშალი, რისგამოც შუბლი გამოსტკვლეცოდა და მზის სხივებზე უკაკაჩებდა; ოთხი მსხვილი, მაგრამ მოკლე, ინით ნაღები ნაწნავი ირხეოდა ბეჭებზედ და აფრიალებდნენ თვალ-ღვრინჭოლას, რომელიც კეფასთან ჰქონდა შებმული; გრძელი, შავი და მშვილდივით დაჭიმული წარბები ღაწვებზე გადმოჰფენიყვნენ და მათს თეთრ-წითელ ფერში ციმციმებდნენ. რაღაც მადლი, მშვიდობა ჰკრთოდა მის ღინჯ, დაფიქრებულს და ღონიერს სახეზე. ყურძენს კრაზანა დახვევიყო. ფინია, რომელიც ნინოს ფერხთით უწვა, მალი-მალ წამოუსტებოდა, შეიბერტყდა ყურებს, ჩაუკაკუნებდა კრაზანას და ისევ წაყოფდა ფეხებს შუა ცხვირს. კრაზანა ხშირად მიუბზუელებდა ნინოს მიტყუპულს ტუჩებს; ისიც უქშევდა, მაგრამ ბუზი-ბზუილა მეტის ალერსით და ტრიალით ელამუნებოდა ორს უმანკო მოწს, რომ დაჰკონებოდა და გამოესურტნა მათგან დამატკბობელი ნექტარი.

გაბრიელას ვენახის აღმოსავლეთით იწყობოდა სასიმინდეები და ჭალა-მინდორი. ზედ ამ ვენახის გვერდზე ერთს ახალგაზრდა, შეღერებულს, ქვე ოცდა ერთს თუ ოცდა ორის წლის ბიჭს თხა-მცხვარი მოერეკნა სამოვრად. დაფიქრებული,

საქმეში გართული ნინო რამდენჯერმე ახედეს თხებმა, რომ-ლებიც ღობეზე ასულს სვიას ჭკორტნიდენ. ამათი მწყემსი, გიორგი რაზმაძე, მეორე ოჯახის შვილად ითვლებოდა გაბ-რიელას შემდეგ. ზოგნი კიდეც ამჯობინებდენ. გიორგი პატა-რაობითვე მშობლებმა თხა-მცხვარს მიაჩვიეს; სხვა სამუშაო არც-კი ეხერხებოდა. გიორგი თავმომწონე ბიჭი იყო; ძალიან კოხტად იცვამდა ტანისამოსს, რომ სოფლის გოგოებს მოს-წონებოდა: თეთრი, შავ ჩაფარიშ შემოკერებული ჩოხა, ნაბდის ქუდი, წითელ დოშლუღიანი პერანგი, სუფთა, ბატიფეხურად ამოსხმული ქალამნები, რომლებზედაკ ჩაკიდებული ჰქონდა აბრეშუმის ჩასხსაკრავი; მხარ-იღლივ გადაკრული ყომრალი ყა-ბალახი; წელს შემოკრული, სუფთად გახდილი, მოწმენდილი, დაჭრელებული ხალთას გუდა, რომელსაც ჩამოკიდებული ჰქონ-და ბატის ფეხის სამარილე და მათარა უფრო საკოხტაოდ ჰქონდა, ვიდრე საგზლის შესანახად; თეძოზე მოქცეული ხან-ჯალი მუდამ შემობრუნებით ეკიდა,—აი ესენი შეადგენდენ მწყემსის სამკაულს. გიორგი სახითაც დასაწუნი არ იყო. მუ-დამ გარედ ყოფნით სახე მზისგან თუმცა ალასმული ჰქონდა, მაგრამ ლაზათს არ იყო მოკლებული; მისი მარჩენალი, მალ-ხაზი თვალები შლიდნენ სახის ალანძულობას და ეშხით და მარილით ავსებდენ. ტანთ საცმელი და გარეგანი სახის გამო-მეტყველება გიორგის სავსეს გაბედულობის და თავგანწირულო-ბის ბეჭედს ასვამდა. ლოყები შემოსოდა წვერით, ულვაშის ადგილი კი ახლად აყვავებულიყო. მოსწყინდა მწყემსს ნასი-მიდარში წოლა და იფიქრა ვენახში გადასვლა საცვრევლად. ერთი ვენახიდამ გაბრიელას ვენახში გამოვიდა. რამდენიმე კუფ-ხალი კიდეც მოიმტვრია, გაისველა პირი და ამასობაში საწნახელს დაუპირდაპირდა. გაბრიელას ნინო გიორგის ბევრჯელ ენახა,

მაგრამ გაკვრით; არ დასტურობის. ქალს სრულიად მოულოდნელად, ვენახ-ვენახ, მოადგა საწნახელს. ნინოს სახემ, როგორც ღრუბლიდამ გამოსულმა მთვარემ, შეანათა გაზებში და გიორგის მკერდს სხივი შეადგა. ეს სახე ეუცხოვა და ქვანაგრავით შეფერხდა, გამქრა სული. ყურძნის გუფსალს მძიმედ, თვითო მარცვლობით დაუწყო ჭამა; ფეხ-აკრებით წამოდგა წინ; ბრწყინვალე სახეს დაუახლოვდა. გიორგი გაოცებამ აიტაცა: თავის გაჩენაში ვერ წარმოედგინა, თუ შეღერებული ნინო ის ნინო იყო, რომელიც წინად უნახავს. ნინოს სახემ მისი გული მიიზიდა ადამასტის ქვასავით; გული აუტოკა; სული აღუშფოთა; სუნთქვა გაუძნელდა; გულისთქმანი აღძრა; ოცნება აუფრთოვანდა; თვალები დაუწყლიანდნენ; მიმოივლო თვალში ხელი და მოისრისა, მაგრამ ნინოს სახით ნატყორცმა სხივმა კვალად მელნის ტბით აუვსო. კოსტა გიორგის ანაზდეულად გაურბინა თავში ნინოს ცოლად შერთვის აზრმა, მიმოავლო თავის ცხოვრებას ფიქრი, გამოზომა, დარწმუნდა, რომ ვერაფერი დაბრკოლება ვერ დაუდგება წინ: ოჯახიშვილი ვარ; მეც თავად არა მიშავს რა, რაც დამიწუნებენ, იფიქრა.

— ოჰ, შე დასაქცევო! რამდენჯერ ამივსია შენთვის წყაროზე წყლის კოკა! სად იყო მაშინ ეგ შენი მადლიანი სახე! წაიზმუვუნა გიორგიმ და გადასწყვიტა საწნახელთან გასულიყო, მაგრამ ერთობ ფრთხილობდა, რომ მისი გასვლა ქალს არ შეეშინა. წამოიწია წინ; ვაზის ტოტი, რომელიც ხელში შერჩა ოცნების ჟამს, წინ წამოწევისას, გამოიწია და ძალზედ დაათვართხუნა. ფინა წამოვარდა და ყეფად გადაიქცა. ნინო წამოდგა და ჯეირანივით გასწია ტახი. იგი სახტად დარჩა, მოჩვენებად მიიღო მწყემსი, რომელიც მის წინ თითქო მიწი-

დან ამოძყრა. ნინომ სწრაფად მოივლო თავშალს ხელი, გადმოიწია შუბლზე და წვერებით პირი გაიკრა.

— ვინა ხარ?... ჩვენები ქვეით არიან... ამის მეტი ვეღარა მოახერხა რა, მიიღ-მოიღო თავი, უნდოდა გასცლოდიყო, მაგრამ მისგან ჯერედ უცნობმა ძალამ შეაყენა; მხარი მიიქცია გვერდზე და წინდას დაუწყო ქსოვა. გიორგი აღელდა, გულის ბაგა-ბუგი ესმოდა, ენა აღარ ემორჩილებოდა და ნერწყვის ყლაპვით წარმოსთქვა.

— განა ვერ მიცნობ? ნუ გერიდება, გიორგი ვარ... მწარის ღიმილით განაგრძო რამდენჯერ ამავსია მწყემსმა. — შენთვის წყალი... მახსოვს, მე იქ თხა-მცხვარი მყვარა ხოლმე, ი წყაროსთან, პანტის ქვეშ... რა ბევრი ყურძენი დაგრჩენიათ... ხამ მტევნამდე მომიცვრია.

ნინომ გვერდზე გახედა გიორგის და ეხლა უფრო გარკვევით გაარჩია იგი, რომელიც ამ ჟამად ჩოხახზე ცალ-იდლივ დაბჯენილიყო და ფეხი ზედ შემოეკეცნა. ამისთანა სურათი მოხდენილის, კოხტა ბიჭისა, რომელიც მას ხარბი თვალებით მისჩერებიყო, თითქოს ჰსურს სულში ჩაუძვრესო, ჯერ არ ენახა ნინოს. ამ სურათმა მას ტანი გაუელვარა, თვალნი დაუბურუსა. მეტი ერთად ყოფნა არ შეიძლებოდა: ნინო ქვაბისგან წავიდა; გიორგიმ მარდად მოავლო მარგილს ხელი, მავარდენსავით გადაფრინდა თხებთან და ფინას ფავფური ტკბილად შეუბერა. იქვე ახლოს წამოწვა და გულის ქმნით სალამურს მიმართა ახალის დარდების გასაქარვებლად.

## II

მზე საშუადღეოზე გაიმართა. გლეხის სამხრობაა. მერთვლეებმა კრეფას აუშვეს; ხარხარით და ბაასით წამოვიდნენ. გაბრიელს რთველში, სხვათა შორის, თავისი მეზობელი აზნაური დარისპან გელეხსიანიც მოწვეული ჰყვანდა სადილად.

— ნათლიას დარისპან, მგონი სადილი დაგიგვიანეთ... მაან გაგვერთენით კრეფაში.

— რას ჰქვიან დაგვიანება; ახი დროა... წრეულს კარგი რთვლობაა. მოგივა, გაბრიელ, ერთი სამოც-ოთხმოცი კოკა?

— წელს მიაჭრის ოთხმოცამდე, მაგრამ ძალიან კულუხი კი დამაწერეს: ოცი კოკა, თქვენი რისხვა არა მაქვს.

— ნუ მეტყვი, გაბრიელ!

— ე ყურძნის წვენის ზედაშის მადლმა და აი მზი თვალი არ გამიწყრება... ოცი კოკა, ნათლი, ხუმრობა საქმე არ არის.

— რას იზამს ადამიანი, ჩაერია ლაპარაკში გაბრიელის ჯვალაბი ელისაბედი, სამართალიც ხელში აქვთ და კანონიცა. კიდე კარგი, თუ მაგას დაგვაჯერეს. წელს კიდე ამხდური გვაქვს; იქნება მოცდენილიყო.

— ნუ წუწუნებ, ჩემო ელისაბედ, ღმერთი მოწყალეა, გული ნუ შეგიშინდება, სადაც არა იქნება რა, არცა რა დაიღვრებაო, ნათქვამია. მე კიდე, ღვთისა და ქვეყნის წყალობით, მაქვს; ღმერთს მოუცია ერთი ორი ლუკმა პური; მაგრამ ვინც ხელ-მოკლეა, სანაღვლი ის არის... რაც უნდა იყოს, ნათლიას დარისპან, შენი სისხლ-ხორცია, შენი მეზობელი, გული აგეტირება, რო ხელ-მოკლეობით, ღონე არა აქვს გასტუმროს ან

მტერი და ან მოყვარე. სათქმელი კი არ არის, მაგრამ სიტყვამ მოიტანა, თუ შემძლებია, არავინ უბრალოდ არ დამიჩაგვრინებია, ხელი წამიწვდენია.

— აკი იმიტომ დაგიმადლებენ ხოლმე... ვინ გიხედავს მერე, სთქვა ელისაბედმა და გვერდზედ მიიგრიხა სიკაპასით ცხვირი.

— ღმერთი ხომ ხედავს, მე ისიც მეყოფა.

— ღმერთმა კი ნუ მოგაკლოს და აკი იმიტომა გაქვს სახლში დოვლათი. ლაპარაკის დროს თან სუფრას შემოუსხდნენ.

— ე ჩვენებური ხალხი, ღმერთმანი, ძაან თავაქალი ხალხია, ე ღვინის ხელი რო არ იციან; ალაგას ვენახები კარგია, მაგრამ აქაური ღვინო გაზაფხულს ვერ გაატანს. აი ე შენი ღვინო კი, ღვთის წინაშე, ძაან შენახულა, სთქვა დარისპანმა.

— ჩვენი ხალხი, შენი ჭირიმე, უფრო ხვნას მისდევს; ჩვენ აგრე რიგად ვენახს არა ვმუშაობთ. იმდენი ღონე აღარ არი, შენი კვნესამე, დარისპან, რო სუ ბოლომდე გავაწვდინოთ. მინდორით, მინდორი—ჭეი!—სახნავ-სათესი ილევს ჩვენ ღონესა, სთქვა ერთმა გლეხთაგანმა, გაბრიელის სტუმარმა.

— მერე რა? ჩვენი მინდორი ურწყავია; თუ ბლომად არ მოსან, თავს არ მოდის: გოლვას რო დაგიჭერს, უნდა მოაგროვო რამე, თუ არა. ჭაი! გაგიხარიან, წვიმიან წელიწადში აქ ძნები გადიჭიმება ხოლმე! პურადაც გვყოფნის ხოლმე და ღვინოთაცა... ღვინო რა, იმდენი ხო მოგვდის, რო აღება გაგვატარებინოს, ჩაერთია ლაპარაკში მეორე გლეხი.

— მე თქვენ მოგახსენო, ე ხეობის სერები, რო სარწყავი იყოს, ჩვენ საქართველოში ამას ადგილი არ ემჯობინებოდა.

— შენ ისა სთქვა, გაბრიელ, რომა თარხანი მამულები იყოს, რომა...

— ნუ! გააწყვეტინეს დარისპანს ერთხმად ყველა გლეხებმა, მე ხომ კოკზით ზიარება იქნებოდა. მაშინ აზნაურებს სულ უკან ჩამოვურიდით. მაგას ვინ გვაღირსებს... ღმერთმანი, საწყენად კი არ მოგახსენებთ, ამ აზნაურებს არაფერი არ აწუხებთ და რად არიან ისე ნიათ გამოლეულები.

— ამიტომ, ჩემო ზურაბო, რომა არ მუშაობენ, არაფერსა ჯადრულობენ. მე და შენც რო სუ მუშით გაკეთოთ ჩვენი საქმეები, სიღარიბეს ვერ ამოუვიდოდით. აი ე დარისპანი, პირსაფერისად არ მოგახსენებ, თვითონ რო არ ირჯებოდეს, ლუკმა ექმნება სახლში გამწყდარი... რასაც მაგათი ჯალაბი, ჩვენი სვინა, ქალებში სასტუმროს აიღებს, ის სხვაა კიდევ, გაიხუმრა გაბრიელმა და სიცილით გადახედა დარისპანსა.

— ერი ჴაა! გაბრიელ, მე ვერ მოგივიდა. შენ ნინოში არას ავიღებთ, ნუ გეღარდება. ჩემი შემოსაწევარი მე იყოს ნინოს ქორწილში: სასტუმროს არ გამოგართმევთ.

— მე რაზე გამომართმევ, სიმემ იცეს თავში, სთქვა ელიზაბედმა.

— მაინც გული დაგეწვის.

— ჴა, შვილო ნინო! შენ ქორწილშიაც კი ჩავკრავთ.

— უყურე ჯამის ტრიალსა...

გიორგის ესმოდა ეს ლაპარაკი. ერთსა და იმავე დროს გიორგისაც და ნინოსაც გულში ცეცხლის ალი ენთოთ, როდესაც ქორწილს შეეხნენ. გიორგიმ მხოლოდ აქ შესწყვიტა სალამური, რადგან გულმა ცემას უხშირა. ნინოს ფერი შეუშრთა და კაკალ ქვეშ დაიწყო ბროტიალი, რომ არავის შეემჩნია სახის ცვლილება.

— აგროვე, აგროვე, შვილო, კაკალი და სანამშობო ჩურჩხელა გააკეთე... სიცხვილია, აჯაა, ე მემცხვარეს ერთი ყანწი ღვინო მიაწოდე.

— რომელია? იკითხეს.

— გიორგაა რაზმაძიანთი, უთხრა თავჩაღუნულმა და ვითომ კაკლის გროვებაში გართულმა ნინომ.

— ვაი შენ ჩემო თავო! ოჯახიშვილია, გადასძახე, გადმოვიდეს, ეს როგორ მოგვივიდა, ელისაბედ. ნინოს იამა; სწრაფად გაქანდა ღობისაკენ და ჭყეტა დაიწყო, მაგრამ ელისაბედმა სიტყვა მოასწრო.

— აქეთ მოდექ, გოგო, რა შენი საქმეა... შენც რომ ეგ არ დასაქმო, ვეღარა ვინ იპოვნე? ყმაწვილი, შეღერებული გოგო ვაჟკაცთან რა მისაგზავნია... ადე, პეტრე, და შენ დაუძახე.

— ცეცხლი და აბედი სხო არ არის, რო მოეკიდოს.

— უარესიც არის.

— მე კი, ღვთის წინაშე, ჩემი ელისაბედი ვნახე თუ არა, მაშინვე გული შემივარდა, გაიხუმრა გაბრიელმა.

«ქურდს რა უნდა და ღამე ბნელიო», სთქვა გიორგი რაზმაძემ გულში, შემოვიდა კაკალ ქვეშ და სალამი მისცა; დაჯდომამდე ერთი ყანწი გამოაცლევინეს. გაბრიელმა უმცროსები წამორეკა და ყურძნის საკრეფად გაგზავნა, თვითონ კი გააბეს ბაასი.

— შვილო ნინო, აბა კაი ყურძენი აგვირჩიე, სუფრის ლაზათია... შენც მოდი და ე დედაშენთან დაჯექ, პურის ლუკმა აიღე და მერე ჩაეშველე საკრეფად, ახლა ჩვენი რიგია ყარაულობისა.

ელისაბედს ქალის იქ დაჯდომა არ ეჭაშნიკა, მაგრამ აღარ

აუსარდა. ნინომ თავშალი გაისწორა; ფართო, სპეტაკი შუბლი გამოაჩინა. გიორგის გულში ცეცხლი დაენთო. ცალი ხელი ხანჯალზე დაებჯინა, ცალით მალიმალ ქუდს ისწორებდა და ულვაშის გინგლს იგრესავდა, თუმცა და საგრეხათ არ იყო მოურილი. გონება აერია; აზრი აზრს ვერ მიუყენა, რომ გადაეწყვიტა რამე. თავში მხოლოდ ნინოს სახე უტრიალებდა. ღვინომ თანდათან შეჰკვეთა; ამან დაბურული, დარეტიანებული თავი გაუბრწინა, აზრები გაურკვია, ენა აუხსნა. ახლა კი გადასწყვიტა: რაც უნდა დაბრკოლება დაუხვდეს, არ შედრკეს, არ შეეპუოს. ნინო ამ დღიდამ მის გულში დაინიშნა; გიორგის გულში პირველად და პირველი აღბეჭდილება მოახდინა; პირველად ნინოს სახე დაიხატა გიორგის უმანკოების სადგურში.

— მე ისევ იქა ვარ, დაიწყო გაბრიელმა, რომ თუ გლეხის სახლში რავდენიმე კაცი ტრიალებს, იმას არა უშავსრა. აი ეხლა, თუნდა, ჩემი სახლი ავიღოთ; გუთნეული ხო შინა მყავს; მე შინა ვტრიალებ: ურემს და გუთანს ვაკეთებ; ვენახში ვტრიალებ, ვასუფთავებ, ვფურჩნი; ჩემი ძმა სიმინდებს უგდებს ყურსა; გუთნი დედად ჩემს, საკუთარს გუთანს სხვა მისდევს, მაგრამ ე ჩემი უფროსი ვაჟი ღამის მეხრედ. დასდევს გუთნეულს, ორიც დღისი მეხრედ, გუთნის დედას, უხარო კაცია, რვა დღისას უხნავთ; მეორე ღამი მეხრეს, ისიც უხარო კაცია, ექვსი დღისასა—ეს ანიულობას,—დანარჩენი ჩვენია. ახლა გაზაფხულისა, ახლა კიდე შემოდგომისა იანგარიშე. ეს ხალხმრავლად რომ არა ვყოფილიყავით, სიღარიბეს თავს ვერ ავართმევდით, მამული რო შენი საკუთრება იყოს, მაშინ ხალხს არა უშავს რა... აი ეხლა რაც მე საბერო მამული მიჭირავს, რო ჩემ საკუთრებად შევიძინო, მაგდენს აღარ გამოვკვიდე-

ბოდი, ამდენს აღარ მოვხნამდი. რასაც ეხლა ღალას ვიღებ, ის შინ დარჩებოდა... ეხლა თქვენა, ე კეთილშობილებს, მამული გაქვთ და თქვენ კი არა ხნავთ. ვისაც ისე ბევრი აქვს, რო ბევრი ღალა შეუვა, კიდენ ჭო, მაგრამ მაგარი ის არი, რო ვისაც ცოტა აქვს, ისიც დიდი მემამულის ყაიდაზე მიდის. რათა, ძმაო, რა გაგიფუჭდება, რო გუთანს მისდიო.

— სულ მართალს ამბობ, ჩემო გაბრიელ, უთხრა დარისპანმა, ჩვენ ძვრე დავჩვეულვართ თავიდამვე. უწინ სულ სხვის ხელით ვაკეთებდით და ეხლა გვეჩოთირება. აგი ვინც თვითონ ირჯება, ცხოვრებაც აქვს. ეხლა თანდითან კი ეჩვევიან, რაკი მეტი ღონე აღარ დარჩენიათ... ჩვენი კაცი სწავლაში იღუპება. აი ეხლა მე: ვიყავ, ვიყავ სკოლაში და გამოველ, ვერ გავათავე; კიდევ კარგი რომ სოფლური მუშაობა შევძელ. აგერ ჩემი შვილიც გამოაგდეს, რაც ისწავლა, ის ფუჭია, არც შინაური საქმე ეხერხება. ღღე ერთია და ჩხუბი ათასი. ის ყურს არ მიგდებს და სამტრედავოდ დადის ამ ცეცხლის კიდება მუშაობის დროს. მე კი ვერ მიბედავს და თქვენ ნათლია დედას კი ჩასციებია, ცოლი შემრთეთო. აბა, რა უნდა იყოს, მე უნდა დამაწვევს... ეხლა მოვიფიქრე, მელიციაში ჩავაწერინო. შინ ვდებას და ნაცარქექიაობას გარედ გავიდეს, და თუნდ მოკვდეს და თუნდ კაცად იქცეს.

— ჭეი! რა ცუდი დრო შეგვექმნა და! უსწავლელი კეთილშობილი ერთის მაწყულად არა ღირს.

— ისეთს სკოლაში რო მიმეცა, რომა ე მამულის ხელი მაინც ესწავლა...

— აიბე, მაგითანა სკოლაც არი, განა? აი დიდება შენთვის ღმერთო, რა სალმასტერი სალხი გახდა ქვეყანაზე! ეგ კი კაი

ამბავია, მაგრამ ე ჩვენ რო არ გვისწავლია, გააწყვეტინა ზურაბამ.

— მა დიდი მეცნიერადამ დაგყვა აი! უთხრა ღვინისაგან გათამამებულმა გიორგიმ. რატომ მე არ ვიცი ვენახის მუშაობა, ბუთნის აგება, ურმის დასხნა? იმიტომ რომ არ მისწავლია.

— მერე კია, მე და ჩემმა სიყმემ, მა რა არის, თუ არა ვსწავლობთ.

— ყველაფერი სწავლით არის, სთქვა გამოცდილმა გაბრიელმა.

— მერე ი სკოლაში იმას კი არ ასწავლიან, რო ე ურწყავ მამულში გოლვის დროს კარგი ყანა მოიყვანონ, სთქვა ზურაბამ.

— ახლა კი დათვრა ჩვენი ზურაბაი, გაიხუმრა გიორგიმ.

— გოლვის წამალი წყალია, უთხრა დარისპანმა.

— მაგითი გვჯობიან ჩვენ სარწყავის ხალხი, თორემ ჩვენი მამული ოქროა, ოქრო.

— უწინ თურმე სარწყავი ყოფილა, ჩვენი სალთვისის მინდორი.

— კაცო, განა არ ეტყობა ი ნარუალი, ნაკედლარზე რუს კვალი გასდევს; ადვილი გადმოსაგდებია, რო კაცმა მოინდომოს.

— უწინ რო გამოუყვანია, ჩემო ზურაბო, თამარ მეფეს გამოუყვანია; ეხლა, მე შენ გითხრა, თეთრუაანთ ოთარა გამოიყვანს. რო გაჭირება იყოს, კაცი კაცს თავს ვერ მოუყრი.

— ნწა, არა, გაბრიელ, მეფე ერეკლეს გამოუყვანილიაო... ჭეჭე! ი მეფე ერეკლე კი არა ყოფილა ერთი კაჟი კაცი თუ! ერთხელ თურმე, ე ჩვენი საყდრის გალავანში, მოასწრეს ლეკებმა. მოვარდა თურმე ი წუწკი ბელადი გალავანზე, წამო-

ყელყელავდა და ისედება, მერე თურმე შემოურბინა, უნდა გარი ეპოვნა. წამოუხტა თურმე ერეკლე მეფე, გაივლო ხმალს ხელი, შემოუქნია ი გალავნის პირად და ყველივით მოთლილი ბელადის თავი, თურმე ნუ იტყვი, ზედ სუფრაზე კი გადმოუგორდათ.

— თურმე პატარა კაცი კი ყოფილა ის დალოცვილი, სთქვა დარისპანმა.

— იმი გამჩენის ჭირიმე, იმი! პატარა ყოფილა, მაგრამ უნარიანი.

— ერთხელ თურმე, დაიწყო ისევ ზურაბამ, ე ჩვენი ციხიდამ გავიდა და მძევალი აღარ გაუშვა მტრისა, ისე თურმე გაავლო მუსრი. ჯარს თურმე სუ ფრენით წაიყვანდაო... ეხლა, შვილოსა, ყანგიანი დანაც კი აღარა ვის მოგვეპოვება მთელ გლეხობაში: ე გიორგას თუ აქვს იარაღი... ჰეჰ! ამოიოხრა მოხუცმა ზურაბამ, ხალხიც უწინა ყოფილა და ქუდიც იმათა ხურვიათ. ეხლა სუ დაქალაჩუნავდა ხალხი, სუ!

— შენ აგრე გგონია, ჩემო ზურაბ. დარისპანის მზემ, თქვენ არ დაგიფიცავთ, რო შენ ქართველ კაცს არ იცნობ: უწინ ისეთი დრო იყო, რომ უფრო მტერთანა ჰქონდა საქმე, ეხლა მტერი აღარ არის და შრომასთანა გვაქვს საქმე.[1] მტერი ნუ გამოგიჩნდება, ჩემო ზურაბ, თორე ხანჯალიც გაგიჩნდება და თოფიცა. აბა, შენც მოგიკლას ვინმემ შვილი, ან ცოლი, ან ძმა, როგორც უწინ უხოცდნენ, ისეთი გაიფთრდები, როგორც მუ·ლომი.

— ჰეიდა ჰეი!.. ბა, ბა, ბა!... ჭკუაზე ახლოა, შენმა მზემ.

მზე გადიწვერა: ლეგა ღრუბელი გაჩნდა და მზე შიგ შეცურდა; ქარმა მძლავრად დაუწყო ხეებს ზნექა: ჰაერი საგრძნობლად შეგრილდა; გაბრიელის სტუმრები

აიშალნენ; ლაპარაკით წავიდნენ ვენახის ბოლოში; გიორგიც აედევნა, რომ ერთი კიდევ გაეკრა თვალი თავის მკვლელი ნინოსთვის, რომელმაც ასე უცნაურად შეჰბოჭა მისი გული და დაიდო მუნ შეურყეველი ბინა.

## III

ერთს დღეს, სამხრობის დროს, შეიკრიბნენ ტოლი გოგოები და გასწიეს საცვრევლად ვენახებში. ამათთან ნინოც იყო. გოგოები ხითხითებდნენ, პროწიალობდნენ, ერთმანერთს აზიზლიანებდნენ, გაჯიბრებული დარბოდნენ ვენახებში; ერთს ჭუფხალს რამდენიმე ერთად მისცვინდებოდნენ და ჰქონდათ ერთი ფოციკალი და კაი-უშველებელი. როდესაც გოგოები პატარა გორაკიდამ ფუნდრუკით და კოწიაწით ჩაეშვნენ დაბლა ვენახებში, ამ დროს ამავე გორაკაზე, მეძვის ბუჩქთა , ოოფით ხელში წამოწოლილი იყო ერთი ახალგაზდა, ჩერქესკით და მაღალი ჩუსტებით ჩაცმული. ამ ჩერქესკიანმაც მარდად ჩაირბინა გორაკა, უყელა გოგოებს და კაკლებ ქვეშ მოექცა. აქ ამას შეხვდნენ სხვა გლეხებიც და მათში გიორგი მწყემსიც. ამ ვენახის პატრონი ჭაჭას ჰჭაჭავდა. რთველები მთლად გათავებული იყო; ვაზის ფოთოლი სრულიად ჩაყვითლებული და ჩამხმარი იყო, რომელიც ქარს ელოდა, რომ გაეცარცვა მისი საფარი.

— რას ნადირობ, ალექსანდრე; ეხლა რაღა დარჩენილა, კაკვებს თუ დახოც, უთხრა გიორგიმ ალექსანდრე გველესიანს, დარისპანის შვილს!

— შენ რა გეკითხება; წამალი არ გესარჯება და ტყვია. თუ არა შემხვდება რა, ე გოგოები ხომ აქ არიან.

— ჩქე, აზნაურშვილურმა წამოჰკრა, სთქვა ერთმა გლეხმა.

— გოგოები რა, ალა ალა ხომ არ არის, გაიხმაურა მეორემ.

— ეს კი ქალაქი არ არის, რო ეგრე ლაპარაკობ, სთქვეს სხვებმა.

— რა გოგოებიო, ვინ გოგოებიო? წამოდგა გიორგი და გაოცებით გამოელაპარაკა. გიორგის გულმა უწინასწარმეტყველა, რომ უთუოდ გოგოები არიან აქ სადმე საცეკველად და იქნება იმისი გულის მპყრობელიც მათში ერიოს.

— ერთი ჯერგა გოგოები ჩამოვიდნენ აი ამ ქვენახში; ერთი კაი ბიჭი მაგათ ეხლა, ღრეჭით სთქვა გველესიანმა.

— იქნება ვისნი არიან, რათ ლაპარაკობ ეგრე, ჩემო ნათელიავ; რაც უნდა იყოს, მეზობლები არიან და რათ უნდა ახსენო ეგრე უწმაწურათა, უთხრა ქვენახის პატრონმა.

— რაც უნდა იყოს, ღმერთმანი, ბერო, ცოდვილიანი კაცი ხარ [illegible] არც შენ დაიწუნებდი გაბრიელას გოგოს; ისეთია, რომ ლოყები სულ თურაშაულ ვაშლსავით უღაჟღაჟებს, ლამის ზედ დაასკდეს.

— აი შეგარცხვინოს ღმერთმა და თავს ლაფი გესხას!... კარგი ვინმე ყოფილიყავ, სკოლას თავს არ დაანებებდი, უთხრა ბესომ და ყურძნის ქაჯვა შეაყენა.

მწყემსი გიორგი რაზმაძე ვერ წარმოიდგენდა, თუ იმ უმანკო არსებას, რომლის სახე მას, აგერ რამდენიმე დღე იყო, რაც გულში ჩაეხატა, რომელიც მას სიფრთხილით დაჰქონდა რომელიც თვალთა წინ აჩრდილად ეფეთებოდა და მას დასდევდა,—ვერ წარმოიდგენდა, თუ შეუგინებდა ვინმე, ჩირქს დასცხებდა ვინმე ნინოს ფიფქ სახეს. მას გული აუმღვრა; ცა და ქვეყანამ მისთვინ ამ წამიდამ შესწყვიტეს ცხოვრება; მის-

თვით მზე აღარ ანათებდა; ძარღვებში სისხლი აუდუღდა და გული გასქდომას ლამოდა. და როდესაც პატარა აზნაური ბე-როს საყვედურის სიტყვებმა გააბრაზეს და გაიწია მისკენ დასაკვრელად, გიორგი გადეღობა წინ, გადაგრიხა წელში, დაჰკრა ღონივრად ჩობახი და უსულოდ დააწვინა დედა-მი-წაზე.

— უწინ ჩემი სიკვდილი ნახე, სანამ შენ გაბრიელის ქალზე გალაპარაკო. გამძაგებულს გიორგის, აღარ იცოდა, რა ექმნა; ამოიწია ხანჯალი, უნდოდა უკანასკნელი წვეთი სიცოცხლისა ამოეცლია ბილწი პირიდამ გველესიანისთვის იმისი სატრფოს ცუდად ხსენებისათვის, მაგრამ ამ დროს მოულოდნელმა შემთხვევამ შეაჩერა: ლობესთან მომდგარიყვნენ ცვრემელი გო-გოები და პირდაღებული შეიჭყიტებოდნენ. გიორგიმ მოავლო თვალი ნინოს და ფერმიხდილი კაკალს მიეყუდნო.

— ნინო ჩემო, ვერავინ წამართმევს, მასზე არავის გა-ვახსენებ და არც გალაპარაკებ, წაიბუტბუტა გიორგიმ. ნინომ [illegible] გაიგონა. იგი შიშმა და სირცხვილმა აათახთახა; მაშინვე გა-მოუშურა სახლისკენ, მას მოჰყვნენ დანარჩენი გოგოები და ერთის თვალის დახამხამებაზე, გადაფითრებულ-გადაყვითლე-ბულები ამოცვივდნენ სახლებში. ეს ამბავი ტყვიასავით გავარდა მთელს სოფელში, რომელსაც მიეცა მასალა ჭორიკანობისა და კილვისა.

— დაუდგა თვალები ელისაბედსა, თავი მოუჭრა მაგ უბე-დურსა, გენაცვალეთ, და ეს იყო. ან, ქა, რაღადროს ოსტატ-თან იმისი ყოლა იყო, ქა, გასათხოვარი ქალისა!

— ახლა შენცა, ქა! რა იცოდა, თუ ესეთი წყეული და შეჩვენებული შვილი ეყოლებოდა... მერე ქა, შენა თქვი და

შენ მოიგონე: პეტრუა, ი გაზრდილს პეტრუაი, დარისპანის ხელით არის მონათლული.

— აი არ გაახაროს და არ გაეცინოს ნათელ-მირონობის მადლმა და ძალმა; მატლად გადაუქციოს ისეთ მაცხოვარმა ის მირონი, რომელიც გაზრდილის ოჯახზე მოუღვრათ.

— რაზმამიანით გიორგა, რომ არ შესწრებიყოთ, ვინ იცის, იქნება უნამუსობაც ექმნა ვისთვისმე.

— ჰა, იცით, იმას რა უთქვამ? ნინო ჩემი სატოლიაო: მაშ, ჰა! იმიტომ გამოუგდვია თავსა.

— ეგ ნინო გოგო ისეთი მშობლისაა, ჯერ წმინდა წყლისა არ უნდა იყოს. თითის ტოლა გოგოსთვის რავინა მოხდა.

— დედა-შვილობამა, რომ ლამაზ ქალს ათასი საფრთხე ზდევს, ცხრა კლიტულში რომ გყავდეს, იქაც გაიგებენ. ვინ იცის? იქნება ქალი ცამდინ მართალიც არის, მაგრამ ქალს სახელი გაუფუჭდა... ახლა საბრალო ალალ-მართალი მშობლების ცეცხლი უქვით ზოგი... მთელი სოფლის დაწირვების ტალ-ჯუსი გაჩრილი იყო და არის. რადა მაგას დაატეხა ი დალოცვილმა ღმერთმა ასეთი ბრიაბრუობა.

ასრე სჯიდნენ და ასამართლებდნენ სოფლის დედა-კაცები შომხდარ საქმეს.

## IV

დილაა; დასავლეთის ცივი ქარი ჰქრის; თან ამოაქვს დიდა ღრუბელი, ჰგლეჯს და აქეთ-იქით დაარბევინებს, გადააქვს აღმოსავლეთისკენ. მალე ნაგლეჯი ღრუბლები გადაიბნენ და მთელი ცა ტყვიის ფრად მოიგრაგნა. მაგრამ გიჟი ქარი

არ უსვენებს, ჰფანტავს, არ აყენებს ერთ ადგილს; მიაქანებს ღრუბლის მთებს მზესთან და აბნელებს ქვეყანას; უცბად ხდის ფარდას და მანათობელი ქვეყნისა გამოვარდება ათას ფერად აბრჭყვიალებული. არ უყვარს ქარმა ქვეყანას, არ დაანება, რომ მწვიმნა, დაელბო მიწა და მით გლეხის გული მოეგო, რომელიც გულ-ხელ დაკრებილი შესცქეროდა ცის ნამს, რომ დაფარცხა ხნულები. მხოლოდ ხანდისხან კი მზე პირს წაიბანდა ხოლმე, სცრიდა წვიმას, რომელსაც მალე ისვამდა გახარებული მიწა. უკემური, დაღრეჯილი—თუ შეიძლება ასრე თქმა—დღე იყო. კაცსაც აუკუმურებს, აწუხებს, გულს უკვნესებს. ხალხი სახლებთან შეგროვილიყვნენ, ცას მალიმალ ავლებდნენ თვალს, ენატრებოდათ წვიმა, რომ ფარცხი გაეტანათ და უსაქმურობას მორჩენოდნენ.

გაბრიელა ხარებაშვილს კი საქმე გაუჩინა: დერეფანში ურმის თვლებს ჰკვერცხავდა. მალიმალ იმართებოდა, რამდენსამე წამს გამტერდებოდა, თვალნი წაუვიდოდნენ შორ-შორს და კვალად ხელეჩოს მიმართავდა. ელისაბედი კი კვახებს აბინავებდა დერეფნის ხარიხებზე. ცოლ-ქმარნი შეწუხებულნი სჩანდნენ, გაბრიელს ჩვეულებრივად სახე აღარ უცინოდა და შუბლზე ჭმუნვის ნისლი მიმოუქროდა; ამ რამდენსამე დღეში თითქო კიდეც მობერებულიყო.

— კაცო, რა ყური წაგიგდია; უნდა იფიქრო რამე, თუ არა, ამ გულ-მკვდარ გოგოზე, ამ ჩვენ ცოდვის შვილზე. თავი მოგვეჭრა, ოჯახი გაგვიუნამუსოვდა... შავ და უკულმა ის დღე და საათი, როცა მე ეს—მიიშვირა ხელი ნინოზე, რომელიც საპერანგეს ჰკერავდა,—მივაბარე გველესიანთ ოჯახში. ეგეც კი შენი ბრალია, თორემ ოხრებულიყო სახლში და რაც

ქისწავლა, ქისწავლა. მე თუ წიგნი ვიცი, მე შენ მოგახსენო, ძრიელ ბევრს კი მადგება...

— რაც იცის კაცმა, ჩემო ელისაბედ, მუქთად არა ჩაუვლის რა, დაიწყო გაბრიელმა მშვიდობიანად. არ უნდოდა ლაპარაკის აშლა, გაბოროტების ეშინოდა.—მე განა იმიტომ ავიხირე და მივაბარე ოსტატსა, დარისპანის მეუღლესა,—განაგრძო იმავე კილოთი გლეხმა—რო ეს დღე დამგომოდა. ეშმაკს თვალთ არ უხანს; რა ვიცი, მთელი სოფლის გოგოები სულ ეგემდის სახლში დაიზარდნენ, მაგრამ ეს საქმე კი არავის დამართნია. განა ისინი კი არ სწყუხან? ისეთია დარისპანი, რო დანა ყელს არ უხსნის. იმისმა მარჯვენამ იხაროს, ი გოგოისამარო, რო წელი აათრევინარო.

— ერთი კიდევ მგა, რომ ი რთველში მოიყვანე, ი გიორგაი და ჩამომიჩაჩხე ყმაწვილე ქალთან.

— არა, დიდება შენდა ღმერთო! რას მოიფიქრებს ადამიანი: ხალხიც გაუკუღმართდა და დროც. აბა, რას მოიფიქრებდა კაცი თუ... ადე, შვილო, შინ შედი...—მიუბრუნდა გაბრიელ ნინოს და შემდეგ გაწყვეტილი სიტყვა განაგრძო:—რას მოვიფიქრებდი თუ ჩემი ქალის შერთვა ედო გულში. ეგ რაა, კიდევ, თურმე დარისპანის შვილს უთქვამს, რომ უსიკვდილოთ ნინოს თავს ვერა ვინ წამართმევსო, სთქვა ნაღვლიანად, სვენებ-სვენებით, გაბრიელმა და აიმართა.

— ისემც უკვნესია იმასა! დიალ!! წაიდუდღუნა ნინომ, ჩავიდა დარბაზში და იქვე კუნჭულში საურდულესთან ჩაჯდა, რომ ლაპარაკი გაეგონა.

— გაურცხვდა ქვეყანაი, გა! ხედავ, როგორ გამოგვეპასუხა... ახლა ე ბრიაბრუობა როგორ უნდა ავიხადოთ თავიდამ, არ იტყვი ადამიანო?

— რა ბიაბრუობა, რას ამბობ დედა კაცო. თუ თქვენ რამე, მოსწონებიათ და თქვენს: მთელი სოფლის ბადალია ჩემი ნინოი, რო იტყვიან ნუშის ყვავილის ცოლებთა, სწორედ ნანო არის... რა ბიაბრუობაა! პური ბევრი, ღვთის მოწყალება, და ღვინო... ამ შემოდგომაზე დავქორწინდებ და ის იქნება.... ასეთი ოჯახიშვილები მთხოვენ, რო შენი მოწონებული, სულ საოწყალის ხალხი... წავა და შვილებს დაავიწყდება ეს ამბავი.. ჰმ, არა, ი დარისპანის შვილი რო არიგებულა, რო მე ვერავინ წამართმევსო... ნეტა! ამასაც მოვესწარი, რომ აზნაურშვილი გლეხი-კაცის ქალს ირთავდეს.

— რათ მოგვივა გვერგი დრო, ანა! წაიწუწუნა ელისაბედმა.

— არა, რო არ გაგონილა აღამის ყამიდგან ესა!... მერე როგორ უნდა შეითვისოს აზნაურის ოჯახი, ან ჩემი ქალი როგორ უნდა შეითვისონ; ორ დღეზე მოიმიგლავენ, ამოიჭამენ იმათი ნათესავები; შვილსაც დავკარგავ და მზითევსაც. შვილს დავკარგავ, თორემ სხვას ვინა ჩივის... ნეტარა! როგორაც გვიწერია, ისე უნდა იყოს.., თუმცა-და კი, ღვთის წინაშე, ისიც კაცია და მეცა... რათ უნდა იყოს ასე... ნეტარა! ეჰეი, არა შეჯდა მეფური ხელსა, არა იყო გვარი მისთა; რაც არ ქონდა პაპა შენსაო, ნურც შენ დასვავ მარმაშებსაო. ნუ!... თუმცა კი ჩემი ქალი ნასწავლია, საყვარავი, წიგნი...

— აღამიანო, რას გადასცდი! ჩვენ მთხოვნელები არ დაგველევა ამ გოგოსა. ყური მითხარ, ვინ დაგვემედება? იმ დღესაც არ იყო, გვთხოვდნენ. მერე, რა ოჯახიშვილი! ქილებით თურმე სულ მქელი პრიალპრიალები უდგია.

— საჭირო არ არის; მე არც აზნაური მინდა და არც ქილით ფუფქები; მე კარგად ვიცი, ვისაც შევირთავ, გამოადგა

ნინომ დარბაზის კარები, მშობლებს წაულაპარაკა და გაუქრდ-გაურდ ტუჩის ბზუკვით, მოღრუბლული სახით, რომელშიაც მრისხანებაც გამოსჭვიოდა და გაბედულობაც, გავიდა ბანზე.

გაბრიელ და ელისაბედი დაშეშდნენ, დაშრნენ; გულები დაუფუთქა ქალის სიტყვებმა. ქმარი ცალი ხელით ხელჯოხზე დაეყრდნო, ცალი ქამარში ჩარჩა! ცოლმა თავშლის ყურები ჩამოიშალა სიმწარით, ორივე ხელები მოკეცილ მუხლებზე დაიბჯანა და ცოტად წამოიწია მიწიდამ. ორთავე გაოცებით, გამოცეტებულებსავით გაიყურებოდნენ დერეფნის კარისკენ, სადაც მათი დამთუთქა ნინო გავიდა. რამდენსამე წამს დარჩნენ ამ უძრავ, გაოცებულ მდგომარეობაში. არც ერთს არ ეჯერებოდა ნინოს სიტყვები. ერთსა და იმავე დროს გაბრიელმაც და ელისაბედმაც გაიფიქრეს, რომ ეს უთუოდ ეშმაკეული თუ მოგვლინათ, რომელსაც სურს მათი მშვიდობიანი, აუღელვებელი, მყუდრო ცხოვრება აუმღვრიოს, მოუშალოს და ეს ნაქები და დოვლათიანი ოჯახი პირქვე დაამხოს... ერთსა და იმავე დროს ორთავ ცოლ-ქმარმა პირჯვარი გამოისახეს. ორთავეს გული გაუქანდათ სალოცვებისკენ. მერე წარმოიდგინეს, თუ ის სიტყვები ნინოს ეკუთვნოდნენ. ელისაბედს გულმა აღარ მოუთმინა, წამოდგა, ჩავიდა დარბაზში, რომლის კარები სიფრთხილით შეაჭრიალა, თითქოს არავის შეწუხება არა სურსო, უნდა დარწმუნებულიყო: ნინო იქ იყო, მართლა ის გამოვიდა, იმან გააშმაგა და ცეცხლი მოუკიდა მშობელს მუძუებზე, თუ მართლა ბოროტი სული გამოეცხადათ. ელისაბედი მსწრაფლ გამობრუნდა, მივარდა ქმარს, როგორც გაალმასებული მუ-ვეფხვი და დაბალის, მაგრამ გამწარებულის ხმით, უთხრა:

— ოჯახი დაგვექცა; ეს რას მოვესწარით... რა მაარბევინებდა მაგ წყეულს საცვრევზედ, რა! ნეტა ყურმენა თავს

საურველი მაინც არა ჰქონიათ მაგ გულის წუწილისა, მაგ!... ნუ-ტაგო, შვილო, გული მეშობნა და შენ არა... ელისაბედმა ვე-ლარ შეიმაგრა თავი; ადუღდა, ჩაგუჭგუჭდა და მდუღარება გა-დმოსკდა თვალთაგან.

— შენმა მამისულმა რა მიყოს, შენმა მამისულმა, თუ შენ რა გიყო! ცხვარი ცხვარიაო, თუ გაცხარდა, ცხარეაო. მაცა, მაცა და! შეულაპარაკა გაბრიელი თავის ქალს დერეფნის კარდო-ში, საიდამაც მისი გაბის ჩრდილი კარდოში ჩამომდგარის მზის სვეტში ციმციმებდა. შენს ფეხს დავიგირავ თავზე, თუ მე შენ რაზმაძიანთ გიორგის მიგცემ, გაათავა გაბრიელმა წყრომით და სკდჩოს რახვანი მოადინა.

V

უკუნი ბნელა იყო; თვალთა წინ აღარა ჩანდა-რა; თუმ-ცა ღამის გუშაგმა დაისცე ერთი ამოანათა, მაგრამ მალე ზედ გადაეფარა სქელი ღრუბლის საბანი; სრულიად დაებნელა ქვეყანა, წაართვა მას მნათობლობა. ღრუბელი თითქმის მიწამ-დე დავიდა; წვრილი, ჭიოტა წვიმა სცვაროდა ღრუბლიდამ; ქარი ნებას არ აძლევდა, რომ ნებივრად, ნება-ნებად ჩამოსუ-ლიყო ცის ნამი ნიადაგზე და მის გულში გამჯდარიყო; ქარი აქედ-იქით დააქანებდა ჭიოტა ცვარებს, ჰაერში აპროწიალებდა, უფრო აგნიებდა, მტვრად ჰხდიდა და ამ მტვრად ნაქცევის ცვარებიდამ ბუქს აყენებდა. ქარი, ეს განუშორებელი სტუმარი შემოდგომისა, ხან თითქო შესდგებოდა, ხან მშიერი ნადირი-ვით დაიღმუვლებდა, შორს-შორს გადიოდა ზუილით და ბო-

ლოს სიმივით სწყდებოდა. ამ დღეს მთელი სოფელი საფარ-ცხად იყო გასული.

ღამის ცხრა საათი იქმნებოდა; სწორედ ორი კვირის შემდეგ მას აქედ, რაც გაბრიელის გულს მისმა ქალმა დალო-დაასვა. გაბრიელის სახლში ამ ავს ღამეს ათიოდე კაცი იყო ვახშმად; იგინი ფერცხვილდამ მოსულიყვნენ; შუა ცეცხლთან ისხდნენ და გატალახიანებულ გაზებს იფშვნეტდნენ. საკიდელ-ზე ყურიანი ქვაბი ეკიდა; ელისაბედი მოსდგომოდა ციცხვით და წვენს უქარვებდა, რომ არ გადმოსულიყო; სტუმრებს უმ-ზადებდა შემოდგომის საყვარელს საჭმელს: ბატის ჩურჩიანს და დანიგვზულს ხარშოს. დალაგდნენ. გაიშალა ლურჯი სუფ-რა. დარბაზის დედა-ბოძზედ პატარა ლამფა იყო ჩამოკიდებუ-ლი, რომელიც ანათებდა იქაურობას; დედა-ბოძზე მიტყლეჭილი აღდგომის წითელი კვერცხი ლამფის შუქზე ათას-ფრად ბრჭყვია-ლებდა და აფერადებდა ბოძს. ყველანი დასხდნენ სუფრაზე, ქა-ლების გარდა. ელისაბედი რაღაცას დაფუსფუსებდა, შედიოდა-გადიოდა; ბოლოს ქმარს ამოუჯდა მუხლთან და ნაზად დაუ-წყო პურის კივკნა, ნინო დედა ბოძს უკან, რომლის ჩრდილი მას აჰფარებიყო, კიდობანსა და სალოგინეს შუა მდგარს ზან-დუკზე იჯდა და ცალი ხელით დაყრდნობილიყო კიდობნის თავზე. იგი ხშირად ახედავდა ხოლმე ბანს, საიდამაც ჩამო-ბოდნენ წვიმის წვეთები, ცეცხლის სითბოში ორთქლად ქცეულ-ნი, კვალად უკან ბრუნდებოდენ ცის სივრცეში, რომ ისევ ჩა-რეულიყვნენ წვიმის ნამებში. ნინო ხედავდა, რომ ბანზე გა-დარბოდნენ უზარმაზარი შავი ღრუბლები, რომლებიც მას გულზე ლოდივით აწვებოდნენ და თავს უმძიმებდნენ. იგი მო-შალა ამ საშინელმა ღამემ, შეაძრწუნა: ამ ღამეს დაპირებულია გავიდეს თავის გიორგის სანახავად, რომელიც მას ცდას დაუ-

წყებდა. გიორგი ცერკვის შემდეგ და უფრო მაშინ, როდესაც ნინოს გამოესარჩლა და მისთვის თავი გასწირა, გახდა ნინოს საყვარელ საგნად. მან გადასწყვიტა, არ დარჩეს გიორგის მო-ვალედ, გადუხადოს სიკეთე საუკუნოდ მასთან შეერთებით. ქალის გულის ფაცფაცით ვახშმის გათავებას, ქალის მოუთმენ-ლად შინაურების დაძინებას; წამები დღეებად მიაჩნია; ვახშამი მთელ საუკუნოდ გარდიქცა მისთვის. მას სიბრაზით და მო-უთმენლობით გულს აწვება, ჭია უღრღნის გულს და სულსა; იხედება აქედ-იქით; გადასცქერს მალი-მალ სუფრას.

მაჭარმა მფარცხველები შეაჭიჭინა; ყველას გული გაელო, ენა ახსნა; ასე გასინჯე, პატარა პეტუაც კი ჩაერია დაპარაკ-ში და ტიკტიკს მოჰყვა.

— ჰ წვიმას რო არ მოესწრო, მე შენ მოგახსენო, დღეს სულ ჩავფარცხავდით, აგვიტალახა და. ამაღამ რომ გადიკაროს, ხვალ სადილს შემდეგ კაი საფარცხი შეიქნება. ისე კი დაბუყ-ბუყდება, რო... ღრუბლეფით კი შეუხვამს. ეს არის, რომ წვიმის ცდა გვინდება, თორემ სარწყავის ხალხზე ჩვენ უფრო-ადრე ვრჩებით, იმათ დიდი ჯაფა უნდებათ. ბედი მაგარია და გვიან ლბება, ამ ურწყავის ხნულს მოხვდება თუ არა ნამი, ი დალოცვილი კვირით გაიშლება ხოლმე.

— ეგრე, მაგრამ ისინი რო წყალს მიუგდებენ და ჩვენ ცას შევყურებთ, ესა?... იმათი შრომა ფასდება, მუდამ მოსავალი მოაქვს.

— მოსავალი ხო იცის, მაგრამა ი წყალი თურმე მიელა დახავს მიწასა, რეცხავსო, გაცრო, ჭო თავი არ მომიკვდება! ჩემმა მოყვარემ მითხრა, რომა დიდ ჯაფად გვიჯდებაო. თუ ორი სამი წლის შემდეგ არ გავაპატივეთ, არა მოგვივა-რაო. მერე თუ მოვა, ი დალოცვილი, როგორც ბრინჯი ისე მოვა.

იქაური ერთი დღიური აქაურს სამს დღიურს უდრის მოსა-ვალში.

— ე ხალხი კი ღარიბია უფრო ჩვენზედა და!

— ვერ ერევიან, გაზრდილო, სამუშაოსა; იქ რო ერთი დღი-სა შეიმუშავო, აქაურს იმ ხანში ხუთი დღისას შეიმუშავებ, წყლისაგან გაჭანაწყებულის ნიადაგი... მეორეც ესა, იქაური მამულები სულ სამეოთხედოა. ჩვენ რა გვიშავს... იქ ზოგან ძიელ შეწირულებაში არიან. რა მაგ სიტყვის პასუხია და იმ დღეს მეითხავთან მივდიოდი... ი თქვენი ნათლული რო იყო ავათა... წინ ერთი ლიახვი'ს ხეობის გლეხი შემეხვე-ჩა, მეითხავთან გზლებიყოთ ისიცა; გავაჩერე, უნდა გამეგო მეითხავის უნარება. იმან არც აცივა, არც აცხელა და ასე კი მითხრა: ერთი გუდ-ქვა, აჯამი გაცია ხმელს ხიდის ტოტს ვერ შეატანთ სახლში, თუ ნეხვავარი იმას არ მიაწოდეთ, ხახვის თავს ვერ მოგცემენ იმის შე-მეთ. ნეტა ჩამკვდარს მიწა და თან ჩაგვატანია. ახლა მეით-ხავთან გამგზავნა სოფელმა, ავითხოვო, არა ეშველება-რა ამ ჩვენს ასეთს გაჭირვებასა. ღმერთთან მაინც გვითხოვოს, რო თუ შეიძლება ჩამკვდრესო, ე ჩვენი სოფელი ჩამკვდრესო. ასე კი მითხრა მეითხავმაო: მე მაგისთანა მეითხაობა არ ვიცი; მე-ორეც ესაო, ვთქვათ რო ჩამკვდრესო, ისიც თან არ ჩამოგყვებათო და რა საქმეში იქმნებითო: მკვდრებსაც არ მოგასვენებთო...

— ხა, ხა, ხა! აბე, აბე! ჩაიცინეს შეზარხოშებულმა გლე-ხებმა და თავები ჩაჰკიდეს.

— ასე კი მასმზო... აი სარწყავი, წადი! დაჰე, რა გაჭირ-ვებული ცხოვრებაა.

— ზურაბო, სთქვა გაზრდილმა, რაც უნდა იყოს, სარწყა-ვის გაცი დამეღებულია, ჩვენ კი უნდა უცადოთ, მაისი რას

იტყვის... მე! ის სულ სხვაა, რას მასწავლით.

ჯიშალნენ გაზმმიდამ და ბრაცუნით გავიდნენ დერეფანში. ნინოს ზურგიდამ ტვირთი მოეხსნა; გულიდამ ლოდი მოეშვა, კაეშანი ნახევრობამდე გაუქარდა; სასთუმალები კიდევ გაასწორა ელისაბედმა; დასაწოლად მოემზადნენ. ნინომ იქვე ზანდუკიან ჭილობი მიიგო, კაბა მიიხურა და მიწვა.

— გოგო, შვილო! გასაწყობი ჩვენა გვაქვს და პირიქით შენა წყრები და იბუტები? ადე, სწორედ დაწექ.. კაი რა ქნა, ჩემი მტერი ხარ, თორემ... სთქვა მოქნარებით შეზარხოშებულმა გაბრიელმა.

— არა უშავს-რა, ეგეც მტრის მაგაზე, ჩამოართვა სიტყვა ცოლმა. შენ ნუღარ დაიფარფატებ; დაღალულ-დაქანცულები ხართ, დაეყარენით, რო ხვალ დროზედ მიხედოთ საქმესა.

ელისაბედმა ცეცხლი ჩააფლა, ლამფა გააქრო და ხმა დაიწყო.

— ჰეტყუა, შვილო, გარეთ კარები დერეფნისა ჩაკეტილია?

— მე ჩავკეტე, იცრუა ნინომ და ხმა გაიკმინდა.

უცნაურმა ხვრინვამ და ათას ხმაზედ ცხვირის სტვენამ შეატყობინეს ნინოს, რომ შინაურები ძილმა მოიცვა. პირველი ძილი, ძილი დაისისა, მაგარია. მერე ძალი დაღალულ-დაქანცულისა, მუშა-კაცისა, რომლის ყოველი სხეულის ასო მოდუნებულია და სრულს დავიწყებამდე მისული, განსვენებას ეძლევა. ნინომ იდროვა, წამოჯდა და ხვრინვას და ცხვირის სტვენას ყური წაუგდო. ჩაიცვა კაბა, კაბის შრიალზე შესდგა და კიდევ ყური წაუგდო. ადგა, მივიდა კარებთან. ჩაჯდა, ურდული სიფრთხილით გამოსწია და კარების გამოღება ვეღარ გაბედა. გულმა ძაგძაგი დაუწყო; გრძნობდა, თუმცა კი გამოურკვევლად, რომ მოსაწონს საქმეს არ ჩადის, ისეთს საქმეს სჩადის,

რომლის მსგავსი იმათ სოფელში არ მომხდარა. ურდულის გამოწევის დროს თავში მოუვიდა აზრი: რად სჩადის ამ დედ-მამის უნებურს საქმეს? წაუგდო ისევ ურდული, მაგრამ გულმა სხვა უთხრა: თვალ-წინ გაუშალა სცენა კაკალ ქვეშ სარწნახელ-თან, წარმოუდგა კოხტა გიორგის სურათი და ხელის განკა-ლით გამოუყარა ურდული. გაჩერდა კარების ამყოლთან რამ-დენსამე წამს მკვდარი, დათუთქული, უარაქათო; მას აღარა ესმოდა-რა; ყურები უბჟუოდნენ, ნერწყვი უშრებოდა, აღარ ესმოდა საშინელი ხვრინვა-სტვენა შინაურებისა. სიყვარულმა სძლია; გულმა აჯობა გონებას. გაბედვით გადგა ფეხი დარბა-ზის კარებიდამ. მარს ქვეშ მას ეგონა მიესალმა საყვარლის მაგიერ და შესწყმულტუნა. ცივმა ქარმა და შხაპუნა წვიმამ გა-მოარკვიეს ქალი? ნინო მოცნობილდა, მოცოცხლდა. სახლის აღმოსავლეთით მეიდანი იწყობოდა; მეიდანი წყდებოდა სერის პირზე, რომელიც დაბლა ვენახებს გადასცქეროდა. ზედ ამ სერის პირზე გიორგის ფარეხი ჩქმალდა გამართული; თითო-ნაც მახლობლად სახლობდა. ნინოს ორასი ნაბიჯი უნდა გაევ-ლო, რომ საყვარლის ბინაზე მისულიყო. ჯიხურის ქვეშ შე-ჩერდა; მიიხედ-მოიხედა; თვალი მოიგარეულა და მშველივით გავარდა, სულ ფრენით წავიდა. პირქარი წვიმას უშხაპუნებდა სახეში. მას თვალთან თეთრი რაღაც გაუკრთა, თვალიდგან ხაზივით გაება და დაუხატა თეთრ ტანისამოსიანი, ადამიანი. დახუჭა თვალი, აახილა და კვალად თეთრი წრე გააკლაკნა. შესდგა, შეშინდა, უკან დაიწია ერთი ნაბიჯით. ღამის შიშმა სძლიოს! ამ დროს მოესმა სანატრელი ხმა:

— ნინო!

— გიორგი! იყო პასუხად.

და ორი ნორჩი, ედემს ნაზარდი ალვის-ხე, ხელ-გა-

პყრობილნი გაქანდნენ და შეიწმახნენ, როგორც ფოთოლი ხე-ზე; ტუჩი ტუჩს დააწვება, როგორც მტრედი შეაწვება ხოლ-მე ნისკარტს თვისს ხუნდს, რომელსაც მიაქვს მასთან საჭმელ-სასმელი. ხმა-ამოუღებლივ, მუნჯად იდგნენ კარგა ხანს; მიე-ცნენ სრულს თავის დავიწყებას, სრულს ნეტარებას; გული გულს შეუერთეს და სული სულს ჩაუერთეს; ერთი მეორის გულს ჩაძვრნენ. ქარი მძლავრად უბერავდა მათ, არხევდა, მაგ-რამ ისინი ვერას გრძნობდნენ: აყრიდა წვიმას, შურდა ორთა ნორჩ არსებათა მდგომარეობა; ნეტარებაში დავიწყებულთ გულის ძგა-ძუგი და ფშვინვა-სუნთქვა უხმაურდებოდათ, ქარიც ეწვეო-და ამ შემთხვევას, მაგრამ იგინი ვერ განაშორა. დაუნდობელმა არ დაზოგა უმანკო მათი სიყვარული, გახადა ფარდა მთვარეს, რომელმაც მოულოდნელად თვისი სპეტაკი შუქი სვეტივით ჩააყენა შეყვარებულთა წიაღში. მიჯნურნი მსწრაფლად გამო-ერკვნენ, შეერთხორცებულნი გაორდნენ, გამოფხიზლდნენ და მუხანათ მთვარეს მტრულის თვალით შეხედეს: თითქოს სი-ნათლის შერცხვათ, ერთმანერთს ხელი გაუშვეს და ნელ-ნელ დაუშვნენ სერის ძირად.

— მამა ჩემი დიდ უარზედ სდგას, არ მიგათხოვებ გიორ-გისაო; აქაურს ლორუმელს არ დავანახვებო, ჩადაშტერებოდა ნი-ნო გიორგის თვალებში და ხელი კისერზედ მოეჭდო.

— მეტი ღონე არ გვქონებათ, სოფელში რომ გასთახდება ჩვენი საქმე, დაგვაბუღდებიან... ნათოფს რო დაინახვენ, ჯანიც გავარდებათ....

ამ დროს მამალმა დაიყივლა; ყველაფერს საიდუმლოებას ფარდა აეხადა; ღამის სუნი დატრიალდა; გული მიჯნურებისა შეძრწა და წამოცვივდნენ. გიორგიმ გაავლო ნინოს მხარ-იღლივ ხელი, გააქანა სახლისკენ და ერთს წუთს მარ-ქვეშ მოექცნენ. მა-

გარი და მასთან ტკბილი, უმანკო კოცნა იყო მათი პირობა ცოლ-ქმრობაზე და მოწმედ სიმინდის ჯიხურა და ღვინია, რომელიც ყურ-გაბზიკინებული შესცაცქანებდა გადაკოცნებულ მიჯნურთა.

---

ერთხელ შემოდგომაზე გაბრიელ ხარებაშვილის კალოზე ბლომად იყო მიყრილი სიმინდი; გაგვკეთებინათ კალო სიმინდის გონებით გარშემორტყმული; ყველას სათითაო ჩხირი დაეჭირა, არჩევდნენ, ლაყობდნენ, მხიარულობდნენ. რამდენიც წვრილ-მარცვალა სიმინდი გამოერეოდა, ერთმანეთს სიხარულით აჩვენებდნენ: ამდენს მარს სიმინდს ავავსებთო, ბევრი მოსავალი გვექნებაო. ამ ხალხის სულისხელ საგოგმანებლად ჰყავდათ ერთი წლის ფუნთუშა ჩჩვილი. გაბრიელს ეჭირა ხელში და ეალერსებოდა, ჩჩვილი მას ეალერსებოდა, აპოტინიდა თავ-პირს და «პაპაა»-ს შესძახოდა. ჩჩვილი იყო ნინოს ვაჟი, შვილის-შვილი გაბრიელისა, პაწია გაბლია რაზმაძე, რომლის დედ-მამა იქვე ისხდნენ და საზოგადო მხიარულების თანაზიარნი გამხდარიყვნენ,

ს. მგალობლიშვილი.

---

# სახალხო ლექსები

(ჩვენში შეკრებილი ა. მ—საგან.)

პატარა გოგო დედასა
ეზმანებოდა ადრითა,
იმახის: ჩემი მკოცნელი
აივსებოდა მადლითა!

—

მთას ყინულიანს შევცქერი,
შეველი ჩამოდნობასა;
გოგო, ვინ გაძლევს იმედსა,
ვინ გიზამს ჩემოდნობასა?

—

ამოდუღდი მარგალიტო,
ნაგუბარში ჩადეგ წყალო!
არ მგეთი ლამაზი ხარ,
რას თავს იმადლები, ქალო?

—

გაუსვი და გამოუსვი
ვითომ ჭიანურიაო!
მეზობლის ქალს ხელს ნუ ახლებ
ეგეც შინაურიაო.

—

მთაში გავთიბე ბალახი,
წამიხდა ავდრობითა,
სულ გული გადამელია
ქალო, შენის მუდარებითა!

—

ქალაუ! ამ ქალაქ დამესა
შენთვისა ვდგევარ ბანზედა;
არ იქნა, არცა გათენდა,
აღარც გამოჩველ კარზედა!

—

ვაჟ-კაცსა ცოლის სიავე
შუა გზას მოაგონდება;
წაიღებს საგონებელი,
გზას იქით გადავარდება.

—

ვაი, რა დიდი ბრალია:
შავარდენი ჰყავს მერასსა!...
— გაუფრინდება, წაუვა!
შორით დაუწყებს მზერასსა.

—

გენაცვალე, ქერის პურო,
ანაცერო დიკისაო!

გულის მომლხენი ყოფილა
ნამირალდაც ტიკისაო.

—

როსტომ სთქვა: ერთი არა სჯობს
ამ ჩვენსა მოგონებასა;
ერთხელ სჯობის სიკვდილი
სულ მუდამ დაღონებასა.

—

როსტომ სთქვა: მიწა გრილია,
სიტყვას მით უნდა რბილობა.
ვაჟ-კაცს რო გაუჭირდება
მაშინის უნდა ცდილობა.

—

აქამდი, გულო ხალისო,
ეხლა რა სევდა დაგეცა?
არ სჯობდა სარჩო, საბადი
წინადვე სხვისთვის მიგეცა?

—

კარგი ყმა ლაშქრად მოკვდება,
სწორების მჯობინობასა;
გონჯაი—ბოსლის კარებზედ
ქალების ლოდინობასა!

—

სწორო, ტოლისა მგმობელო,
აწყდები ლობე-ყორესა;
მაგით ვერც სულსა მოიგებ,
ვერც გზას იპოვი სწორესა.

—

ვარგია, კმარა, გულაო,
ტყავი გაგვაძერ სულაო,
ნამგლები დაგვაყრევინე,
წელში გაგვიგდე ცულაო;
ჩვენის წვალებით მოღალე,
იასაული ზულაო. *)

---

*) მთაში ქორწილის დროს მახარობელსა სცემენ ხოლმე და ამ სიმღერას ცემის დროს ამბობენ. მ.

# ნაამბობი არტემ არარატელისა

## საქართველოს მდგომარეობაზედ მე XVIII საუკ. დამლევს *)

(მასალა ისტორიისათვის.)

მოვედი ერევნიდამ და დავბინავდი ჩემი მამყვანის სახლში. თუმცა საშინლად მოქანცული ვიყავი მგზავრობისაგან და მეტადრე იმ შიშისაგან, რომელიც გზაში გამოვცადეთ, მაგრამ კიდევ ვისწრაფოდი დამეკმაყოფილებინა ჩემი გულის წადილი და ამისთვის, გათენდა თუ არა, მაშინვე თბილისის ქალაქის გასასინჯავად წავედი. როგორც სეირნობის დროს, აგრეთვე მაშინ, როცა სახლში დავბრუნდი, ვფიქრობდი ჩემს მომავალ კეთილ მდგომარეობაზედ, რომელიც, ჩემის აზრით, უნდა შემეძინა თბილისში, მერმე კი, გარემოების და გვარად, როდესაც ჩემი მდგომარეობა გაუმჯობესდებოდა, უნდა წავსულიყავ რუსეთში. თბილისის ქალაქი და იქ მცხოვრებლები მეჩვენენ ფრიად კარგს მდგომარეობაში. მაგრამ მალე დავრწმუნდი, რომ შემცდარი ვიყავ.

იმ ხანებში განჯის მფლობელის ჯავათ-ხანის ძმისწულს რაჰიმ ხანს განეზრახა დაებრუნებინა ის ქვეყნები,

---

[1]) ეს ნაამბობი დაწერილია სომხურად, იპოვება რუსულს ენაზედაც და სახელად ეწოდება «Жизнь и приключенія Артемія Араратскаго.»

რომელნიც ჯავათ-ხანს უსამართლოდ წაერთმია რაჰიმ ხანისათვის მისი მამის სიკვდილის შემდგომ და ამ საქმეში შემწეობა ეთხოვნა საქართველოს ხელმწიფის ერეკლესათვის. ამის მიზეზით აგროვებდნენ ჯარში წასვლის მსურველთა. თოთო ჯარის კაცს აძლევდნენ სამ თუმანს და სამ საჩოხესა. ამ გვარნი ომის მოყვარულნი თითქმის ოთხას კაცამდინ იყვნენ შეგროვებულნი და იდგნენ სეიდაბადში, ქალაქს გარეთ მოქალაქეების ბაღების გვერდზედ. ეს ომის მოყვარულნი დიდი რაზმის შეყრილობას მოელოდნენ და, რადგან მათ შეყრამდის უსაქმოდ იყვნენ, ლოთობდნენ, მხიარულობდნენ და ცუდათაც იქცეოდნენ. თანა ჰქონდათ რამდენიმე ზარბაზანი. თბილისელები ტრაბახობდნენ და ყველას არწმუნებდნენ, რომ ერთის სიტყვით არამც თუ მხოლოდ განჯას აიღებდნენ, თვით სპარსეთსაც არ აზოგინებდნენ. მეორე დღეს მასპინძელმა, რომელიც მამირიგდა რუსეთში წაყვანას სამ თუმნად, მოინდომა, რომ თითქმის მუქთად შერჩენოდა ფული და მეც თავიდგან მოეშორებინე და ამისთვის მირჩია, შევსულიყავ ამ გმირთა რაზმში, რომელნიც ფიქრობდნენ, როგორც განჯისა, ისრე სპარსეთის დაპყრობასა. ესევე მირჩიეს სხვებმაც, მაგრამ მე ცივი უარი ვთქვი ამაზედ. ისინი მარწმუნებდნენ, რომ მე შევიქნებოდი მონაწილე სპარსეთის დაპყრობისა; მე, ჩემის მხრით, სახარბიელოდ არ მამაჩნდა ის დავლა, რომელიც მათ უკვე ჰქონდათ გაყოფილი. ამ დროს ჩვენი ქარავანი ჯერ კიდევ არ იყო მოსული, რისთვისაც ჩემმა მასპინძელმა, ანუ პატრონმა, მეორე დღეს დილით გამგზავნა ჩალვადრების მისაგებებლად და დამაბარა, ისინი შემოსულიყვნენ ქალაქში შუაღამისას, საიდუმლოდ, რომ ხაზინისთვის ბაჟი არ მიეცათ. მე უნდა წავსულიყავ ქარავანის მისაგებებლად სეიდაბადის გზაზე, კრწანისის გვერდზედ, მტკვრის პირას. სპარსულად ვიყავი ჩაცმული, და ამიტომ ზემოდ აღნიშნულმა ჯარის კაცებმა, რომელნიც ძალზედ მთვრალები იყვნენ, დამაყენეს და სპარსუ-

ლად მკითხეს ჩემი ვინაობა. მე ვუპასუხე, რომ ერევნელი ვარ მეთქი. მოვედი თბილისში სამი დღის წინად სალამოზედ ამა და ამ კაცთან მეთქი; მაგრამ იმათ შემრიცხეს სპარსეთის აგშაგათდა საქმის გამოუძიებლად ძალიან უპატიურად წამათრიეს თავიანთ ბინაზედ. ეს ჯერ მე ხუმრობა მეგონა, მაგრამ იმათ სრულიად უხუმრად მიმაბეს ცხენების საბმელზე და დამიწყეს ფეხის გულებზედ ცემა. ამ ძალდატანებით უნდოდათ ჩემთვის მართალი ეთქმევინებინათ. მე ვარწმუნებდი, რომ ტყუილი არ მითქვამს და ვეუბნებოდი, რომ ჩემი სიმართლე შეუძლიანთ შეიტყონ ჩემი მასპინძლისაგან. მაგრამ ამას არ მიაქციეს ყურადღება. ჩემდა საბედნიეროდ, ამ ადგილის მახლობლად იყო ვენახი საქართველოს ქათალიკოზისა და იმის მეზობლად მდებარეობდა აგრეთვე ვენახი ჩემის მასპინძლისა, რომელსაც მებაღემ დაინახა ჩემს გარშემო შეჯგუფებული ხალხი და გაიგონა ღრიალი, მოიწადინა მიზეზი გაეგო. იმან მე მნახა წინა დღეს ჩემს მასპინძელთან, და რადგანაც უპირველესი კაცის მოსამსახურე იყო და ამისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, შეუტია ამირანის ხმითა: რას ჩადიხართ, თქვე ღვთისაგან ჰკვა დაკარგულნო, რისთვის ჰკლამთ ამ საწყალ კაცსა? ისინი გულ ამღვრეული ყვიროდნენ, რომ მე აგშაგი ვარ; მაგრამ ბოლოს მებაღემ ძალით გამომგლიჯა იმათ ხელიდამ. ფეხის გულები ცემით ისე გამიხადეს, რომ სულ კანი ამძვრა და აღარ შემეძლო ფეხებზედ დგომა. მებაღემ შემსვა თავის ვირზე და მიმიყვანა თავის სახლში. ამ ცემის გამო მე ძრიელ ავად გავხდი, ასე რომ თორმეტ დღემდი სრულებით არ შემეძლო ფეხზედ დგომა.

მეფე ერეკლე რაჰიმ ხანს შემწეობას დაჰპირდა ბიძის ბრძოლაში და ამისათვის წინათვე გამოართვა კარგა ბლომად საჭირო ფული; თვითონ კი შემწეობას იმერეთის მეფესა სთხოვდა, რადგანაც თბილისზედ მოდიოდა სპარსეთის შაჰი მაჰმედ-ხანი, რომელიც იმ დროს შუშა-

ში იყო. როდესაც იმერეთის მეფისაგან გამოგზავნილმა ჯარმა ქალაქს მოატანა და ემზადებოდნენ მისაგებებლად, ჩემი მასპინძლის შინაურებმა შემაგულიანეს, და წამიყვანეს ტაფიდალის ალაყაფის კარების გარეთ სეირის საცქერლად. მე ავედი ერთს მაღალ სერზედ და იქიდამ ყველაფერს ვუყურებდი. ჯარის უფროსმა ცბიერობა იხმარა: იმან ჯარის კაცები მთელ მინდორში გაშალა პატარ-პატარა ჯგუფებად, რომ ამით ჯარი, რაც შეიძლებოდა, ბევრად გამოჩენილიყო. მართლადაც, ძალიან საეჭვო იყო, რომ აქ 4000 კაცი გამოსულიყო. მეფე სიხარულით და დიდის ამბით, ზარბაზნისა და თოფის სროლით მიეგება. ეს ჯარიც კრწანისში დააყენეს. რადგანაც იქაურ ხალხს ჩვეულებად არა ჰქონია წინადვე მომზადება ჯარისთვის პურისა და სხვა მიუცილებლად საჭირო საგძლისა, ამიტომ ახლად მოსული ჯარის გამოკვება ტვირთად ედვათ ადგილობრივ მცხოვრებელთა: თვითოეულ ოჯახიდამ უნდა მიეცათ რამდენიმე პური, ღვინო და სხ. მე არა მგონია, რომ მცხოვრებლებისათვის ძალიან სამძიმო ყოფილიყოს ეს, რადგანაც მაშინ ზემოდ მოხსენებული ცარცვისაგან თბილისში იყო დიდი სიიაფე. იმერეთის და თბილისის ჯარს იმოდენა ღვინო ჰქონდათ, რომ წყლის მაგიერად პირსაც კი იმით იბანდნენ. მცხოვრებლები მით უფრო სიამოვნებით ხდილობდნენ ამ ხარჯსა, რომ დარწმუნებული იყვნენ, ამ გამორჩეული ჯარის შემწეობით, რომელიც რიცხვით 8000 კაცამდე იყო, დაამარცხებდნენ მტერსა და მაშასადამე შევიდოდნენ წარმატებაში, ასე რომ მრავალნი სიხარულით ყვიროდნენ: დაე, მობძანდეს ახლა ალა-მაჰმედ-ხანი! ვის შეუძლიან დაგვიდგეს წინა და სხ. მე ვფიქრობდი, რომ ხალხი აღტაცებულ მდგომარეობაშია და იმისთვის აქვს ასე დიდი იმედი, რადგან საქმიდამ ნამდვილად სჩანდა, რომ ესენი უნდა დამარცხებულიყვნენ და თბილისი უსათუოდ მტერს უნდა დარჩენოდა. მე განვიზრახე ყუდრო სავანეს მონახვა და მსურდა ამ შემთხვევაში ვინმე ამხანაგი მეშოვნა; მე იმედი

მქონდა ერთის ერევანში მცხოვრებელისა, რომელიც იყო სოფელი ნორკიდამ, კარგი გვარის შვილი. (ეს მე ამას წინეთ გავიცანი თბილისში). მე იმ საათშივე უთხარი ჩემი განზრახვა და ამასთან აუხსენი წინათვე ჩემი შიში, რომელიც იცულებულს ხდიდა უეჭველად თბილისიდამ გავსულიყავ. ამ მხეცმა მიპასუხა, რომ, მართალია სპარსელები ომში დაეცემიან ხოლმე, როგორც ლომებიო, მაგრამა სრულს იმედს ჰსინი აფუძნებენ პირველს ძლევაზედაო და უკეთუ დამარცხდნენო, მაშინ გაიქცევიანო. შენა ხედავო, განაგრძო იმან, რომ ქალაქი მაგარია და მცხოვრებლები სულ გმირები არიანო, გარდა ამისა ყოველ თავის სამფოლობელოდგან საქართველოს მეფის შვილები გამოგზავნიან ათი ათას ჯარის კაცსაო. ერევნის ხანი ამ მიზეზით იყო წინააღმდეგი შაჰისა. არ არის არც იოტის ოდენი ეჭვი, რომ ჩვენ გავწყვეტავთ სრულიად სპარსეთის ჯარსა და იმის ქონებას დავინარჩუნებთ, მაშინ ქალაქში ჩამოვარდება მშვიდობიანობა და ყოველისფრის სიიაფე. მე არა ერთხელ ვყოფილვარ ომშია და ვსჯი ამ გვარად ჩემის გამოცდილებით, და შენ, მითხრა მე, ჯერ კიდევ ყმაწვილი ხარ და არაფერი არ გესმის. ამისთანა დაურღვეველ მოსაზრების წარმოდგენის შემდეგ იმისი გამოყვანა სასიამოვნო ოცნებიდგან ყოვლად შეუძლებელი და ამაო იყო. მე ვიცოდი, რომ ჩემ პატრონს თავრიზიდამ მოტანილი საქონელი უნდა დაღესტანს წაეღო და იქ გაეყიდა პირველს საქართველოს მოსამზღვრე ქალაქს ბელაქანში; იქ უნდა ეყიდნა აბრეშუმი, გაეტარებინა ქალაქს ანდრეევზედ *) და მიეტანა ყიზლარში, იქიდამ კი ასტრახანში; ამის გამო მე მქონდა ნამდვილი იმედი, რომ რუსეთამდის მივიდოდი. რაკი მოვიდა ხმა, რომ შაჰმა გაიარა შუშის მხარე, განჯაში შემოვიდა და გზაში ყველა მისი წინააღ-

---

[1]) ენდრეევი არის ეხლაც დიდი სოფელი ხასავიურტის მაზრაში.

მდევნი დაიმორჩილა გზაზედ ცეცხლით და მახვილით, ჩე-მი მასპინძელი აჩქარდა და წასასვლელად მოემზადა. გამო-ეთხოვა თავის სახლობასა და ჩვენ წავედით თბილისიდამ აგვისტოს გასულს ათას შვიდას ოთხმოცდა თოთხმეტსა (1794 წ.) წელსა. ქალაქიდგან ძალიან გვიან ღამე გავვე-ლით იმისთვის რომ, როგორც შემოსვლის, დროსა ბაყის მიცემა აგვეცდინა.

შუა ღამისას მივედით სოფელს ლილოში, სა-დაც ქართველებს დიდი ხანია დაესახლებინათ რამდენიმე მთებიდამ გადმოყვანილი—ოსი. ჩვენ ლილოელებს ვეგო-ნეთ ავაზაკები და გვიყვიროდნენ, რომ არ მივახლოვე-ბულვიყავით, ბოლოს დაგვიწყეს სროლა და მოგვიკლეს ერთი ცხენი. აგრეთვე ჩვენც ყვირილით გამოუცხადეთ, რომ თბილისიდამ სავაჭროთ სიღნაღში მივდივართ და ვთხოვდით რომ თოფები არ ესროლათ; შევფიცეთ, რომ ნამდვილს სიმართლეს ვეუბნებოდით. ბოლოს, თუმცა ჩვე-ნი ფიცი დაიჯერეს და თოფის სროლას თავი დაანებეს, მაგრამა გათენებამდის იმ ადგილიდამ ფეხი არ მოგვაცლე-ვინეს. ლილოდამ სიღნაღში მიმავალთ გავიარეთ გავერა-ნებულს სოფელს მარტყოფში, რომლის მცხოვრებლები ავაზაკებს გაქცეოდნენ. ჩვენ ვიყავით გზაში სამი დღე, მა-გრამ არც ერთი სოფელი არ გვინახავს. ამ ადგილებში ჩვენ დიდ შიშში ვიყავით. როდესაც ჩვენ შორიდამ და-ვინახამდით ხოლმე პატარა გორაკას, ანუ რომელსამე ხესა, შიშით ავთრთოლდებოდით, რადგანაც გვეგონა, რომ იქ უთუოდ დაგვხვდებოდნენ ლეკები ან სხვა თულები. ჩვენ სიღნაღში მშვიდობით მოვედით. ეს ქალაქი დაღესტნის სა-მზღვარზედ სძევს, სდგას გორაზედ, აქვს მრავალი ვენახები და მრავალი ხეხილი, განსაკუთრებით ლეღვის ხე; აქ იცის ჩინებული ღვინო. ამ ქალაქში მდებარეობს ერთი დიდი ქა-რთველების მონასტერი, წმინდის ნინოსი, იმაში არის სა-სტუმრო, ეზო და ციხე.

ჩემს მისვლამდის სიღნაღში ამავე ზაფხულს ამა მონასტრის წინა-მძღვარი ლეკებს დაეკუწათ ნაჭერ-ნაჭერად. ერთხელ წინამძღვარი წავიდა მონასტრის მინდორში, რომელიც მდებარეობს თხუთმეტს ვერსტზე მონასტრიდამ, მდინარე ალაზანზედ (განახზედ) ოცი კაცი ქართველი მუშითა, რომელთაც მან კანონიერი ფიცი ჩამოართვა რომ მტრის დაცემის დროს არ გაქცეულიყვნენ და უკანასკნელ საშუალობამდის დაეცვათ თავი. დაინახეს თუ არა მუშებმა ლეკის ცხენოსანი ჯარი, მაშინვე გაიქცნენ და ამითი უღალატეს დადებულს ფიცსა და ეპისკოპოსსა. წინამძღვარმა, რომ დაინახა მუშების ღალატი, არ შეშინდა. მინამდინ ლეკები მოვიდოდნენ, დაუწყო თოფის სროლა და მოკლა ოთხი კაცი, მერმე ხმლით დაერია ლეკებსა; მაგრამ ლეკებმა აჩეხეს ნაკუწ-ნაკუწად; შემდგომ ამისა, როდესაც ლეკებმა შეიტყეს მისი ღირსება, ძალიან შესწუხდნენ, რომ ცოცხალი ტყვედ არ წაიყვანეს, და ამითი დაჰკარგეს შემთხვევა დიდი ფულის აღებისა.

მაშინ სიღნაღში იმყოფებოდა სრულ ბრძანებლად მეფის უფროსი შვილი და ერეკლეს მემკვიდრე (გიორგი). როდესაც ერეკლემ დაინახა მოახლოვება ალა-მაჰმად-ხანისა, რამდენჯერმე დარწმუნებით სთხოვა იმას (გიორგის), და აგრეთვე სხვა თავის შვილებსაც, რომ დაეჩქარებინათ ჯარის გამოგზავნა.

სიღნაღში მყოფმა მეფის შვილმა (მემკვიდრემ) რამდენჯერმე მოაგროვა მამისაგან ნათხოვნი ჯარი და გამოაცილა ქალაქს გარეთ, მაგრამ მისი ქვეშევრდომნი ისეთი ურჩნი იყვნენ, რომ უკანვე ბრუნდებოდნენ სხვა გზებით და მიდიოდნენ ისევ თავ-თავის სახლებში. ისინი მხოლოდ იმაზედ ფიქრობდნენ, რომ მოემკოთ ყანები, ექმნათ რთველი და აკ ნაირად შეეტანათ თავის სახლობისთვის საზრდო. ამისთანა წინააღმდეგობა გამოიჩინეს იმათ მაშინაც, როდესაც მე სიღნაღში ვიყავი და როდესაც შაჰი თბილისს მოსდგომოდა. ჩემი პატრონი დარჩა სიღნაღში კარგა ხანს.

ეს მოელოდა ვისმე ლეკს გამოჩენილს ბელადსა, რომელ-საც უნდა გაჰყოლოდა თავისი სავაჭროთი. ეს წესი იყო იმ დროებში: ბელადი იკისრებდა ყოველს მზრუნველობას მგზავრის შესახებ. ამშემთხვევით მომეცა მე საკმარისი დრო, რომ დამევლო სიღნაღი და მენახა იქ მდებარე სომხის ეკკლესია. სექტემბრის რვას, ყოვლად წმინდა ღვთის მშო-ბლის დაბადებას მე მივედი ამ ეკკლესიაში ცისკარზედ. მე ვცდილობდი შემენიშნა, კარგად იციან იქაურმა მღვდლებ-მა კონდაკი წირვისა და ეკკლესიური წესი თუ არა, და ძალიან გავკვირდი, როდესაც ვნახე, რომ ისინი ამ დღესა-სწაულს სადა დღესავით სწირავდნენ. იქაური სომხების უმეტესმა ნაწილმა სრულებით არ იცის სომხურად ლაპარა-კი და ქართულად ლაპარაკობენ; მე ძლივს წვალებით ვი-პოვნე ზოგიერთი, რომლებთანაც შემეძლო სომხურად ლა-პარაკი. მე იმათ ვუთხარი, რომ ამ რიცხვს ღვთის მშობ-ლის დღესასწაულია და ვკითხე, რატომ არა სწირეს იმათ-მა მღვდლებმა ამ დღეს იმ წესით, როგორც კონდაკი უთხრობთ. პირველად იმათ ერთი ერთმანეთს წაჩურჩულეს. შემდეგ სხვებმა გაჯავრებით მოიტანეს ჟამნი და ნახეს, რომ ჩემი სიტყვა მართალი იყო. ამის გამო დაიწყეს ჩივილი თავიანთ მღვდლებზედ, ასე რომ ისინი იძულებულნი შეიქმნენ დაეწყოთ წირვა ხელ ახლად. ამასთან, რასაკვირველია, მე შემნიშნეს ძალიან კარგის მხრით. ეკკლესიაში იყო მაშინ იქაური ექიმი სომეხთაგანი, სახელად მათეოსი. ეს იყო გადმოსახლებული სიღნაღში ოსმალეთის საბრძანებელიდამ, სიღნაღში დიდს პატივის ცი-მაში იყო. მოვიდა ჩემთან, ყურადღებით იკითხა ჩემი მდგომარეობა: საიდამ, როგორ და როდის მოვედი სი-ღნაღში. მერე მიბრძანა მივსულიყავ მის სახლში ჩემ პატრონთან ერთად. მე გამომიცხადა, რომ ძალიან შევუყვარდი და ამისთვის სურს სიკეთე მიყოს. ეს ექიმი ღირსებიანი, გამოცდილი და მდიდარი კაცი იყო. ის თა-ვის საკუთარი ხარჯით აშენებდა ზემოდ მოხსენებულ ცი-

ხეში დიდს ქვითკირის ეკკლესიას წმინდის დიდისა და ძლევა შემოსილის გიორგის სახელზედ. მე მივედი იმასთანაა წირვის შემდეგ, როდესაც მოილაპარაკა ჩემს პატრონთანა. სთხოვა, რომ დავრჩინე იმასთან. ჩემს მაგივრად ექიმი ჰპირდებოდაა თავის მოსამსახურის მიცემას, რომელმაც იცის სუყველა იქაური ადგილები და ამიტომ მოგზაურობაში ის უფრო სასარგებლო იქმნება, ვიდრე მე. ექიმმა აქვე გამოუცხადა ჩემს პატრონსა, რომ მომათხოვებს თავის ქალს, რომელიც მაშინ მხოლოდ ათი წლისა იყო; მისცემს თავის ქალს ორას თუმანს თეთრს ფულს და მე მიშვილებს; როდესაც აღშენდება ციხეში ეკლესია, მიშუამდგომლებს სამღვდელოების მთავრობასთან და გამამწესებინებს მღვდლად ამ ეკკლესიაში. ამასთან ექიმმა დაუმატა, რომ, როდესაც ჩემი მასპინძელი დაბრუნდება სიღნაღს, თან წაჰყვება თბილისში და მეფე ერეკლეს და ეპისკოპოსს მოაწერინებს ხელს შვილად აყვანის ქაღალდზედ, ასე რომ მე ვიქნები ყველაზედ უფროსი მის სახლობაში და, შემდეგ მისის გარდაცვალებისა, მამა და მზრუნველი მცირე წლოვანი მისი ვაჟი-შვილისა. ამისთანა მოულოდნელმა და უზომო ბედნიერებამ თითქმის გამაოცა. დიდი მადლობა გამოვუცხადე ჩემს ახალს კეთილის-მყოფელსა, მადლობა ფრიად დიდის გრძნობით გამოთქმული. ამასთანავე დავპირდი მეცადინეობითა და ყოველის ღონისძიებითა, აგრეთვე კარგის ყოფაქცევით გადამეხადა იმისი სიკეთე. რა დიდი მომზადება მინდოდა, მაშინვე გადავედი იმასთან და დავრჩი იმის სახლში. უწინდელმა ჩემმა მასპინძელმა კი იშოვნა საიმედო წინამძღოლი და დილით წაჰყვა იმ საიმედო წინამძღოლს, რომელიც მისცეს ჩემს მაგივრადა. ექიმმა დამანიშნა თავის პატრონათ და ჩამაბარა ყოველისფრის ყურის-გდება. იგი, როგორც მდიდარი კაცი, უმასპინძლებდა ზემო ხსენებულს ბატონის შვილს (გიორგის) თავისი ოჯახიდგანა. მეორეს დილიდამ მე უნდა წავყოლოდი ჩემ ახალ პატრონის მოსამსახურეებსა, რომელ-

ნიც უხიდავდნენ ბატონისშვილს საჭმელებსა და თვალ-ყუ-
რი მედევნებინა, რომ მოსამსახურეებს უზდელობა, სიბრი-
ყვე არა ჩაედინათ რა.

მეორე დღეს ბატონისშვილს მიუტანეს საოცარი უშ-
ველებელი ლანგრით ფლავი და კარგა მოზრდილი ბატკა-
ნი, გაკეთებული სხვა-და-სხვა ნაირი სანელებლითა, ქუფ-
თით და სხ. ასე, რომ ეს სადილი ჩვენებურად, აზიურ წეს-
ზედ ჩაითვლებოდა ძალიან საგანგებო სანოვაგეთა. აქ პი-
რველად შემემთხვა ნახვა ბატონისშვილისა. აზიური ჩვეუ-
ლებისა მებრ იჯდა ძირს გაშლილ ხალიჩაზე და იმითი იყო
შესანიშნავი, რომ ჩემს დღეში არავინ მინახავს იმის შესა-
დარი მსუქანი ადამიანი. ვახშმათ თუმცა მიართვეს ამოდე-
ნავე ულუფა, მაგრამა, ჩემდა გასაოცრად, იცოტავა და
მიბრძანა მე რომ ჩემი პატრონისთვის, ექიმისთვის მესაყვე-
დურა ამაზე. ამისთანა მასპინძლობა ყოველ დღე, უეჭვე-
ლია, არ დაუჯდებოდა იაფადა, მეტადრე სრულის წლის
განმავლობაში.

ბატონისშვილი იდგა დიდს გორაზედა მოურავის ანუ
მეფის მოადგილის სახლში, რომელიც მაშინ იქ არ იმყო-
ფებოდა. მისი მხლებელნი იყვნენ ოთხი ხუთი კაცი; ჰქვა-
ნდათ რამდენიმე ჯორი ბარგისთვის და ცხენი. მეორე დღეს
ბატონიშვილი კმაყოფილი შეიქმნა სადილისა და გამხია-
რულდა. აქ მე მკითხა ჩემს ვინაობაზედ.

— ვინა ხარ შენ და საიდამ?

და როდესაცა ვუპასუხე, რომ ამა და ამ ადგილიდამა
ვარ მეთქი, კიდევ მკითხა:

— იცნობ თუ არა თქვენს კათალიკოზს?

მე მოვახსენე, ვიცნობ მეთქი, მოწყალეო ბატონი-
შვილო!

— აბა, ის სრულებით უკუღმართი კაცი რიცაა!

— რისთვის ინებეთ იმისი ეგრე შეურაცხ[illegible]ე

— ამიტომ, რომ იმან მისცა შაჰსა ასი ათასი მანათი.

მართლადაც პატრიარხმა შაჰის თხოვნისამებრ მისცა

მას ზემოთ თქმული ფული სამხედრო ხარჯისთვის და, როგორც შაჰი ჰპირდებოდა პატრიარხსა, უნდა განთავისუფლებინა მტრებისაგან.

— ჩვენთვის კი რომ მოეცა ეს ფული—განაგრძო ბატონიშვილმა, — ჩვენ უფრო უკეთესად დავიცავდით პატრიარხსა.

შაჰი პატრიარხის მტრებად რაცხდა ქართველებსა, და ქართველები შაჰსა. მე ამის შემდგომ ჩემის გულწრფელობით გავბედე და ვკითხე:

— მოწყალეო მატონო, რა სჯულისანი არიან სპარსელნი?

— როგორ, განა შენ არ იცი? ისინი მაჰმადიანები არიან.

— თქვენ, მოწყალეო ბატონიშვილო, რა სჯულისანი ბრძანდებით?

ამ კითხვაზედ მიპასუხა როგორღაც გულნაკლულად შემდეგი:

— შენა, მგონია, სრული წლოვანი ხარ და ამისთანა სულელი, რომა შენ არ იცი ისა, რომ ჩვენა ვართ ბერძნების სარწმუნოებისა!

— სპარსელები არიან მაჰმადიანნი, მეფის შვილო, გავიბაასე მე, და ჩვენა გვთხოვენ ფულსა და თქვენა ბრძანდებით ქრისტიანები და ამასვე თხოულობთ და რა განხვავება არის თქვენსა და იმათ შორის?

მართლადაც ისრე გულწრფელი და სულელი ვიყავი, რომ არ მოვიგონე დარიგება ჩემის ოსტატისა და შევები ლაპარაკში იმ განზრახვითა, რომ მეჩვენებინა ბატონიშვილისთვის ჩემი მახვილ-გონიერება და იმ იმედითა, რომ მოვეწონებოდი, ის კი აღარ მოვიფიქრე, რომ სულ სხვაფრივ ჩამამართმევდა. ბატონიშვილი დაჩუმდა და მე ისე მეგონა, რო ვერ მიხვდა ჩემს ნათქვამსა მეთქი, მაგრამ ორს წამს უკან აღმოჩნდა მისი უკმაყოფილება, ასრე ძალიან, რომ უბრძანა ჩემი გათრევა, ცემა და ციხეში ჩა-

გდება. სამმა მისმა მხლებელმა მტაცეს თმებში ხელი, წამათრიეს ციხეშია. ისინი მცემდნენ ყოვლად შეუბრალებლად ჯოხითა და მუშტითა.—ამისთანა შემთხვევამ მე ძალიან ფიცხლად მამაგონა ჭეშმარიტი ზნეობითი დარიგება ჩემის კეთილი მასწავლებლისა, რომელიც მარწმუნებდა, რომ არა მეთქვა რა მოუფიქრებლად. როდესაც ექიმმა შეიტყო ეს ამბავი, მეორე დღეს წავიდა ბატონიშვილთანა და სთხოვა, რომ მიეცა ჩემი გამოშვების ბრძანება.

ბატონიშვილს არ შეეძლო ექიმის თხოვნაზედ უარი ეპასუხნა, ამიტომ რომ მაშინ ექიმი აღარ გაუგზავნიდა საჭმელებსა.—ამ სახითა მამიყვანეს მე ჩემი მასპინძლის სახლოშია. სახლის პსტრონმა ჩემი ნაცემი სხეულის გასაკურნავად და ღონეზე მოსვლისათვის მოიხმარა ყოველი ღონისძიება, რაც ხელიდგან გამოუვიდოდა. ეს შემთხვევა მე მომივიდა თერთმეტს ენკენისთვეს. ამავე დღეს, საღამოზედ მოვიდა ამბავი სიღნაღშია, რომ ქართველებს გაემარჯვებინათ და მტერთა წინამძღვარი მელიქი სომეხთაგანი ყარაბაღელი მეჯლუმი ადგილობრივ მოეკლათ. ეს მელიქი გადუდგა ერეკლესა და გახდა იმისი მტერი მისთვის, რომ მეჯლუმის ძმა ქართველებისაგან მფარველობით დაიმედებული მიემხრო ამ უკანასკნელთა და სხვათა შორის დაილუპა იმათ მამულში, რადგანაც მათი მფარველობა გამოდგა ამაო და ესრედ ამ შემთხვევისათვის თორმეტს რიცხვში, გამართეს ლხინი და მხიარულება. ბატონიშვილი და ხალხი, რომელნიც მოგროვდნენ მინდორშია, ისროდნენ იქ ზარბაზნებსა (ოთხი ზარბაზანი იდგა), სვამდენ მაჭარსა, მხიარულად ხმაურობდნენ და შაჰის დაღუპვას ღმერთს ევედრებოდნენ. თუმცა ავად-მყოფი ვიყავი, მაგრამ კიდევ უკანასკნელი ღონისძიებით გაველი კარზედა, რომ მენახა ესე დღესასწაული და ვყოფილიყავი დამსწრე ხალხის სიხარულისა, მაგრამ მახსოვდა ის დარიგება ჩემის მასწავლებელისა და ის ახალი შემთხვევა, რომელიც მამეცა ბატონის შვილისაგანა და ვიყავი მშვიდათა და ფრთხილად. ამ უსა-

ვუძღვნო დღესასწაულზედა ვსჯიდი მაშინა მხოლოდ ჩემს გულში, რადგანაც არ შემეძლო გამეხსენებინა ჩემი აზრები. ცამეტმა რიცხვმა სეკტემბრისამა აგრეთვე გაიარა სიამოვნებაშია; მაგრამ თოთხმეტს, თითქმის შუადღისას, ერთბაშათ მოსცვივდნენ სიღნაღში თბილისიდგან გამოქცეულები, დაჭრილები და იმათ გამოაცხადეს: რომ თბილისი აიღო შაჰმაო თორმეტს სეკტემბერსა, ესე იგი იმ დღესა, როდესაცა ბატონიშვილი სიღნაღში მცხოვრებლებითურთ ხარობდა მეჯლიუმის მოკვლასა და ყიზილბაშების დამარცხებასა; თბილისში მცხოვრებლებიო, ვინც დარჩენილიყვნენ ცოცხლები, გაქცეულიყვნენო. თვით მეფე ერეკლე დაიმალაო სადღაცა და შაჰიც მოვაო სიღნაღში.

ამ ამბავმა სიღნაღში მცხოვრებელნი შეაშანა და შეაძრწუნა, ასე რომ კაცს არ შეეძლო ქალაქს გარეთ ორი ნაბიჯი გადაედგა; ამ გარემოებათა შორის, ზოგთა იმის მაგიერად რომ ერთად პირი შეეკრათ და ეფიქრათ საერთო ღონის ძიებით გამაგრება, დაიწყეს თუღლობა, ცარცვა ერთი ერთმანერთისა და ხოცვა, როგორც აქაურებს აქვსთ მარადის ჩვეულებად. ამ გვარ შემთხვევაში ბატონიშვილს ორის დღის სიხარულის შემდგომ ერთბაშათ დაეცა თავზარი ამისთანა მოულოდნელი და სრულებით მისი აზრის წინააღმდეგი საქმისაგან და განიზრახა თავისი თავის გადასარჩენად თვით უსაიმედესო ღონის-ძიება: გახიზვნა. ბატონიშვილის სკივრები აკიდებული იყო ჯორ-ცხენებზე და ამ რიგად ყველაფერი მომზადდა გასახიზვნად.. როცა ხალხმა ნახა ესა, ფიცხლავ მოგროვდა მისი სახლის მახლობლად და უყვიროდნენ ბატონიშვილს, რომ ჩვენ არ გაგიშვებთო და სხვათა შორის აყვედრიდნენ, რომ ჩვენი საქონლით, ცხვრით და ღვინით გამოიკვებეთო და, როდესაც შიშიანობა მოხდა, ახლა-კი გსურთ ჩვენი თავის დანებებაო?! ყველანი განიმეორებდნენ ერთის ხმითა: «ახლა ჩვენ არ გაგიშვებთ; აქ ჩვენთან უნდა მოკვდე. როდესაც მტერი დაგვეცემა და დაგვიწყებს თავის კვეთასა, დაე, მაშინ შენც

თავი გაგაგდებინონ ჩვენთანა.ჲი ბატონიშვილმა სთხოვა ხალხს ვედრებითა, გამიშვითო, მაგრამ უგრძნობელმა და შეუპოვარმა სიღნაღელებმა არ აასრულეს მისი თხოვნა და ბოლოს ყარაულიც დააყენეს. ბატონიშვილს ერთი ღონისძიება-ღა დარჩა, მოსყიდვა ყარაულებისა. ბატონიშვილმა ადვილად მოახერხა ესა, მაგრამ ისე, რომ თავისი ქონება, რაც-კი იქა ჰქონდა, სულ ყარაულებს დაუტოვა და ერთის კაბით გაიქცა თელავში.

ის ვაჭარი, რომელმაც იკისრა ჩემი წაყვანა რუსეთში, რამდენსამე დღის უკან მობრუნდა სიღნაღში და გვითხრა, რომ თბილისის აღების ამბავი ლეკებშიაც მოვიდაო და ლეკებიც შეუდგნენ ციხეების გამაგრებას, რადგანაცი იმათაც ეშინოდათ შაჰის დაცემისაო. იმ ვაჭარს თურმე უნდოდა თელავზედ წასვლა, რომ ამ სახით ჩემი სამი თუმანი შეენარჩუნებინა, მაგრამ ერთის ადგილას სიღნაღის ქვემოდ, მთის ძირში, გაეცარცვათ ქართველებსა და ამის მიზეზით მოვიდა სიღნაღში.

ზ. არჯევანიძე.

(შემდეგი იქნება)

# ჯეჯილი.

(ვუძღვნი პაწია ლევანს).

იზარდე მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი. გახდი ყანაო;
იკურთხოს იმის მარჯვენა,
ვინც გთესა, მოგიყვანაო!

—

დაპურდი, ჩემო ნუგეშო,
იზარდე თანდითანაო:
ზეცამ გიგზავნოს ცვარ-ნამი,
მზემ შუქი გფინოს თანაო;

—

ქარმა გაღელვოს ზღვასავით,
მწყრებმა მოგძახონ ნანაო.
იზარდე, გაახარევი
ყმაწვილი ჩემისთანაო.

—

შრომის შვილი ვარ, ღარიბი,
არავინ გამიტანო:
ვისაც კი ძმურად მივენდე,
მან გულს დამასვა დანაო.

—

ნეტავი აქ არ მამყოფა,
ქალაქში ჩამიყვანაო:
მასწავლა რამე ხელობა,
მასწავლა ანაბანაო.

---

ამაღლდი, თავი დაისხი,
ჯეჯილო, ნორჩო ყანაო.
იმისი საზრდო შეიქენ,
ვინც გთესა, მოგიყვანაო.

---

ნამგლებით გარს გეხვევიან
ბიჭები ჩემისთანაო:
პეტრე, გიორგი, თევდორე,
ბესო და ალმასხანაო.

---

ჯერს უმზადებდეს თინია,
აიმ ბერ კაკლებთანაო.
სოსოს ხელად მოჰქონდეს
ცივცივი წყაროდანაო.

ი. დ.

1385 წ.

# პედაგოგიური მოსაზრებანი.

## ქალების განათლების შესახებ

### წერილი პროფესორის ტარასოვისა.

გრაფი არაქჩეევი ანნა სნაზინისას, სხვათა შორის, შემდეგს სწერდა: «თქვენ თურმე მამულებს უვლით; ამ ამბავმა ძალიან გამაკვირვა: რა ქალის საქმეა მამულების მოვლა, განა თქვენი საქმეები არ გეყოფათ? თქვენ უნდა სოკო ახმოთ, ხალი სჩიროთ და სხვ.» ამისთანა შეხედულება «ქალის საქმეზედ» მარტო არაქჩეევის და მის დროების გუთვნილებას არ შეადგენს; ამ აზრისანი ბევრნი არიან ჩვენს დროშიც და ამითვე აღვიარებენ ქალებისადმი უპატივცემულობას. ქალების განათლებაზედ ბაასი სულ მეტი იქნება, მინამ ქალი პატივისცემას არ დაიმსახურებს. პატივს მხოლოდ გარეგან სილამაზეს არას სცემენ; მას მიიზიდავს აგრეთვე, და უმეტესადაც, სილამაზე ზნეობრივი და გონებრივი. და რადგანაც გონებრივი სილამაზე შეიძინება განათლებით, მე ამ წერილში შევეხები ქალების განათლებას.

ხშირად არევენ ხოლმე ერთმანეთში აღზრდას და განათლებას, ან მათ შორის არავითარ განსხვავებას არ ემჩნევენ. სიტყვა აღზრდა ნიშნავს განვითარებას სხეულისას, გონებისას

და სულისას, განათლება კი მხოლოდ ნაწილს შეადგენს აღზრდისას, საგნად აქვს გონების განვითარება, თუმცა თვის ზედ-მოქმედებას აწარმოებს ფიზიკურ და ზნეობრივ განვითარებაზედაც. ამისთანა დამოკიდებულებას მათ შორის, ხშირად უთანხმოება მოსდევს ხოლმე, როგორც მაგ., სახელმწიფო მმართველობაში; ყველა ნაწილები მმართველობისა, როგორც ნაწილნი ერთის სხეულისა, უნდა ეთანხმებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ ხშირად სამხედრო მინისტრი ეწინააღმდეგება ფინანსთა მინისტრს, ეს უკანასკნელი კიდევ სახალხო განათლებისას. ამ უთანხმოებას აღზრდისა და განათლების შორის, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, უთანხმოებას ფიზიკურ და ზნეობრივ განვითარებისას ერთის მხრივ და გონებრივი განვითარებისას, მეორეს მხრივ, ხშირად სამწუხარო შედეგი მოსდევს ხოლმე. ავიღოთ რამდენიმე სურათი ახლანდელის ქალებისა საფრანგეთში და მათზედ გავსინჯოთ, რამდენად სავნებელია ამ გვარი უთანხმოება.

ფრანცუელი გლეხ-კაცის ქალი სრულიად გაუნათლებელია. ცხოვრობს და იზრდება მუშა ხალხში, ბავშვობიდგანვე გრძნობს იმ აზრს, რომ ქმრისა მეუღლე უნდა იყოს, რომ ცუდაობა მავნებელია, რადგან მას გალატაკება მოსდევს. მაგალითს, რასაკვირველია, დედისგან იღებს. გათხოვებამდის იქნება ხშირადაც იქცეოდეს უმართებულოდ, მაგრამ რაკი გათხოვდება, ქმარს ეჭვიანობის საბუთს აღარ აძლევს. მისი სიცოცხლე მუშაობაში გადის და მალე ჰკარგავს სილამაზესაც და სიყმაწვილესაც. უმეტე'ს ნაწილად კარგი მეუღლეა, კარგი დედა, კარგი მუშა, თუმცა, როგორც ვსთქვით, სრულიად გაუნათლებელია.

ქალაქელი მუშა ქალი სოფლელსავით გაუნათლებელია.

სცხოვრებს ქუჩაში, სახლობა არა ჰყავს და, თუ ჰყავს, გარყვნი-ლი და გალოთებული. პატარაობითვე თავის დედას ჰბაძავს და, თუნდ კიდეც გათხოვდეს, ქმრის სახლში ბედნიერებას ვერ შე-იტანს, თავს ვერ დაუდებს ოჯახს.

აქა ერთი მაგალითი ცხადად გვიჩვენებს, რა სხვა და სხვა შედეგი მოსდევს ფიზიკურის და ზნეობრივის განვითარების სხვა და სხვაობას, თუმცა გონებრივი განვითარება ერთის შემ-თხვევაშიაც და მეორეშიაც ერთნაირად არ არსებობდეს. მაგრამ გადავსინჯოთ სხვა მაგალითებიც, მაგ. მოქალაქისა, ვაჭრის და არისტოკრატიის ცხოვრებიდამ აღებული. აქ განათლება თითქმის ერთი და იგივეა, მაგრამ ზნეობრივი ვითარება სრუ-ლიად სხვა და სხვა ნაირი.

ღარიბის მოქალაქის, ვაჭრის ან მოსამსახურის ქალი 15 წლისა სკოლას თავს ანებებს. მისთვის ყველაფერი უსწავლე-ბიათ, მაგრამ ცოდნით კი არა იცის-რა, შემდეგ დედა სწვრთნის: ასწავლის საოჯახო საქმეებს და თავის მაგალითით უჩვენებს დედის და მეუღლის დიდს მნიშვნელობას. მას სასტიკად ყურს უგდებენ, მარტოს არსად გაუშვებენ და თეატრში მხოლოდ მაშინ მიჰყავთ, როცა პიესა ზნეობრივია. გახდება 17 წლისა და თითონაც და მისი დედაც სულ გათხოვებაზედ ფიქრობენ, რადგან მათ ქალი თავისუფლებას მიიღებს და ოჯახი — შემ-სუბუქებას. ამ ნაირად აღზრდილი ქალი თავის ვალდებულებას ქმარ-შვილის და ოჯახისადმი სინიდისიანად ასრულებს, სახლ-ში დიდი გავლენა აქვს და ხშირად თვით არის ხოლმე მიზე-ზი მთელის ოჯახის კეთილ-დღეობისა.

მდიდარ მოქალაქეთა საზოგადოებაში, სადაც მეფობს სი-მდიდრით კვეხნა, ქალი აკვნიდგანვე განცხრომას ეჩვევა; მას დღეში ორჯერ-სამჯერ უცვლიან ტანისამოსს. სტუმრებს ტი-

ჯინსავით აჩვენებენ და ამაყობენ თვის მორთულ შვილით. იზრდება და ცდილობს წააბაძოს თვის დედას, რომლის სიცოცხლე ბალებში და სამკაულებშია წასული. სწავლას დედა აწყობინებს, მაგრამ მერე დღესვე სწყინდება და მის განათლებას დაქირავებულ გასმეს აბარებენ. ასწავლიან ახალ ენებზედ ტიკტიკს და შემდეგ სადმე გამოჩენილ, მოდურ პანსიონში აბარებენ. იქ, განათლების მაგივრად, უმახინჯებენ სულსაც და გონებასაც. შემდეგ პანსიონისა, ქალი რამოდენიმე ხანი სახლში ჰყავთ, რომ ქცევა ისწავლოს... გაათხოვებენ და იგივე უსაქმურობა, იგივე გარყვნილება. ამ საზოგადოებაში არც მეუღლე, არც დედა, არც ქალი, აქ არა იშვიათად მხოლოდ სიძვა არის.

არისტოკრატულ სახლი ქალის ბავშვობა ბევრით ჰგავს ზემოდ აღწერილს, რადგან მდიდარი ბურჟუა ყველა აზნაურებს ჰბაძავს და ხშირად მათზედ უკეთესადაც სცხოვრებს. განსხვავება სკოლიდგან იწყება, რადგან აზნაურობა შინაურ განათლებას უფრო მისდევს, ვიდრე პანსიონისას. ქალს ასწავლის ჯერ გუვერნანტკა, მერე მასწავლებელი, მას შორიდგან აჩვენებენ მეცნიერების ყვავილებს, და ღრმად, საძირკვლიანად რისამე შესწავლას სულ მეტად სთვლიან. გათხოვებამდის სასტიკად ყურს უგდებენ. იმ აზრით ზრდიან, რომ დიდი გვარის შვილია, პატიოსან შთამომავლობისა და ქმრის არჩევაში მან ყური არ უნდა ათხოვოს თვის გულს. უმეტეს ნაწილად ცოლ-ქმარი არ იცნობს ერთმანეთს, რადგანაც ქალს ერთბაშად ეუბნებიან—ეს შენი საქმრო არისო. აქედგან—გულ-გრილობა, უმადურობა ერთმანეთისადმი და, ბოლოს, ცოლი თავისთვის სცხოვრობს, ქმარი თავისთვის; ცოლს თავის საკუთრება აქვს, თავის ნაცნობები ჰყავს და სხვ. ქმარს—თავისი. მხოლოდ სახელის გუ-

ლისთვის არ იყრებიან სრულიად და ხალხში ისე იქცევიან, როგორც ჯრიმანელის მოსიყვარულენი. ეს მაგალითებიც გვიმტკიცებენ, რომ ერთსა და იმავე განათლებას, შეიძლება სხვა და სხვა შედეგი მოჰყვეს, როცა ზნეობრივი და ფიზიკური განვითარება სხვა და სხვაა. ამის შესახებ სპერანსკი ამბობს, რომ აღზრდა იგივე თესვა არის, რადგან თესლის ამოსვლა მის სიკეთეზედ, მიწის სიკარგეზედ და მის კარგად შემუშავებაზედ კი არ არის დამოკიდებული, არამედ ჭაერზედაც და ჭაერითან ხომ ჩვენ ვერას გავაწყობთო. აგრეთვე მართალს ამბობს სპენსერი, რომ ვინც აღზრდას ხელს ჰკიდებს, (მეტადრე იმ საზოგადოებაში, რომლისთვისაც დამახინჯებულ ცივილიზაციას თავის დაღი დაუმჩნევია), არა ფიქრობს, რომ აღსაზრდელი ორგანიზმი რაიმე წინააღმდეგობას გაუწევს; ამას თვით საქმე დაანახვებს ხოლმე და ძალიან ჩქარაც. მოთმინებით რამდენჯერმე ერთის დ იგივეს გამეორების და საანბანო ჭეშმარიტების შეგნების გარდა, რომლის საშუალებით უფრო დიდ ჭეშმარიტების გაგება შეიძლება, აქ კაცმა უნდა იბრძოლოს სიცრუის და ცრუ-მორწმუნეობის წინააღმდეგაც, და რამდენადაც თვითოეულს მათგანს ნაკლები საბუთი აქვს არსებობისა, იმდენად ძნელია მისგან განთავისუფლება; მარტო მის შეხებაც კი სიბრიყვეთ და მამა-პაპათ ჩვეულებისადმი უპატივცემულებად ითვლება.

«ადამიანის ზნეობრივი ბუნება აღზრდაში, ამბობს გუტგოვი, შეგვიძლია ოქროს შევადაროთ, და ისიც საკმარისი იქნება, თუ იგი 56 პრობისა გამოდგა, რადგან მაზედ გავლენა აქვს ტემპერამენტს, სისხლს, მემკვიდრეობითს მიმართულებას და სხვ.» მოკლედ რომ ვსთქვათ, აღზრდა არ არის ყოვლად შემძლებელი და მის გავლენას თვისი საზღვარი აქვს, რომელ-

საც თვით უმცროსი აღმზრდელიც ვერ გადააბიჯებს. თუ ეს ასეა, მაშ განათლებასაც, როგორც ნაწილს აღზრდისას, ექნება თავისი სამძღვარი, და მართლაც, არც მას შეუძლიან პურის გული ოქროთ გადააქციოს და ტლაპო წმინდა წყაროთ.

ყველა ეს უნდა გვახსოვდეს, რომ, პირველად, აღზრდას და განათლებას არ მივცეთ ერთგვარი მნიშვნელობა, ან არ მივაწეროთ ერთმანერთის წინააღმდეგობა და, მეორეთ, არ მოველოდეთ მათგან შეუძლებელს და ტყვილი ბრალი არ დავსდოთ.

ამ ცოტას ხანში გაზეთებში ეწერა, ყაზანში ყმაწვილმა ქალმა თავი მოიკლა, რადგან მამას და დედინაცვალს ძალათ გაეთხოვებინათ. მის დედინაცვალს ბესტუჟევის კურსები დაუსრულებია. ამ ფაქტის გამო რომ ქალების უმაღლესი განათლება გავკიცხოთ, სისულელე იქნება, რადგან ამ მოვლენას ისე გადახლართული და რთული გარემოება აქვს მიზეზათ, რომ დედინაცვლის გამოცვლა აღზრდას მხოლოდ დიდის ხნის გავლენის შემდეგ შეეძლო.

ისე ცოტა ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც ქალების განათლებაზედ ბაასი ასტყდა, რომ ჯერ არც კი დამყარებულა ის აზრი, რომ იგი უნდა შეადგენდეს სახელმწიფოს მოვალეობას. იმისთანა განათლებულ ქვეყანაში, როგორიც საფრანგეთია, 1802 წ. ფურკრუა ამტკიცებდა კანონ-მდებელ კრებაში, რომ ქალების განათლება სრულიადაც არ შეადგენს ჩვენს საქმესაო. კაცის განათლებას თვით უძველეს დროიდგან მმართებლობა ზრუნავდა და ქალებისას-კი, პოლ ჟანის სიტყვით, ყოველთვის შემთხვევითი, უმეტოდო და უპრინციპო ყოფილა. ამის დასამტკიცებლად შეგვიძლიან მოვიყვანოთ ის ფაქტი, რომ პარიჟში, საფრანგეთის დედა ქალაქში, 1800 წ. სულ 24 სკო-

და ყოფილა ქალებისთვის, მაგრამ მაუწყებელი, უწივნო და უშვგირდო. ამისათვის, ქალების განათლებაზე რომ ვლაპარა-კობ, მე არ მომინდება შორიდგან დაწყება საქმისა, მე მხოლოდ მოკლედ შევეხები იმ დროს და ჟამს, როცა ეკონომიურ მი-ზეზების გამო, ქალზედ შეხედულება გამოიცვალა და კითხვა დაიწყო, საჭიროა თუ არა, მიეცეს ქალს სისტემატიური, მეც-ნიერული განათლება.

ისტორია ქალისა უძველეს დროთაგან ჩვენამდე წარ-მოადგენს ღონივრისაგან უძლურის დაჩაგვრას. პელლეტანი ამობს, «რომ კაცის ცოლი ქალი არისო, მის მსხვერპლად შექმნილი ედემით გამორეკვის შემდეგ და ახლაც-კი ამჩნევია დაღი ექვსი ათასის „წლის უსამართლობისაო.» დაჩაგრული ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა დამჩაგვრელს, „სადაც კი შეეძლო, ოჯახში, საზოგადოებაში და ეს წინააღმდეგობა უშედეგოდ არა რჩებოდა: კაცი იძულებული იყო ეძლია მისთვის უფლე-ბანი და ამგვარად საქმე ერთანდელ მდგომარეობამდე მოასწრო, როცა ლაპარაკობენ რომ ქალს იგივე უფლებანი უნდა ჰქონ-დეს, რაც კაცსა.

აღმოსავლეთის ქვეყნებში ქალი იყო მონათ და საგნად სიტკბოებისა. ამ შეხედულობისა გამო, მას ზრდიან რო-გორც ყვავილს, დასტკბებიან მის სუნნელებით და, როცა ჭკნობას იწყებს, გადააგდებენ. განათლება არავითარი ეძლევა. ჰარამ ხანაში დამწყვდეული არის და, რომ თვის მფლობელს არ უღალატოს, თავზედ ადგია საჭურისი. თუ ღალატობს შეამჩნიეს, ჩააგდებენ ტომარაში და ზღვაში გადააგდებენ. ან არა, ჩასვამენ ტყავის სველ გუდაში, შიგვე ჩაუსმენ კატას და, პირმოკრულს, მზეზედ სდებენ; სიცხისაგან გუდა ვიწროვდება და ახრჩობს თვის მსხვერპლს. კატა თავპირს აკაწრის და გუ-

შინდელი საყვარელი თვის ბატონისა, დღეს საშინელ ტანჯვი-თა კვდება. აღმოსავლეთისკენ არსად სჩანს ქალისაგან წინა-აღმდეგობა, ჯერ აქ არ იცნობენ თავისუფლების იდეას, თუმ-ცა ისტორია მოგვითხრობს სემირამიდას და იუდიფის ამბობს, რომელთაც სულ სხვა მდგომარეობამდის მიუღწე-ვიათ.

საბერძნეთში თავისუფლება მეტი იყო, მაგრამ ქალი მაინც ჯერ მამის ხელქვეითი იყო, შემდეგ ქმრისა. მის დანი-შნულებას შეადგენდა შვილების ყოლა და „სახლში მეთვალყუ-რობა. ბავშვების აღზრდა მისი საქმე არ იყო და, მაშასადამე, არც მისთვის იყო საჭირო რაიმე განათლება. ხშირად ისე დამცირებული იყო ხოლმე, რომ ქმრისთვის, მის საყვარლად სწრთვნიდა მონა ქალებს. აი რას ამბობს სოფო ათინელ ქა-ლებზედ: „სიცოცხლის სიბნელიდგან იგინი გადადიან ავლდა-მებში, თითქო ნერგლები იყვნენ, ღამე არა სჩანან და დღის სინათლეზედ კი ეშინებიათო.» ბერძენი ამბობდა: შვილების საშო-ბად ცოლი მყავსო, საცხოვრებლად—მონა ქალები, და სიცო-ცხლით დასატკბობლად ჰეტერებიო. ჰეტერები აშკარად მოწინა-აღმდეგნი იყო ქალის დამონავებისა; გინეკეის საშინელ ჯაჭვი-დგან (იგივე ჰარამხანა) განთავისუფლებული, ლამა-ზი, ჭკვიანი, სულის წარმტაცი, იგი თვის გარეშემო აგროვე-ბდა ფილოსოფოსებს და მხატვრებთ. ასპაზია-პერიკლის მე-გობარი იყო, ლოსთენია—პლატონის შეგირდი. ჰეტერებს პა-ტივსა სცემდნენ და უყვარდათ; მაგრამ რიცხვით ჰეტერები ცოტანი იყვნენ.

ბერძნებისგან ნასწავლი ჰეტერა რომში უსირცხვილო ლიბე-რტინათ შეიცვალა, მაგრამ ამ დროსვე ქალს, ცოლს და დე-დას ცოტაოდენი ზნეობრივი მნიშვნელობა მიეცა. მატრონას

მოქალაქეთა ლედას, ხალხი გზას აძლევდა, ლიქტორები ვერ შეეხებოდნენ და თვით კონსულიც კი მას თავისზედ წინ აყენებდა. მაგრამ ეს პატივისცემა ქალისადმი კი არა, მოქალაქეთა დედისადმი იყო. კაცი თავის თავსა სცემდა პატივს. კანონით ქალი მოკლებული იყო ყველა უფლებას, ხალხში არავითარი ხმა არა ჰქონდა. მის განათლებას არავინ ხედავდა საჭიროდ. რომელსაც რომი დაეცა ზნეობით, ქორწინება იშვიათი შეიქნა, კანონიერათ ცოტაღა იბადებოდა და მოქალაქეთა რიცხვი, მომატების მაგივრად, უფრო და უფრო კლებულობდა. ქორწინებამ დაკარგა თვისი ზნეობრივი მნიშვნელობა და თვით ზნეობის მეთვალყურე ცენზორები ამბობდნენ, რომ ქორწინება მხოლოდ შვილის საყოლად არის საჭიროაო.

ცენზორი მეტელი ამბობს: «ჩვენ რომ ცოლები არა გვყავდეს, არც ასეთი უსარგებლო უღელი გვედგმება კისერზედაო, მაგრამ ბუნების კანონი ყოფილა, რომ ცოლიანი მოსვენებას ვერ ნახავს და უცოლობა კი შეუძლებელიაო» რომაელმა ქალებმა, რომელნიც ამ დროს მეტის მეტად იყვნენ დამონავებულნი, დაამტკიცეს, რომ რამდენსადაც ადამიანი დაჩაგრული და შერცხვენილია, იმდენად ნაკლებია მისი ზნეობა. აგრიპპინა, მესსალინა და სხვანი შესზარვენ ადამიანს თავის გარყვნილებით. არც კაცები იყვნენ მათზედ უკეთესები, რადგან ბუნება თვისას ყოველთვის ასრულებს და, რაც უნდა ცუდი იყოს ქალი, მომავალი თაობის აღზრდა მაინც მის ხელშია.

ქრისტიანობამ ბევრად მაღლა დააყენა ქალი: ამის მიზეზი იყო, სხვათა შორის ღვთის-მშობლის მსახურება. საშუალო საუკუნოებში ქალი მეფედ ხდება, იგი სატრფოა გულისა. მაგრამ მის მეფობა გათხოვებამდის გასტანდა ხოლმე ან მონასტრამდის, თუ გაუთხოვარი რჩებოდა. იდეალური ქალი, კაცის გულის მეფა-

თვის სკამტრას და გვირგვინს, გათხოვების შემდეგ, ზორტილოზედ სცვლიდა; მეფეა მონად ხდებოდა, და ვისიც აქამდის მეფეა იყო, მისივე ყურმოჭრილი ყმა უნდა გამხდარიყო. მისი ბედი მოთმინება და სიმდაბლე იყო. გაუთხოვარად დაბერებული მონასტერში უნდა შესულიყო; მას შეეძლო ესრეთ წოდებული სამუდამო საუფლოებში — დიაკონობა მიეღო, მაგრამ ამ დაწესებულებას ამაზედ მეტი განვითარება აღარ მისცეს, თუმცა, როგორც რენანი ამბობს, შეიძლებოდა ამ ინსტიტუტს ძლიერი გავლენა ექონია ქალების მდგომარეობის გაუმჯობესობაზედ.

ახალ საუკუნეთა დაწყობამ ქალების მდგომარეობაზედაც იქონია თვისი გავლენა. გაჩნდა ქალაქები და მათში ქალსაც მიეცა რამოდენიმე მოქალაქეობრივი უფლება: ჯვაროსნების ომების დროს, ფეოდალი ხშირად თვის ცოლს უტოვებდა ხოლმე მამულის და ვასსალების მართვას; კათოლიკეთა ეკკლესიამ ქალი თვის მფარველობის ქვეშ მიიღო. ამ დროსვე მონასტრებში შემოვიდა სწავლა-განათლება ქალებისა, მაგრამ მარტო წარსული საუკუნის უკანასკნელ დროში, როცა კანონის წინაშე გაერთდა აზნაური და გლეხ-კაცი, როცა თვით ქალებმაც ბევრი იშრომეს თვის საქმისთვის, მარტო მაშინ დაიბადა საქმე ქალისა და კაცის თანასწორობისა და ქალების განათლებისა. უკანასკნელი საგანი სხვა-და-სხვა ხალხმა სხვა-და-სხვანაირად გადასჭრა და ამ გარემოებამ იმოქმედა ქალის ხასიათზედ, საზოგადოებრივს მდგომარეობაზედ და მნიშვნელობაზედ, სხვა-და-სხვა ნაირად. ამის დასამტკიცებლათ ავსწეროთ რა ხასიათისა იყვნენ ფრანციელი, გერმანიელი, ინგლისელი, ამერიკელი და რუსის ქალი.

ფრანციელი ქალი ჩვენ ზემოთაც გავიცანით და დავინახეთ, რომ მისი განათლება არავითარ ნაყოფს არ იძლევა, და

ხალხს აფუჭებს, რადგან უვარგის წესით სწარმოებს. მხოლოდ 21 ქრისტეშობისთვეს 1880 წ. გამოსცეს წინადადებით ქალების სკოლის პროგრამა მიუახლოვეს კურსებისას. ამავე განონით მათთვის ლიცეები გახსნეს, რომელშიაც სწავლა ორგვარად იყოფა: 12 წლიდგან 15-დე და 15—17. ვინც პირველს ათავებს, მოწმობას იღებს და ვინც მეორეს—დიპლომს. პროგრამმა იგივეა, რაც ვაჟების საშუალო სასწავლებელში, ლათინურის და ბერძნულის გარდა, რომლის მაგივრად აქ ასწავლიან ჭრა-კერვას, ჰიგიენას, მეოჯახობას და სხ. ჯერ ძნელია გაცმა სითქვას, რა ნაყოფს მოიტანს ეს სისტემა, რადგან ჯერ ისევ ახალი საქმეა. მე აქ მეტად გავრცელებულ პანსიონებზედ მინდა ვსთქვა ორიოდე სიტყვა. მშვენიერად აქვს აწერილი ეს პანსიონები ემილ-ზოლას: ჩემის აზრით, ამბობს ზოლა, განათლება მათში უვარგისია და ნაკლულევანებით არის სავსე: არა მგონია, რომ სხვაგან საქმე ასე უხეირო სისტემაზედ ასწავლიდნენ. არ უხსნიან არავითარ პრაქტიკულ მხარეს ცხოვრებისას, წერა იციან, რამდენიმე ფაქტი ახალი ისტორიიდგან და გეოგრაფიიდგან, ცოტაოდნად: მწერლობაც ეს არის მთელი მათი განათლება. კაბას ვერ შეიკერავენ, საჭმელს ვერ მოხარშვენ, მზარეულის ანგარიშს ვერ შეამოწმებენ. მას ზრდიან მხოლოდ საზოგადოებისთვის: თავის დაკვრა ასე უნდა, ფიქრი ასე უნდაო, ყველაფრისთვის რეცეპტებს აძლევენ. ამ გვარად უმასინჯებენ ბუნებრივ გრაციას, თავისებურობას, ყველას, რაც კი მას ბუნებრივი ჰქონდა და გამოდის ზალის დამამშვენებელი ტიკინი, არაფრის მცოდნე ქმნილება. მე დარწმუნებული ვარ, რომ ზნეობრივი და გონებრივი უძლურება ჩვენის ქალებისა, მათი კაჭკაჭსავით ყბედობა და უხასიათობა, არის შედეგი პანსიონში ყოფნისა, თუმცა ეს პანსიონები საუკეთესოდაც ითვლე-

ბიან. არ ავითარებენ გონებას, ხასიათს; გამოდის ქალი იქოდგან და არა იცის რა; ისევ ქმარმა უნდა ასწავლოს, თუ უნდა მასთან რაიმე დამოკიდებულება ჰქონდეს. აღზრდა ქალისა დაფუძნებულია შემდეგ მოსაზრებაზედ: კაცს უნდა მტრედსავით სუფთა და გამოუცდელი საცოლე ჩაბარდეს და მას შემდეგ დედა ხელს იბანს; ქალმა არ უნდა იცოდეს, რა არის ბუნება, საზოგადოება, ადამიანი. აქ საცოდავი ქმარია რადგან გონიერ ქმნილების მაგივრად, ის ირთავს რაღაც ტიკინს და მასთან ტანჯავს". თუმცა ეს ასეა, მაგრამ მაინც ამ გაუნათლებელ ქალებს ხშირად „აქვსთ ხოლმე გავლენა არა თუ მარტო სახლში, არამედ საზოგადო და პოლიტიკურ ცხოვრებაზედაც, რადგან ბრძენს „სულელობას ჩაადენინებენ ხოლმე, „ხელში ბურთსავით ათამაშებენ და მთელის ხალხის ბედს ვისმე ხელში აგდებენ. საფრანგეთი ქ. დე-მერიკარის სამშობლოა, რომელიც, პირველი რევოლიუციის დროს, წინ მიუძღოდა კაცის მკვლელებს. აქვე დაიბადა აგლაია სენტ-ილერ—ქურუმი მხეცურ ინსტინკტებისა. გერმანიელი პედაგოგი კრეიენბერგი ამობს, რომ ფრანციელი ქალი უოველთვის მოთავე და მომხრე იყო სიბნელისა და უმეცრებისა; როგორც მონა, ბატონის მოტყუებას რომ მოახერხებს, თავის თავს ან საზიზღარ მკვლელობით იჩენს, ან რაიმე მალადობით. კაცმა ვერ შეიძლო, ან არ უნდოდა მისი ამაღლება და ქალმა დაამდაბლა იგი იმდენად, რამდენადაც თავად იდგა დაბლა. კაცსა და ქალს შორის ამ ქვეყანაში არათუ არ არის რაიმე ერთობა, არამედ აღზრდა თვით ყმაწვილობიდგანვე უშველებელ ხევს სთხრის მათ შორის." მაგალითად, ამობს ზოლა, ავიღოთ პატარა ჟორჟეტა და პატარა გუსტავი. ექვს ან შვიდ წლამდის ისინი ერთად თამაშობენ, ერთმა-

ნერთის შენობით ელაპარაკებიან და ხშირად კიდეც წაუთაქებენ ერთმანერთს და ძმურათ. მაგრამ გახდებიან შვიდის წლისა და მათ განაშორებენ. გუსტავი გიმნაზიაში შედის და თავს იტენს ყველა ცოდნით, რაც მეცნიერობას შეუძენია. შემდეგ გადადის უმაღლესს სასწავლებელში, ირჩევს კარიერას და კაცათ ხდება. მაშინ ხვდება ავს და კარგს, ცხოვრების ძნელს მხარეს იცნობს, სცდის სიხარულს და ვაებას, ცნობულობს ხალხს. ჟორჟეტა კი ამ დროს თავის დედის ოთახშია, მას ყველაფერს ასწავლიან, რადგან «კარგად აღზრდილმა» ქალმა ყველაფერი უნდა იცოდეს, ესე იგი, მწერლობის ნაწყვეტებს, არითმეტიკას, ისტორიას, გეოგრაფიას, კატეხიზისს; ფორტეპიანოს უკრავს, ხატავს, ცეკვავს, მაგრამ ცხოვრებისა კი სრულიად არა გაეგება რა; ცხოვრება მას ოთახის ფანჯრიდგან უთვალიერებია, და ისიც მოუხერხავთ თუ ქუჩაში არა ჩვეულებრივი ხმაურობა ამტყდარა. მას ისე უვლიან, თითქო არანაირის მცენარე იყოს, გაწგებ უმალავენ ყველას, რაც კი ცხოვრებას შეეხება. საზიზღარი არის კაცობრიობის ორ ნაწილად გაყოფა, ერთმანერთზედ არაფრის ცოდნა და ერთბაშად ქალის და კაცის შეერთება ამ სიტყვებით: «ერთმანერთი გიყვარდეთო.» ამ პირობათა შორის კაცი, ვითომ განათლებულ საზოგადოებაში, ძნელად იპოვის ნამდვილ მეუღლეს. დედების შესახებ კამპანის სიტყვებიც გვეყოფა: ნაპოლეონ I ჰკითხა მას: რა გვაკლია, რომ ჩვენს ყმაწვილ კაცობას კარგი აღზრდა ჰქონდესო? და ამ ჭკვიანმა ქალმა უპასუხა—დედანიო. არ იყვნენ დედანი საფრანგეთში მაშინ და ახლაც ცოტანი არიან, როგორც ცოტანი არიან კარგი მეუღლენი. უკანასკნელი ¦გარემოების საშველად ემანსიპაციას ამობენ, ცოლ-ქმართა გაყრას, თავისუფალ სიყვარულს, მაგრამ ავიწყდებათ უმთავრესი — აღზრდა და განათლება. დიუ-პანლო

ამობს, რომ ვიდრემდის ქალი იქნება ასრე არაფრის მცოდნე, როგორც ასლაა, მისთვის მისთანავე კაცი იქნება საჭირო, და მინამ ამ საქმეს კაცი არ მიაქცევს სრულს თვისს ყურადღებას, მისი ბედი—ცარიელითავა და ორგვენი ცოლი იქნებაო. ქმრის და ქალის ამისთანა მდგომარეობით აიხსნება ის მოვლენა, რომ არსად არის იმისთანა ველური შეხედულება ქალზედ, არსად არის ისეთი სიძულვილი ქალისადმი, როგორც საფრანგეთში. აქ მთელი თეორია არის შემუშავებული ცოლის შერთვის წინააღმდეგ, თუ კაცი ჭკუითა და გონების მუშაობითა ცხოვრებს: ცოლი ნიჭს უკარგავს ამ გვარ ხალხსაო შემოქმედობის ძალას უწყობს და, ნამდვილად ნიჭიერი კაცი, როგორც მოსე, ისე უნდა სცხოვრებდესო. უმეტესი ნაწილი აქაურ მწერლებისა ამობს, რომ ქალი საფრანგეთში უბედია, მზაკვარი, ბოროტ ენიანი, მოშურნე, მოსურნე, რომ კაცს მოსწონდეს და სხ. ამ ჭკუაზედ აღზარდა რუსსო, პრუდონი, მიშლე და სხვანი, ქალის იქამდის მოძულენი, რომ ხშირად ეს გრძნობა სიგიჟეს წააგავს ხოლმე. რუსსოს რომ ჰკითხოთ, ქალის აღზრდას მხოლოდ ერთი აზრი უნდა ჰქონდეს საგნად—კაცს თავი მოაწონოს. «ყველა განათლებული ქალი, ამობს იგი, გაუთხოვარი დარჩება, თუ რომ ერთი მაინც არის გამოჩნდა სადმე ჭკვიანი კაცი.» პრუდონის აზრით, «ქალს ბუნებითვე აქვს დაყოლილი უზნეობა, არა აქვს გონება, არ შეუძლიან შეიგნოს რამე ვალდებულება და, თუ აქვს კიდეც ცოტა რამ გონება, იმასაც სიყვარული წაართმევს ხოლმე. შეყვარებული ქალი დაუფიქრებლად ვარდება და თან იტანს კაცსაც, რაც უნდა ღრმა და საშინელი ორმო იყოს. ქალი სიყვარულის წამით ა სცხოვრებს, გრძნობით ივსება და მაშინ ველარავის ხედავს. მას არ შეუძლიან განაგოს თავის თავით და იმიტომ-

გამორიცხული უნდა იყოს პოლიტიკურ, ადმინისტრატიულ მეცნიერულ და ვაჭრულ ცხოვრებიდგან. როგორც დაბალი ქმნილება, ქალი შინ უნდა იჯდეს და დედლობას სწევდეს.» ამავე აზრისა არის მიშლე, მაგრამ მას საფუძვლად სხვა აქვს: ქალი ავადმყოფი არისო. გამოჩენილი ბელლეტრისტი ალ-დიუმა შვილი ბეჭდვით ამტკიცებს, რომ რაც კი საშინელი და საძაგელი ხდება ქვეყანაზედ, ყველაფრის მიზეზი ქალი არისო.

გერმანიაში საშუალო და უმაღლეს სასწავლებელში ქალები საკმაო განათლებას იღებენ, უკეთესს, ვიდრე ჩვენში, მაგრამ იგი ერთმხრივია და საგნად მხოლოდ კარგის მეოჯახე ქალის მომზადება აქვს. ბევრი გამოჩენილი პედაგოგი ჰყავს მას მომხრეთ, რომელთაც ავიწყდებათ, რომ სადს კაცს არც კი მოუვა თავში კითხვა—ადამიანის გონება ქალურად განვავითაროთ თუ კაცურადაო. გერმანიაში კი ეს კითხვა საჭირო ყოფილა, რადგან ეკონომიურ გარემოებათა გამო შეუძლებელი იქნება ცოლქმრობა და ოჯახი, თუ ქალი (ცოლი) მზარეულობას არ ეწევა. ამ აზრის გასამტკიცებლად ქალებს ეუბნებიან, რომ თქვენი დანიშნულება ქმარშვილის სიყვარულიაო.—ეს ცარიელი სიტყვებია, საქმე აქ ოჯახის მოვლაში მდგომარეობს. რაც უნდა სთქვან ქალების განათლების საგანზედ, მის საფუძვლად ან მეცნიერება უნდა აიღონ ან პროფესიონალური შესწავლა რაიმე საქმისა. საფრანგეთში არც ერთია, არც მეორე, გერმანიაში მეორეა, და სწორედ გერმანიულად მირის მირობამდე შესრულებული. მათი ქალი, ვინ ამობს, კარგია და უიმისოდ ბევრჯელ შეხვდება მის ქმარშვილს შიმშილი იგემოს, მაგრამ, უნდა ნახოთ, რა მოსაწყენი და უშინაარსო რამ არის ეს ქალბატონი. ერთს საღამოს, მახსოვს, გამოჩენილი პრო-

ფესორის სახლში ვიყავი, ბევრი ქალები იყვნენ, უფრო პრო-ფესორების ცოლები; მთელი საღამო სულ ხორაგეულის თავ-ზედ, სალათაზედ, კომპოტზედ, ფუფაიკაზედ, წინდებზედ და სხვა ამ გვარ საგნებზედ ილაპარაკეს. უნდა იცნობდეთ ამ ქა-ლებს, რომ გაიგოთ მიზეზი, რის გამო გერმანიელი მხოლოდ სწამს და ითმენს სახლში, სხვა დროს სამხიარულოში, კლუბში, თეატრში, ლუდსა სვამს, კარტს თამაშობს, ყველგან, მხოლოდ სახლში კი არ არის. კაცი გაიქცევა იქ მოწყენილობით. გერ-მანიელი აფასებს თავის ცოლს, უყვარს კიდეც, მაგრამ პატივს კი არას სცემს და ბევრს მწერლებსაც აქვს ეს უპატივცემულება ქალისადმი. შოპენჰაუერი ამბობს, რომ ვისაც ქალი არ უყვარს, არც კაცობრიობის ცოდვებისა და ამბობს—„ქალი დიდი ბავშვი არისო, რომელსაც მოკლე ჭკვა აქვს და ყველა ცოდვა თან დას-დევსო: უსამართლობაც მასში არის, უმადურობაც, უსინდისო-ბაც, სულმოკლეობაც. მის აღზრდით ვერას მოუხერხებ, რადგან ქალი უმდაბლეს მოდგმას ეკუთვნის და ვაჟკაცის მხოლოდ სამუშაოდ და დასამონებლად. ქორწინების ნამდვილი ფორმა ბევრი ცოლის ყოლა არისო.»

ქალების განათლებას ინგლისში სავსებით მომზადება აქვს ქმართან ანუ უქმროდ ცხოვრებისათვის. მას უმაგრებენ ხა-სიათს, ცხოვრებას რეალურად აწვდიან, ვინცასას, რაც კი შეიძლება, უკითხავებენ და აძლევენ თავისუფლებას. ასეთი აღზრდა ყველასთვის სასარგებლო არის და ისევ ქალისში ხვდებიან ქალს, რომ ცხოვრება ბრძოლა არისო. საზოგა-დოებას უსურვებენ ნამდვილად, მართლად, საქმეს ბრძოლით და სიმტკიცით; მასთან საბრძოლველად კარგი იარაღი განათლება — ცოდნა და მაგარი, მტკიცე ხასიათი. ბავშობიდგანვე აგონე-ბენ, რომ ის არც ღონით, არც ცოდნით ნაკლები არ არის

კაცზედ, რომ ქოხში სიყვარული სულელობა არის, რადგან სიღარიბე საყვარლებსაც გაჰყრის ხოლმე. ქალი თავისუფალია ქმრის არჩევაში — დგე, თვით იზრუნოს თვის ბედზედ. მას ასწავლიან ქიმიას, ფიზიკას, ზოოლოგიას, ბოტანიკას, არითმეტიკას, ალგებრას, გეომეტრიას, მკვდარ და ახალ ენებს, მუსიკას, ხატვას და თუ შეძლება აქვსთ, ცხენზედ ჯდომასაც. ინგლისელი ქალი ბევრს კითხულობს, კაცზედ მეტს, რადგან უკანასკნელს თავისუფალი დრო ნაკლებად აქვს. ამისთანა აღზრდის გამო, მას ისეთი მხნეობა და გულადობა აქვს ყველა შემთხვევაში, რომ უცხოელს აკვირვებს. ინგლისურ რომანებში — ქალი ყოველთვის განათლებულია, განმსაჯი და დარაჯი ყველა თვის მოქმედებისა; ყველაფერში თავის თავს ანგარიშსა სთხოვს და ამასთან არ ივიწყებს არც თავის უფლებათა, არც თვის ვალდებულებას. ამას მიუმატეთ მაგარი ხასიათი და სიმხიარულე, რომელიც იბადება მასში ცხოვრების ცოდნით და თავის თავის იმედით. კანონისამებრ მას უფლება დიდი არა აქვს რა, მაგრამ საქმე კანონი კი არა, ცხოვრების ვითარებაა. თუ ქალს უნდა რამე მდგომარეობა ჰქონდეს, უნდა გათხოვდეს, რადგან მაშინ ის სრული მეფეა. ყველა ამითი აიხსნება ის მოვლენა, რომ ქალისადმი პატივისცემა აქ უფრო მეტია, ვიდრე სხვაგან სადმე. არსად არის ისე განვითარებული ოჯახის სიყვარული, როგორც აქ; აქ რომ ქალმა უარ ჰყოს თვის საყვარელი მეოჯახობა, სხვა სავანს ვეღარ ჰპოვის სიცოცხლისას. ერთის მწერალის ქალის შემდეგ სიტყვებიდგან კარგად სჩანს ქალის დამოკიდებულობა კაცისაგან: « ფრანციელი ამბობს, რომ რასაც ჩვენს თავს ვაპატიებ, ჩვენს ცოლსაც უნდა 'ვაპატიოთ და ინგლისელი კი — რასაც ქალს მოსთხოვენ, შეუძლიან იგივე მეც მო-

მკითხოსო.» პირველის სიტყვებში ისმის გულ-კეთილის და თავ-დაბალის ბატონის კილო და მეორისაში კი—ქალისადმი პატივის-ცემა. ამიტომ ინგლისელნი მწერლობაში ქალს ყოველ-თვის პატივის-ცემით და სიყვარულით ეპყრობიან და საუკეთე-სო პირები ესარჩლებიან დაჩაგრულს ნახევარს კაცობრიობისას. მილლი პირდაპირ ამტკიცებს კაცებს: თქვენ გინდათ ქალი მა-რტო საყვარლათ და მონათ გყავდეთო და ამ დაცემულს მდგომარეობას მის ბუნებრივ სისუსტეს აწერთო, თუმცა ეს პირდაპირი შედეგია ცუდის აღზრდისა და განათლებისაო. შე-სამჩნევი ნაკლულევანება ქალების განათლებისა აქ ის არის, რომ მისი მიღება მხოლოდ მდიდრებს შეუძლიანთ. შინ სწავ-ლა ძვირია, სასწავლებლები ძვირი და პროგრამითაც არ აკმა-ყოფილებენ მსურველთ; ასე რომ კარგი განათლება მხოლოდ მდიდარს ეღირსება ხოლმე.

ამერიკაში სრული თავისუფლებაა განათლებისა, ასე რომ ყველას შეუძლიან ისწავლოს, რაც კი ჰსურს და, ამასთან, მისთვის საუკეთესო გარემოებათა-შორის, რადგან ყველა ქალი რისთვისმე ემზადება და სწავლობს მას, რაც მისთვის არის საჭირო. ამიტომ აქ ბევრნაირი სახისა არის განათლება. მაგრამ შეიძლება ორს უმთავრეს ნაწილად გაიყოს ეს სხვა-და-სხვა გვა-რი განათლება. პირველი ნაწილის მოთხოვნილებისამებრ ქალი განათლებულია, ყოველ მხრივ მზად არის საზოგადოებრივი მოქმედებისთვის, შეუგნია თვის ღირსება და თავისუფლება. მეორე ნაწილის თვისებისამებრ—უსაქმურია, ცხოვრების უცნო-ბი, ქეიფის და სიამოვნების მსურველი, არაფრის მცოდნე და სხ. ტოკვილი, რასაკვირველია, პირველზედ ამბობდა; «რომ მკითხონ, რით აიხსნება ამ ხალხის ასეთი საკვირველი აყვა-ვება და შეძლებულება, ვუპასუხებდი—ქალების სიკეთით მეთ-

ქი.» მეორე კატეგორიის ქალს გარეგანი ხასიათს ბიჰეიტიოუ: იმას არ უყვარს და არც იცის მუშაობა; ბავშვობაში არავინ აგონებს მის საჭიროებას და, რომ მოიზრდება, ხელში რომანებს მისცემენ — ცხოვრებას გაიგებო და რომანებში ხომ ყოველთვის არისტოკრატიული ცხოვრება არის აწერილი თავის სიმდიდრით, ცუდაობით, სამკაულებით და სხ. მამა ან ძმა, რომელსაც შეძლება აქვს ქალი შეინახოს, იწყებს, შერცხვენად ჩააგდებს მის სურვილს, რომ გააკეთოს რამე და მით მიეც განიქარვოს მოწყენილობა. შრომა და ზრუნვა საჭიროანი არიან ადამიანის სიცოცხლისთვის და, თუ ქალს უნდა საუკუნეთა განმავლობაში დაკარგული უფლებანი მოიპოვოს, მისი პირველი ნაბიჯი ამ სურვილისაკენ შრომა უნდა იყოს. ამერიკელი ქალი ცუდად არ მოითმენს თავის უფლებას, იმისთანა საქმეს იპოვის, რომელიც შეეფერება მის აგებულებას და ფიზიკურ ძალას. ვითომ და მისი მზრუნველნი მას მთავარ კარს ცხოვრებისას უკეტენ, ვაითუ არა-შესაფერს საქმეს გამოეკიდოს და ვნება მიეცესო, მაგრამ მათი ზრუნვა დიდი ხანია გავიგეთ: მისავალ კარს უკეტენ, რომ მშიერი ფანჯარასთან იდგეს, ან უკანა კარით მოუაროს, აკეთოს უძნელესი საქმე, რომ, როგორც მათხოვარს, თითო-ოროლა ლუკმა მიაწოდონ".

ი. მ—ანი.

(დასასრული იქნება)

---

# სლავიანთა გაძლიერება.

ერთს რუსულს გაზეთთაგანში ჩვენ შევხვდით ფრიად საყურადღებო წერილს რუსეთის უნივერსიტეტის პროფესორის მოდესტოვისას. წერილი შეეხება სლავიანთა ბედ-იღბალს და დაწვრილებით მოგვითხრობს, რა და რა მდგომარეობა გამოიარა ამ უკანასკნელს დროს სლავიანთა ტომმა დასავლეთ ევროპაში. ჩვენ გვგონია, ჩვენის მკითხველებისათვისაც არ იქნება ინტერესს მოკლებული ამ მოთხრობის მოკლედ გაცნობა, მით უმეტეს, რომ ბოლოს დროს სრულიად ევროპის ყურადღება შეპყრობილია იმ საგმირო საქმით, რომელიც მოახდინა აღმოსავლეთის რუმელიამ თავის შეერთების გამოცხადებით თავისუფალ ბოლგარიასთან. რუსეთში ეს ამბავი კიდეც ეოცათ და კიდეც ეამათ. ეოცათ, იმიტომ რომ მოულოდნელად მოხდა და ეამათ კიდევ იმისთვის, რომ რუსეთისთვის, როგორც დიდის სასლავიანო სახელმწიფოსათვის ფრიად სასურველი იყო მცირე ძმათა წარმატება, ერთის ბიჯის წინ გადადგმა. მაგრამ ამ გაოცებამ, სიამოვნებასთან შეერთებულმა, მალე გაიარა, ცოტა დაფიქრების შემდეგ. გაზეთებმა მეორე მესამეს დღესვე თანაგრძნობით დაიწყეს ლაპარაკი ბოლგარიის საქმეების შესახებ. და ან კი რა გასაკვირველი იყო ესა. განა რუსეთის წყალობით არ დაიბადა სრულიად სლავიანთა საქმე? განა რუსეთის მადლობელნი არ უნდა იყვნენ დასავლეთის ევროპის სლავია-

ნეპი, რომ მათ შეიძლოს, არამც თუ თავიანთ თავზე ევროპის ყურადღების მიქცევა, არამედ ზოგიერთა მათგანმა თავისუფალი და სრულიად დამოუკიდებელი ცხოვრებაც კი? ვინ იღვაწა, ვინ შევიდა ხარჯში, ვინ დაღვარა სისხლი ბოლგარიის სრულის განთავისუფლებისათვის ოსმალთ მფლობელობიდამ, ბოლგარიის დამოუკიდებლის, ეროვნულის და საზოგადოებრივის ცხოვრებისათვის, თუ არ რუსეთმა—ერთის სისხლისა და ერთის ხორცის უდიდესმა ერმა. ბოლგარებს გარდა, დანარჩენი სლავიანთა ტომნი, სერბნი, ჩეხნი, ხორვატნი განა განთავისუფლდებოდენ ან პოლიტიკურად, ან მოქალაქობრივად, რომ მათ ზურგს უკან მოსარჩლედ არა ჰყოლოდათ რუსეთი, მისი დიდი ზნეობრივი ავტორიტეტი? აი ამ საგანს შეეხება ბ-ნი პროფესორი თავის წერილში. მოდესტოვი ამტკიცებს, რომ თუ რაიმე სასურველი ცვლილება მოხდა სლავიანთა ბედ-იღბალში ამ უკანასკნელის ოცდა ხუთის წლის განმავლობაში, ამის მიზეზი რუსეთის არსებობა იყოვო. მართლაც, ვინ იცოდა სლავიანთა საქმე ამ ოცდა ხუთის წლის წინად, ვის ახსოვდა მათი არსებობა, ვინ აქცევდა ყურადღებას მათ ტანჯვას და კვნესას ოსმალთ მფლობელობაში. ევროპა სრულიად გარეშე მაყურებელს წარმოადგენდა ბალკანიის სლავიანთა წვრილ ტომთა შესახებ, არა თუ მაყურებელს, არამედ მათის არსებობის უარის-მყოფელსაც. ევროპას თუ ახსოვდა, ისევ პოლშას ახსოვდა, პოლშას იცნობდა. დანარჩენნი ტომნი სლავიანთა, რომელნიც უმრავლესობას შეადგენდენ ავსტრიის იმპერიაში, რომელთა სარჩოთი და ქონებით იკვებებოდა ოსმალეთის ბრწყინვალე კარი, ისე იყვნენ მიტოვებულნი, თითქო არც კი არსებობენ ქვეყანაზედაო. ან კი ვინ ამოიღებდა ხმას? ნემეცები ავსტრიისა და გერმანიისა ამ გარემოებით დიდ სარგებლობაში იყვნენ, ოსმალეთი თავის

თავს ხომ მტრად არ გაუხდებოდა, ინგლისი ოსმალეთის ხელ-უხლებლობას ჰქადაგებდა საქმით და სიტყვით, საფრანგეთსაც სასარგებლოდ მიაჩნდა ხელ-შეუხებელი არსებობა ბრწყინვალე პორტისა, რადგან ეშინოდა, რომ ამ ხელ-შეხებას ავსტრიისა და გერმანიის ფატერლანდის გავრცელება არ მოჰყოლოდა. დარჩა მხოლოდ რუსეთი. მხოლოდ რუსეთი იყო მტვირთვე-ლი და მატარებელი, თუ შეიძლება ასე ითქვას, სლავიანთა იდეისა. მხოლოდ რუსეთს დაჰქონდა უბით და ზრდიდა თავის გულით სლავიანთა განთავისუფლების საქმეს.

გამოჩენილი პოლიტიკოსი და დიპლომატი ტიერი თავის სხვა და სხვა დროს წარმოთქმულს სიტყვებში (პრუსიის ომის დროს ავსტრიასთან) აღრიცხავდა ავსტრიის ხალხის რაოდენობას, ავსტრიის ნემეცებს 15 მილიონად სთვლიდა და ამ ფანტასტიურ რიცხვში 6 მილიონს სლავიანებსაც აყო-ლებდა. ამისთვის ჩეხიცა, მორაველიც, ხორვატიც, სლოვენიც სულ ნემეცები იყვნენ, მხოლოდ ცოტა სხვა ენით მოლაპარა-კენი. მაგრამ ჩვენთვის რომ ვსთქვათ, ეს არც ისე გასაოცარი იყო იმ დროს, რადგან თვით სლავიანებში სრულიად მიძინე-ბული იყო ეროვნულის ცნობიერების აზრი. მესამოცე წლის დასაწყისში ყველაზედ განვითარებულ სლავიანთა ტომის, სა-ხელდობრ, ჩეხთა სატახტო ქალაქში, მსწავლულთა და ლიტე-რატურულ წრეთა გარდა, საზოგადოება ნემეცურად ლაპარა-კობდა და ბევრი ჩეხელი ვაჭრები და ჩინოვნიკები, რომელნიც შემდეგ ყველაზედ ჭირვეული პატრიოტები შეიქნენ, მაშინ უსირ-ცხვილოდ სთვლიდენ თავიანთ თავს ნემეცებად.»

მაინც უნდა ვსთქვათ, რომ ამ ოცდა ხუთის წლის წი-ნად ეროვნული გრძნობა საზოგადოდ ნაკლებად იყო გაღვი-ძებული ევროპაში და მეცნიერებაშიაც მცირედ იყო შემუშავებუ-

ლი. ამ საუკუნოს დასაწყისს, ანუ პირველ 25 წლის განმავლობაში ეროვნულმა მოძრაობამ თავი იჩინა მხოლოდ საბერძნეთში. საბერძნეთს დაუხმარა მთლად ევროპის საზოგადოებრივი აზრი. ყველა განათლებულის ევროპიელის თანაგრძნობა ამ მოძრაობისკენ მიიმართებოდა, რადგანაც საბერძნეთს ფრიად მდიდარი წარსული ჰქონდა და ძველის საბერძნეთის კულტურული მონაღვაწევით ივსებოდა მაშინ ევროპა. ყველამ იცის, რა თავ-განწირვით და ხარჯის დაუზოგველად იბრძოდა გამოჩენილი ინგლისის პოეტი ლორდ ბაირონი თავის რაზმით საბერძნეთის განთავისუფლებისათვის. ყველა განათლებულმა რუსეთის ქვეშევრდომმა იცის აგრეთვე ყოვლად მოწყალე მონაწილეობის მიღების ამბავი რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე კურთხეულისა ამ საქმეში. შემდეგ, მეორე 25 წლის განმავლობაში ეროვნული აზრი და ერთ სისხლ და ერთ ხორცის ხალხის შეერთების იდეა მძლავრად იღვიძებს ნემეცებში იმ დიდი იმპულსის შემდეგ, რომელიც მისცა ამ საქმეს ნაპოლეონის დროს და გამოჩენილის პოლიტიკურის მოღვაწის და ფილოსოფოსის ფიხტე-უფროსის პოლიტიკურ სიტყვების შემდეგ.

ეს შეერთების საქმე მასუკან თითქმის აღარ შეჩერებულა, რადგანაც ჩაუვარდა ხელში ისეთს რკინის კაცს, როგორიც არის ყველასთვის ცნობილი რკინის კანცლერი გერმანიისა, თავადი ბისმარკი. თითქმის ამავე დროს ეკუთვნის იტალიის ერთა შორის დაბადებული მოძრაობა შეერთებისადმი, რომელიც მას უკან იზრდებოდა, ძლიერდებოდა თან და თან და ბოლოს ჩვენ თვალ-წინ ხორც-შესხმულ ფაქტად გადაიქცა გარიბალდის მოღვაწეობით და დახმარებით.

სულ უკანასკნელს დროს ჩვენ თვალ-წინაშე გაჩნდა, დაწყევლილ აღმოსავლეთის საქმესთან დაკავშირებით, ესრედ-წო-

დებული სლავიანთა მოძრაობა. ვის არ ახსოვს ის მხურვალე ენტუზიაზმი, რომლითაც აღავსო რუსეთის უმაღლესი მმართველობა, განვითარებული საზოგადოება და თვით დაბალი ხალხიც კი ჩვენის დიდის ომის წინად ოსმალეთთან ბოსნიელებისა და ჰერცოგოვინელების აჯანყების გამო. არც ერთს ჭეშმარიტს ქვეშევრდომს რუსეთისას არ დაავიწყდება ის დიდებული სურათი, რომელსაც მაშინ სლავიანთა განთავისუფლებლად ამხედრებული საზოგადოება წარმოადგენდა. არ დაავიწყდება იმიტომ, რომ ყველას, ასე თუ ისე, მონაწილეობა ჰქონდა მიღებული იმ საერთო ლხინში, რა ლხინითაც ჩვენი მხედრობა მიისწრაფოდა დამონავებულ ხალხთა განთავისუფლებლის ომში. ყველას, ან ძმა, ან მამა, ან ახლო, ან შორეული ნათესავი ეგულებოდა იქ, სადაც მახვილით და სისხლით უნდა გადაწყვეტილიყო საქმე, გათავებული ისეთის ბრწყინვალებით სან-სტეფანოში. ამ სტრიქონების დამწერს, როგორც გუშინდელი ამბავი, ისე ახსოვს საღამოები, გატარებული ერთის თავის ნაცნობის გოჭელის მცხოვრებულის ნაამბობის მოსმენაში სერბიისა და ჰერცოგოვინელების შესახებ. ეს ნაცნობი მაშინ რუსეთის უნივერსიტეტიდამ პირდაპირ სერბიაში წავიდა ვოლონტერად და იქ იბრძოდა გენერალის ჩერნიაევის ლაშქარში. ბევრმა ჩვენმა მამულის-შვილმა, ჩვენთა მეზობელთა გვარმა, რუსეთის მხედრებთან ერთად, მოიხვეჭა სახელი და ქებით და დიდებით გაივსო.

ჩვენდა სამწუხაროდ, ყველა ამ ღვაწლმა, ამ შრომამ, ხარჯმა, უხვად დაღვრილმა სისხლმა არ მოიტანა ის ნაყოფი, რომელიც შესაბამი და თანასწორი ყოფილიყო მსხვერპლისა. მან მოიტანა შედეგად ყოვლად მახინჯი ბერლინის ტრაქტატი, რომლის ძალითაც განთავისუფლდა მხოლოდ ბოლ-

გარიის ერთი ნაწილი, ხოლო მეორე, ესრედ-წოდებული აღმოსავლეთის რუმელია, თუმცა ბევრად შეღავათს მდგომარეობაში ჩავარდა, მაინც კიდევ ოსმალეთის პროვინციად ითვლებოდა. ეს უსამართლობა იყო ბერლინის ტრაქტატის შემდგენელთაგან, თუმცა რუსეთი და მისი წარმომადგენელი გრაფი ორლოვი სულითა და გულით ეწინააღმდეგებოდა ასრედ წეს-წყობილებას ბალკანიის ნახევარ კუნძულზედ, ასრეთს modus vivendi-ს, როგორც იტყოდენ დიპლომატები. უსამართლობავე იყო ბერლინის კონგრესის მიერ ბოსნიისა და ჰერცოგოვინელების საქმის გადაწყვეტა, მათი დარჩენა ავსტრიის სრულს გამგებლობაში, ჯერ ვითომ რაღაც ოკუპაციის სახით, და მერე ავსტრიელების სრულის გაბატონებით იმ ტომთა შორის, რომელთაც პირველებმა ამართეს დროშა ოსმალეთის მტარვალობის წინააღმდეგ, რომელთა წყალობით ევროპამ პირველად გაიცნო სლავიანთა ვითარება ბალკანიის კუნძულზედ ოსმალეთის ბაშიბუზუკური მძვინვარება ქრისტიანეთა წინააღმდეგ ბოლგარიაში.

ინგლისელ გაზეთის «Daily Nevs-ის დაუვიწყერმა კორესპოდენტმა მაკ-გაჰანმა თავის წერილებში ისეთის გულისა და სულის შემხუთავის დაწვრილებით აღწერა «ბოლგარიის საშინელებანი», რომ ევროპის საზოგადობრივი აზრი შეკრთა, ამღელვარდა და მით გაუადვილა რუსეთს წარსული ხალხთა გასანთავისუფლებელი ომი.

ამ სახით, თუმცა ბერლინის ტრაქტატი ყოვლად უსამართლოდ შესდგა და პირდაპირ რუსეთის წინააღმდეგობა ჰქონდა საგნად, მაგრამ რუსეთს დღეს შეუძლიან ზნეობრივი გამარჯვება იდღესასწაულოს. უსამართლობა დაითრგუნა უკანასკნელ ამბავთა გამო რუმელიაში, ხელოვნურად და მანქანებით

აშენებული დიპლომატიური სადგომი უსაძირკვლო და არა-მტკიცე შენობა გამოდგა და თავის-თავად დაიშალა.

აქ შესანიშნავია ერთი გარემოება, სახელდობრ, ის ცვლილება, რომელიც მოხდა ევროპაში ამ უკანასკნელ ათის და ოცის წლის განმავლობაში სლავიანთა შესახებ, როგორც ევროპის მთავარ სახელმწიფოთა მხრით; ისე საზოგადოების მხრითაც. წარმოიდგინეთ მარტო ის, რომ რომელიღაც მცირე, უმნიშვნელო სამთავრო თავის ნებით და სურვილით არღვევს ევროპის მთავრობათა მიერ მიღებულს ტრაქტატს და ეს გარემოება სრულიად არ იწვევს რისხვას არეოპაგისას, ევროპა არა სთვლის ამ გარემოებას თავ-წასულობად ბოლგარიის მხრით, არ უკავრდება სასტიკად სამთავროს ამ გვარის თვით-მნებლობისათვის და მხოლოდ კონფერენციას აძლევს ახლად-დაბადებულის საქმის გასასწორებლად. ესრეთი ცვლილება ევროპის პოლიტიკისა ფრიად საყურადღებოა და მხოლოდ ამ უკანასკნელს დროს შეინიშნება. «უკვე შესრულებულის ფაქტების პოლიტიკის» სახელ-წოდებით. ცოტა წინად ამ გვარის თავხედობისათვის სრულიად ევროპა, გარდა რუსეთისა, რასაკვირველია, ფეხზედ დადგებოდა, დაირაზმებოდა, მუშტის ჩვენებას დაიწყობდა, ზევესივით გრგვინვას მოჰყვებოდა და რუმელიისა და ბოლგარიის საქციელს რევოლიუციად გამოაცხადებდა. ამით აწინდელის წეს-წყობილების სრულიად დარღვევა უნდათ ბოლგარებსაო, იტყოდა მეტერნიხის პირით ევროპა, სლავიანთა ტალღა მოზღვავდა და წალეკს მთელს ევროპას, როგორც ჰუნებმა წალეკეს ერთხელაო, დაიძახებდნენ სანემენტოში და გაიმართებოდა კიდეც შეგონება, ჭკუის სწავლება გათამამებულის ხალხისა.

ეხლა დრო შეიცვალა. არამც თუ სლავიანებს ნემეცებად

აღარ სთვლიან, არამედ თვით ავსტრიაში მათ დიდი უფლება-ნი და უპირატესობანი აქვთ მინიჭებული და ლამის ავსტრიის სახელმწიფო სანახევროდ სლავიანთა სახელმწიფოდ გადაიქცეს. ინგლისი, რომელსაც შეურყეველ დოგმატად მიაჩნდა ევროპის პოლიტიკისათვის ხელ-შეუხებლობა ოტტომანთა იმპერიისა, თითქმის სიხარულით შეეგება ბოლგარიის საქმეს. ინგლისი ეხლა არამც თუ აღარ უარ-ჰყოფს სლავიანთა უფლებას, რომ თავიანთი საკუთარის ეროვნულის ცხოვრებით იცხოვრონ, არამედ ხელსაც მოუმართავს, რომ საკუთარ ფეხზედ დადგნენ, რასაკვირვე-ლია, რუსეთის ჯიბრითა ჳ იმ პირობით, რომ რუსეთს დამორჩილდნ ჳ არც ავსტრიას ჩაეყლაპვინონ. ნემეცებიც, თუმცა გულის ტკი-ვილით, მაგრამ მაინც ჰხედავენ, რომ სლავიანთა ეროვნულს გამოფხიზლებას ვეღარაფერი ვერ შეაყენებს, ანთებულს ცეცხლს მისი რკინის ჯოუტობაც ვერ გაუძლებს და მიილევებიან. იტა-ლიასაც არაფერი საწინააღმდეგო არა აქვს-რა ბალკანის სლა-ვიანთა დამოუკიდებელის პოლიტიკურის ცხოვრების შესახებ, ოღონდ მან თავისით არ გააძლიეროს ან ავსტრია, ან რუსეთი, ზურგი არ მიჰყუდოს ერთ-ერთს მათგანს.

ასე და ამ გვარად შეიცვალა საქმის ვითარება დღეს ევროპაში. დიპლომატიაში ჯერ კიდევ სრული სუფევა არა დარჩენია ამ გვარ შეხედულობას ერთა შესახებ, სამაგიეროდ, განვითარებულ საზოგადოება ევროპისა ყოვლად ჰუმანიურად ეპყრობა სლავიანთა დაჩაგრულ ტომთა და სულით და გულით არის მონდომილი მათის სრულიად განთავისუფლებისათვის, როგორც პოლიტი-კურად, ისე ზნეობრივად და ეკონომიურად.

# შინაური მიმოხილვა

— რა არის, რომ თვეები გადის და ჟურნალში ერთს შინაურს მიმოხილვას ვერ იპოვის კაცი, ჯავრობს ჩვენი მკითხველი და გაჯავრებულივე განაგრძობს: ამისთანა მწერლობაც იქნება, რომ არც ერთს ჩვენებურს მოვლენაზედ, არც ერთს ფაქტზედ ჩვენის ცხოვრებიდამ ერთად-ერთი ლიტერატურული ყოველ-თვიური ორგანო ხმას არ იღებდეს, განსჯას არ უძღვეოდეს, ვითარებას არ უსინჯავდეს, ერთის, თუ მეორის საზოგადოებრივს მნიშვნელობას არ განგვიმარტებდეს. ერთის სიტყვით, ათავებს თავის გაცხარებულს ბაასს ჩვენი მკითხველი, რა ჟურნალია ის ჟურნალი, რომელიც ხელმძღვანელობას არ გასრულობს საზოგადოებრივის აზრისას, ტვირთად არ იღებს მოწინავეობას, მოთავეობას ქვეყნის აზროვნობისას, ფიქრისას, არ იჭედება ყოველ-დღიურ ცხოვრებაში, არ ჩააქვს იქ სინათლე, ანალიზი, ცნობიერება, ამ ნაირს ჟურნალს, ცხადია სიცხოველე ექმნება მოკლებული, ცხადია, თანაგრძნობა საზოგადოებისა არ მიუძღვება. ყოველ მის ახალს წიგნს ცნობის მოყვარეობით, წყურვილით, გულის ცახცახით არ მივარდება არც ერთი მკითხველი და ისევე გულ-გრილად მოექცევა, როგორც თვით არის გულ-გრილი ჩვენის ცხოვრების უმთავრეს საგნებისადმი, ჩვენის ავან-ჩავანის განსჯისა და განჩხრეკისადმი.

ყველა ეს საყვედური ჩვენს მკითხველს მოსდის ფიქრად

და აზრად ჩვენის ჟურნალის მიმართ და ყოვლად სამართლიანიც არის, როგორც არა ერთხელ ჩვენ თვითონც გვითქვამს წინა-დაც. ჩვენც არა ერთხელ და ორჯერ გაგვიგონია ეს საყვედური ჩვენის ყურით, მაგრამ ჩაგვისვევია გულში და იქ დაგვიმარხავს ღრმად, რადგან არც ერთხელ, არავითარის მეცადინეობით, შეძლება არ გვქონია, რომ სამართლიანი საყვედური აგვეცილებინა, შეგვესრულებინა ის, რის შესრულების სურვილიც გვქონია და ვალდებულებაც.

ჰკვიანს მოსაყვედურე მკითხველს ჩვენც ჩვენის მხრით ერთი რამ უნდა ვკითხოთ: ნუ თუ მართლა ჰგონია რომ, ჩვენ ვიკისრეთ ჩვენი საქმე ისე, რომ არავითარი შეგონება არა გვქონდა ნაკისრების საქმისა; ნუ თუ მართლა, ჩვენ თითონ არა ვგრძნობთ ჩვენს ხელ-მოკლეობას, და ამ გრძნობით არა ვსწუხვართ, თუ არ მეტად, ჰკვიანს მკითხველზედ, ნაკლებად მაინ არა? საქმეში ვიდგეთ, შიგ სულსა და გულსა [illegible] ჩვენვე არ ვიტანჯებოდეთ იმ უვარარაობით, რომელსაც ჩვენი ჟურნალი, როგორც ორგანო ჩვენის ცხოვრების მიმდინარეობისა, წარმოადგენს! ნუ თუ მართლა, ჩვენ, ისე უგრძნობელნი ვართ, რომ საჭიროებასაც არა ვგრძნობთ—ჩვენი ვარამი, ჩვენი ნაღველი ჩვენი დარდი და სიხარული, ჩვენი დაჭირვება და დალხენა რომლისამე მოვლენისა და ფაქტის შესახებ მკითხველსაც შევატყობინოთ, გავუზიაროთ. მაგრამ, ვიმეორებთ კიდევ, თუ ყველა ამას ვერ პოულობს მკითხველი ჩვენს ჟურნალში, თუ თავის გულის პასუხს ვერ ამოიკითხავს ხოლმე იქ, ამას ისეთი მიზეზი მოეძებნება, ისეთი საბუთი აქვს, რომ მის წინააღმდეგ გამკლავება ზღვის კოვზით დაშრობას ეგვანება.

როგორც წინადაც ბევრჯერ გვითქვამს, ჩვენის აზრით,

ერთად-ერთი ღონისძიება-ღა დაგვრჩომია ამ შემთხვევაში. ეს ღონისძიებაა—მოკლედ, განუმარტებლად ნუსხურად ჩამოთვლა იმ მოვლენათა, რომელნიც ჩვენს ცხოვრებას წამოუყენებია. აქ, მეტი ღონე-არ არის, ჟურნალმა თავის როლს უნდა უმტყუნოს და იკისროს ის, რაც სხვათა შორის ყოველ-დღიურის გაზეთის მოვალეობას უფრო შეადგენს. სულ გულ-ხელ-დაკრეფა და გულ-გრილად ცქერა გარეშემო უფრო ცუდია. ასეთი აღნუსხვა, ასეთი მატიანებრივი მოთხრობა და გახსენება ყველა იმისა, რასაც საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს და საყურადღებოა ჩვენს უფერულს ცხოვრებაში, ცოტა ოდნად მაინც ხელსშეუწყობს იმ მცირე გონებრივსა და ზნეობრივს კავშირს, რომელიც აუცილებლად უნდა არსებობდეს საზოგადოების წევრთა შორის, ცოტათი მაინც გაანათებს ბნელს უფსკრულს, საცა ძლიერ მცირეა [illegible]ბრივი და ზნეობრივი კავშირი, ურთი-ერთობა თითოეულთა შორის. ეს საშუალება ერთად-ერთი ღონისძიებაა, რომ ავსცდეთ ერთმანეთის გაუგებრობას.

აი მოკლე მატიანე ჩვენის ცხოვრებისა:

ამ მოკლე ხანში სრულიად ჩვენის ქვეყნის ყურადღება მიიქცია ერთმა გარემოებამ, სახელდობრ დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის ჩამობრძანებამ კავკასიაში. კავკასიის წინანდელის მთავრის მობრძანებამ დიდი სიხარული და აღტაცება დაბადა მთლად კავკასიაში და განსაკუთრებით ჩვენს ქვეყანაში. ქუთაისის მცხოვრებნი და სრულიად თავად-აზნაურობა იმერეთისა მიეგება სასიამოვნო უავგუსტოესს სტუმარს, გაუმასპინძლდა და გაუცხადა თავისი უქვეშევრდომილესი გრძნობანი რუსეთის ტახტისადმი. დიდმა მთავარმა მადლობა გადუხადა

ამ გვარის სტუმართ-მოყვარეობისათვის და აღუთქვა, რომ მის იმპერატორების უდიდებულესობას მოახსენებ თქვენს უქვეშევრდომილეს გრძნობათა და ჩემსადაც დავუმატებ, რომ ეს გრძნობანი წარმომდინარებენ რუსეთის ტახტისადმი მუდამ ერთგულის იმერეთის თავად-აზნაურთაგანაო. როგორც კორესპონდენტი გვატყობინებს, დიდის მთავრისათვის შესაფერი სიტყვა უთქვამს ქალაქის თავს ბ. ლ. ასათიანს, რომლისათვისაც მხარი დაუჭერია ჩვენს მოხუცებულს მწერალს, ამას წინად ერთ-ხმად არჩეულს ქუთაისის თავად-აზნაურთ წინამძღოლად პატივ-ცემულს დ. ი. ყიფიანს.

ქუთაისს და ქუთაისის თავად-აზნაურობას უკან არ ჩამორჩა ჩვენი ქალაქიც და ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობა, რომელიც მიეგება დიდს მთავარს რკინის გზის ვოგზალზე, მიართვა ჩაი და აღტაცებით და სიხარულით მიიღო თავისი წინანდელი დაუვიწყარი მთავარ-მმართებელი.

ამავე ხანებში, როცა ასეთის სიხარულით ეგებებოდნენ დიდს მთავარს არა თუ საგუბერნიო ქალაქებში, არამედ ისეთს დაბაშიც კი, როგორიც სურამია, სადაც მას გორის მაზრის თავად-აზნაურობა მიეგება, ჩამობძანდა ჩვენს ქალაქში მისი უწმინდესობა, უმაღლესი პატრიარხი სრულიად სომხობისა, ყოვლად-სამღვდელო მაკარი. დიდითვე დიდი მობრძანება იყო ქალაქში, რომელიც დამშვენებულიყო ბაირაღებით და მრავლად ქუჩებში შეგროვილის ხალხის აჭრელებულის სურათით. სამღვდელოება სომხებისა უცდიდა თავის ეკლესიის უმაღლესს წარმომადგენელს ალექსანდროვსკის ბაღთან, სრულიად შემოსილი, ხატებით და ჯვრით ხელში. პატრიარხი მობძანდებოდა გადახდილს ეტლითა, ება ექვსი ცხენი და ეტლს უკან წითელ სპარსულ კაბებში იდგა ორი მისი მოსამსახურე. პატრიარხი მაკარი,

როგორც მკითხველს უნდა მოეხსენებოდეს, იყო ერთი სრულიად სომხობისაგან საკათალიკოზოდ არჩეული კანდიდატთაგანი. მისმა უდიდებულესობამ, ხემწიფე იმპერატორმა ინება მაკარის დამტკიცება იმ უმაღლეს თანამდებობაში, როგორიც არის კათალიკოზობა სომხობისათვის. კათალიკოზი სომხისა სრული გამგებელია სომხის ეკლესიის საქმეებისა, ჰყავს თავისი სინოდი, და თვალ-ყურს უგდებს აგრეთვე სამრევლო სკოლების საქმეებსაც. კათალიკოზის გამგეობაშია აგრეთვე სასულიერო აკადემია ეჩმიაძინისა და საზოგადოდ სულიერი ინტერესები თავის სამწყსოისა. თუმცა მის უწმინდესობას, პატრიარხს მაკარის ნაკლები რიცხვი ერგო კენჭებისა ამორჩევის დროს კანდიდატად, მაგრამ სამაგიეროდ იგი ღირსი შეიქმნა და ხემწიფე იმპერატორმა უპირატესობა მიანიჭა მის მეტოქეს წინააღმდეგ. ამ გარემოებით სომხები, მეტადრე კავკასიისა, გახარებულნი არიან, მაგრამ ოსმალეთის სომხობას კი ცოტა გულნაკლულობა დაეტყო. ეს უნდა იყოს უთუოდ მიზეზი, რომ თბილისის სომხობამ ისეთის სიხარულით მიიღო თავისი მწყემსთ-მთავარი და მხურვალებით ისმენდა მის ქადაგებათა სომხის ეკლესიებში.

ჩვენ საჭიროდ ვრაცხთ გაკვრით შევეხოთ აგრეთვე ერთს სამწუხარო მოვლენასაც ჩვენის საზოგადოებრივის ცხოვრებისას. მე მოგახსენებთ ახლად დაბადებულს, ესრეთ-წოდებულს ლიტერატურულ ყიზილბაშობაზედ. ეს მოვლენა სულ ახალი ფაქტია და შემოტანილია ჩვენს ლიტერატურაში ზოგიერთა თავ-გასულ მწერალთაგან. საკვირველია, რამ დაბადა ეს სენი? ჩვენ გვსმენია ლიტერატურული თავ-გასულობა, ჩვენ გვინახავს ჩვენს სიცოცხლეში და დღესაც ვხედავთ ისეთ მწერლებს, რომელთა ცრუ-თავმოყვარეობას საზღვარი არა აქვს, რომელთაც

თავიანთი თავი მიაჩნიათ ციდამ ჩამოსულ წინასწარმეტყველებად განკერძოებულ ტალანტად, და თითქმის გენიოსადაც. მაგრამ ამ მოვლენას ჩვენ არ გაუკვირვებივართ, რადგანაც მისი ახსნა ისე ძნელი არ არის. სრულიად სხვა არის მეორე გვარი მოვლენა, რომელზედაც ჩვენ გვინდა ლაპარაკი. ავადმყოფობის ვერც ერთს კატეგორიას ვერ მიუყენებ ამ სენით შეპყრობილთ მწერალთ. მართალია, ნაწერებზე ეტყობათ, რომ რომელიღაც ძაფი აქვთ თავში გაწყვეტილი, რომ ჩხირი ურჭვიათ ტვინში და ამის გამო ორი ქარი უქრით; მაგრამ, ვერ აგვიხსნია, ამ ორგანოვანს ნაკლულევანებას, რად უნდა მოსდევდეს ის ზნეობრივი სიმახინჯე, ის თავზედ ხელ-აღებული, ლაგამაწყვეტილი და სვინიდისს მოკლებული ბაშიბუზუყობა, რომლითაც ასე თავი იჩინეს ჩვენის ლიტერატურის ყიზილბაშებმა. ამ ჯურის მწერალთ არაფერი წმინდა არა აქვთრა: არ დაინდობენ არც სიმართლეს, არც პატიოსნებას, არც პიროვნებას, არც წარსულს, არც აწმყოს, არც მომავალს. მზად არიან აღებმიცემობის საგნად გახადონ ნაბეჭდი სიტყვა და შანტაჟამდინაც კი მივიდნენ ლამის. მათი წესი ლიტერატურულის მოღვაწეობისა ეს არის: ამოიღებენ ნიშანში კაცს და დაუწყებენ ლანძღვას, თუ ეს კაცი პირად მათ სარგებლობისათვის არასა სცდილობს. დღეს რომ აქონ ვინმე, ცამდე აიყვანონ, პირველ მოღვაწედ გამოაცხადონ, ხვალ ტალახში სვრიან, იხსენიებენ სრულიად უმართებულოდ, უკადრისად. და ვინ იცის, რას არა სწამებენ, რა მახინჯად და საზყარად არ გამოჰყავთ. რო ჰკითხო, როგორ მოხდა, რომ გუშინ სასარგებლო კაცი, დღეს აგრეთ მახინჯათ გადიქცა, რასაკვირველია, რიგიანს პასუხს ვერ მოგცემენ. თუ საჭიროა მათთვის, ფაკტს დღეში თხუთმეტჯერ დაამახინჯებენ; პატარა თვალი რომ მოაშორო, ანელა ჯამბა-

ზივით, თეთრს ისე წარმოგიდგენენ, როგორც შავს: ქნიანს უენოდ გამოიყვანენ, ბრიყვს—ზრდილობიანათ, სულელს—ჭკვიანად და სხ. და სხ. არც რომელიმე პრინციპი, არც იდეა, არც სხვა რამ საზოგადოებისთვის საყურადღებო საგანი, გარდა პიროვნობისა არ მოიპოვება მათ ნაწერებში.

უველაზედ საკვირველი ის არის, რომ ამისთანა პატიოსან მწერლებს თავიანთი მობანენი უჩნდებიან, მომხრენი ჰყვანან. და ზოგიერთ ჩირქ-წაუცხობელ მწერალს თავის დამცირებად არ მიაჩნია იმათთან ერთად შრომა, იმათ გვერდით ყოფნა; ერთსა და იმავე ფურცლებზე თავიანთ ნაწარმოების ბეჭდვა.

ერთმა სთქვა, ამ ყიზილბაშობაზედ რომ ჩამოვარდა ლაპარაკი: ნახავთ, თუ უფრო კიდევ არ გამოიჩინონ თავი. ნუ თუ ის არ უნდა გვაკმარონ, რომ მათთვის აღარც მტერია, აღარც მოყვარე, აღარც თავისიანი, აღარც უცხო: რასაც ოჯახში გაიგონებენ, საჯაროდ გამოაქვთ, რასაც თავის მეგობრებში შეიტყობენ, მტრებში ხმა მაღლა ჰღაღადებენ.

იქნება ეგრეც მოხდეს, მაგრამ ჩვენ გვწამს კაცობრიობის სიკეთე, რომელმაც ბოლოს და ბოლოს მაინც უნდა გაიმარჯვოს. ეს ბაშიბუზუყობა ღვარძლია და იმედი გვაქვს ჩვენი უკეთესნი მოღვაწენი მალე გამარგვლენ და გაანთავისუფლებენ ჩვენს ლიტერატურულს ხნულს ამ სამარცხვინო ღვარძლისაგან.

## ბიბლიოგრაფიული განცხადება

დაიბეჭდა, გამოვიდა და იყიდება ახალი, მეხუთე, გამოცემა

# «ბუნების კარისა»

გასწორებული და შევსებული. ამ გამოცემაში ცოტად შემოკლებულია პირველი განყოფილება, რომელიც იპყრობს ბუნების მეტყველებას, ჩამატებულია ახალი სურათები, ახალი ლექსები, ქრისტომატია გადიდებულია, წიგნი შევსებულია ახალი ისტორიული განყოფილებით, რომელიც იპყრობს ვრცელს აღწერას საქართველოს ისტორიის სახელოვანი პირების ცხოვრებისას და მოქმედებისას. გარდა ამისა, წიგნის ყოველს განყოფილებაში დაკავშირებულია პროზა და ლექსები. გამოცემა შემკულია ახალი ქარტით, რომელიც მოჭრილია საუკეთესო თბილელ სპეციალისტისაგან. თუმც გამოცემა წინანდელზედ დიდია მთელი ასი გვერდით, მაგრამ უწინდელი ფასი შეუცვლელად არის დარჩენილი და წიგნი ღირს თხუთმეტი შაური. ვინც ათ ცალს ერთად იყიდის, წიგნი დაუთმობა თოთხმეტ შაურად, ვინც ოც-და-ათს — ცამეტად და ვინც ასს ცალს წაიღებს—სამ აბაზად მიეცემის. წიგნი იყიდება გამომცემლის ზაქარია გრიჭუროვის წიგნთა მაღაზიაში, კუკიის ხიდის ყურთან და ყველა სხვა მაღაზიებშიაც თბილისისა და ქუთაისში. ვისაც სურს ყდაში გადაკრული წიგნი მიიღოს, ყველა ცალის ფასს უნდა დაუმატოს სამი შაური.

## ბიბლიოგრაფიული განცხადება

გამოვიდა ახალი სახელმძღვანელო წიგნი ქართული

# ქრისტომათია

უმცროს კლასებისთვის

შედგენილი

მიხეილ ნასიძისაგან.

შინაარსი: 1. პატარ-პატარა სტატიები, ლექსები და იგავები, 2) ზღაპრები. 3) საქართველოს ბუნებიდამ და ცხოვრებიდამ (ნიმუშები სამშობლო მწერლების საუკეთესო ნაწერებიდამ). 4) საქართველოს ისტორიიდამ.

ფასი 75 კ.

წიგნი ისყიდება თბილისში ყველა წიგნის მაღაზიებში, წიგნების დაბარება შეიძლება **მხოლოდ** «ცენტრალური წიგნის მაღაზიიდამ», რომელიც 15% (მანათზე 15 შაურს) დაუთმობს, ვინც არა ნაკლებ ათი ეგზემპლიარისას გამოიწერს. ერთი წიგნის დამბარებელმა ორი შაური გასაგზავნი უნდა დაუმატოს.

«ცენტრალური წიგნის მაღაზიის ადრესი: г. Тифлисъ, Центральная Книжная торговля.

---

გრ. ჩარკვიანის

# „ქართული წიგნის მაღაზია

გადავიდა იმავე ლორის-მელიქოვის ქუჩაზედ სემინარიის პირდაპირ ზუბალოვის სახლებში.

# საქართველოს
## მოკლე ისტორია

იყიდება:

თბილისში გრიქუროვის და ჩარკვიანის მაღაზიებში.

ქუთაისში ჭილაძესთან

ბათუმში მოსე ნათაძესთან

თელავს როსტომაშვილთან

სიღნაღს ვ. ქიტიაშვილთან

გორს ს. ლიაძესთან.

ფასი 60 კაპეიკი.

ვინც პირ-და-პირ გამომცემლისაგან (Въ Тифлисъ Михайл. ул. д. № 45, Георгію Давидовичу Картвелишвили) დაიბარებს არა ნაკლებ 20 ეგზ., იმას წიგნი დაუთმობს 50 კაპ.